დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ-დასავალი

2022 წლის
30 მაისი - 5 ივნისი
N23 1435
ფასი 3 ლარი
და 90 თეთრი




## საქართველო სამარცხვინო დღეშია:



2 26 მაისს ზეიმობს გერმანელების მიერ გამოცხადებულ თავისუფლებას და აფრიალებს სააკაშვილის პარტიულ დროშას!

### ნუგზარ ფოფხაძე:

„მონანიება“ არავის აუკრძალავს, ამის ბრძანება არავის გაუცია, 20






ერთადერთი კაცი, ვისაც ამ ფილმის გაშვება ან არგაშვება შეეძლო, მე ვიყავი!

## პატიმარ მიხეილის თავი 4

## გუკანალისკენ, გუკანალისკენ, გუკანალისკენ, ბიჭებო, სწორდით! 3



### პუტინი ივანე მრისხანეს აბრუნებს!



რეპინის ცნობილ ტილოს —

„ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს“

ტრეტიაკოვის გალერეაში მაინცდამაინც ახლა შემთხვევით არ აბრუნებენ! 8

6 საქართველოში არც დუგინ-ერატებისა და არც დეგნან-ერატების ჭკუაზე არ უნდა იაროს!





7

## არცა დუგინი, არცა დეგნანი!

### ფატი კიპარონიძე:

„მაიმუნის ყვავილის“ სახით ახალი ფსიქოლოგიური ტერორის ამოქმედება სურთ!




13

### თამაზ ბაქურიძე:

სააკაშვილმა დედამისის თურქ მეგობარს 1 ლარად აჩუქა ლავრენტი ბერიას ყოფილი აგარაკი! 19



„ბათუმი, ფაქტობრივად, უკვე აღარც არის ქართული ქალაქი!“

### მაია ბერაია:

გაითვალისწინეთ ეს რჩევები, რათა თვალისჩინი ხანგრძლივად შეინარჩუნოთ! 24



„პანდემიის პერიოდში გავრცელდა თვალის ვერაგი დაავადება!“

## კრამერი ამ ერის წინააღმდეგ! 14

### მაყვალა ბერიანიძე:



მიხეილ ოსაძემ ქიული შარტავა გააფრთხილა:

10 შევარდნაძე აფხაზეთში იმიტომ გიშვებს, რათა უკან ცოცხალი აღარ დაბრუნდეო!



29 1966 წელს, თბილისში ლეონიდ ბრეჟნევის ჩამოსვლამდე ორთვენახევრით ადრე, ალექსანდრე ბერბერაშვილი მოტოციკლით იალბუზზე ავიდა!

ორი გაზეთი ერთ გაზეთად!




წაიკითხეთ ყველა მე-4 ნომერი!

# საქართველო სამარცხვინო დღეშია:

***ძვირფასო მკითხველო, ვიდრე წლევანდელ 26 მაისზე მოგახსენებდეთ, მანამდე გაგაცნობთ მცირე ამონარიდს ცნობილი ქართველი პოლიტიკოსისა და დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის საიდუმლო წერილიდან, რომელიც მან საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელობას 1918 წლის 22 მაისს გაუგზავნა. წერილში ვკითხულობთ: „გენ. ფონ ლოსოვი იყო დღეს ჩემთან, მას გავაცანი ეს აზრები და კატეგორიულად განაცხადა, რომ დარჩენილია ერთად-ერთი გზა — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება!“***

საიდუმლო წერილში მოხსენიებული გენერალი **ოტო ჰერმან ფონ ლოსოვი** პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის გერმანულ სამხედრო შტაბში ერთ-ერთი მაღალჩინოსანი იყო და საქართველოს დამოუკიდებლობას უჭერდა მხარს. **ამ წერილით და სხვა უამრავი დოკუმენტური მასალით უეჭველად დასტურდება ის ფაქტი, რომ 1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა სწორედ კაიზერული გერმანიის სამხედრო-პოლიტიკური ელიტის უმაღლეს წარმომადგენელთა რჩევითა და კატეგორიული მოთხოვნით გამოაცხადა.** საქართველოს დამოუკიდებლობას კი, გონებაშეზღუდულ და სოციალ-დემოკრატიის ნაგავში ჩარჩენილ **ნოე ჟორდანიასგან** განსხვავებით, მხარს უჭერდნენ დიდი გერმანელი ერის საუკეთესო შვილები — ზემოხსენებული გენერალი **ფონ ლოსოვი,** დიპლომატი **ფრიდრიხ ფონ დერ შულენბურგი,** რომელიც 1944 წელს ჰიტლერზე განხორციელებული წარუმატებელი თავდასხმის გამო დახვრიტეს და გენერალი **ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინი,** რომელიც კავკასიაში კაიზერული გერმანიის სამხედრო-დიპლომატიურ მისიას ხელმძღვანელობდა.

1918 წლის აპრილ-მაისში, **როცა ოკუპანტი თურქეთის მესამე, მეექვსე და მეცხრე არმიები ვეჰიბ-ფაშას ხელმძღვანელობით მთელ საქართველოს წალეკვით ემუქრებოდნენ და ქვეყანა უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა,** გერმანულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ელიტამ **ნოე ჟორდანიასა და მის გუნდს,** რომლებიც, საისტორიო ბედისწერის წყალობით, ქართველი ერის სვე-ბედს განაგებდნენ, ასეთი წინადადება შესთავაზა — **თუ გინდათ, რომ დაგეხმაროთ და თურქეთის აგრესია შევაჩეროთ, რომელმაც 1918 წლის 7 აპრილს უკვე ოზურგეთი აიღო და სამტრედიასაც უმიზნებს, დამოუკიდებლობა გამოაცხადეთო!** ჰოდა, ჟორდანიაც, რომელსაც არასოდეს ამ საკითხზე არ უფიქრია და უოცნებია, იძულებული გახდა, **დიახ, სწორედ იძულებული გახდა,** 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა!

## აი, ამ 26 მაისს ზეიმობს საქართველო! სამაგიეროდ, საქართველო არ ზეიმობს ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებულ თავისუფლებას.

ზვიადი, რომელიც დისიდენტური საქმიანობის გამო მერაბ კოსტავასთან ერთად პირველად 15 წლის ასაკში დააპატიმრეს და რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება სწორედ ერის გამოღვიძებასა და სამშობლო-ქვეყნის გათავისუფლებას შეალია, თანამედროვე საქართველოს პოლიტსამგლეთისთვის მიუღებელია! ამიტომაც მგლებივით ღრღნიან საქართველოს სხეულს...

მოკლედ, **ყოველ 26 მაისს საქართველო ზეიმობს გერმანელების მიერ გამოცხადებულ თავისუფლებას** და უსინდისოდ აფრიალებს **მუცელზე მფორთხავი სააკაშვილის პარტიულ დროშას,** რომლის გარყვნილი და დეგრადირებული რეჟიმი 26 ათასი მამაკაცის გაუპატიურებაშია მხილებული. როცა საქართველოს თავისუფლებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, მთელი ქართული პოლიტიკური ელიტა, **როგორც პოზიცია, ისე „ოპოზიცია“,** კეთროვანივით გაურბის და კრინტს არ ძრავს ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შესახებ.

## 26 მაისს ზეიმობს გერმანელების მიერ გამოცხადებულ თავისუფლებას და აფრიალებს გარყვნილი სააკაშვილის პარტიულ დროშას!





## ერთადერთი, ვისაც საქართველოს წამებული და ულმობლად გამეტებული პრეზიდენტი არასოდეს ავიწყდება, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილია.

**სალომე ზურაბიშვილისგან** განსხვავებით, რომელიც თავის „კაგებეშნიკ“ ქმართან ერთად ზვიად გამსახურდიას პარიზიდან ებრძოდა და ცილს სწამებდა, ირაკლი ღარიბაშვილს ქვეყნის პირველი პრეზიდენტი **არც 2022 წლის 26 მაისს დავიწყებია!**

იმისთვის, რომ ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული საქართველოს თავისუფლება მიეჩქმალა, გაებიაბრუებინა და ხალხისთვის გადაევიწყებინა, გერმანელების მიერ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული თავისუფლება 1991 წლის ოქტომბერში გერმანიის ერთ პატარა ქალაქში გამართული საიდუმლო ბანკეტის მასპინძელმა **ედუარდ შევარდნაძემ** აიტაცა. სწორედ ამ ბანკეტზე აკურთხეს ის ცნობილმა მასონებმა „საქართველოს პრეზიდენტად“ და **საქართველოში ჩამოვიდა თუ არა, ზვიად გამსახურდიას მემკვიდრეობის მოსპობას გეგმაზომიერად და მეთოდურად შეუდგა.** ბოლოს თავის **გია გულუებს, ავთო იოსელიანებს, ავთო მარგიანებს, ლეონარდო დევდარიანებს, აკია ბარბაქაძეებს, მალხაზ ჩემიებსა** თუ ათასი ჯურის მანქურთებს თავად ზვიად გამსახურდიაც მოასპობინა და შექმნა სისტემა, რომელიც საქართველოს დღემდე მართავს. ასე, მაგალითად, **ხაზარ-ფაშა მამუკა ხაზარაძე** ეს არის **შევარდნაძე „თიბისი ბანკში“; თემურ ჭყონია — შევარდნაძე „კოკა-კოლაში“, თეა წულუკიანი — შევარდნაძე მუზეუმში,** ხოლო **ბარამიძე, ბაქრაძე, ბურჯანაძე, გოგორიშვილი და ულვაშიანი ქათამი — რომან გოცირიძე** — ეს არის **კოლექტიური შევარდნაძე ЖОПოპოზიციაში** *(სიტყვიდან **ЖОП**, ანუ **Ж**урналист **О**лег **П**анфилов)!*

როცა საქართველო სააკაშვილის პარტიულ დროშებს აფრიალებს და 26 მაისს ზეიმობს, ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი ციხეში კი არ ზის, არამედ ჩიტივით თავისუფალია. კაცმა რომ თქვას, სააკაშვილი მართლაც არ არის ციხეში და მისი დღევანდელი მდგომარეობა დაახლოებით ასე შეიძლება შეფასდეს — **„არც მიწისაა, არც — ცისა!“**

მოკლედ, საქართველო სამარცხვინო დღეშია: **26 მაისს ზეიმობს გერმანელების მიერ გამოცხადებულ თავისუფლებას და აფრიალებს გარყვნილი სააკაშვილის პარტიულ დროშას!** ეს არის იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ **1992 წლის 6 იანვრის შემდეგ, რაც საქართველოდან ზვიად გამსახურდია განდევნეს,** პოლიტიკური რეჟიმი არ შეცვლილა.

## ირაკლი ღარიბაშვილს აქვს შანსი, დაანგრიოს ეს სისტემა და დაიწყოს დამოუკიდებელი საქართველოს გაბრწყინება, მაგრამ ამ ბრძოლას დასჭირდება ლაშარის გორზე შადგომა!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**ირაკლი ღარიბაშვილი**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*

რომ არ მოსულიყო **ბატონი ივანიშვილი და ჩვენი ხელისუფლება,** დღეს ჩვენს ქვეყანას არავითარი შანსი არ ექნებოდა არა თუ ევროკავშირთან ინტეგრაციის, **ქვეყანა აღარ გვექნებოდა.**

ერთადერთი ბერკეტი, რაც ამათ (ოპოზიციას) ჰქონდათ დარჩენილი, რომ **რამენაირად ომში მომხდარიყო ჩვენი ქვეყნის ჩართვა,** ესეც ვერ მოახერხეს, **შემოაგზავნეს მთავარი კონტრაბანდის საქონელი** — **სააკაშვილი,** რომელსაც უნდოდა რეალურად ომის, რევოლუციის მოწყობა და ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაცია. **არ გამოუვიდათ! არ გამოგივათ არასოდეს!**

„იმედინიუსი“



**სოზარ სუბარი**
*პარლამენტარი*

დარწმუნებული ვარ, დადგება დღე, როდესაც **ერთიან საქართველოში დამოუკიდებლობის დღეს** აფხაზებიც, ოსებიც და ქართველებიც ერთად ვიდღესასწაულებთ. ოპოზიციას ერთი სული აქვს, **საქართველომ ვერ მიიღოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი,** რომ იქნებ ხალხი გამოვიდეს ქუჩაში და ამით მაინც მიაღწიონ საწადელს.

„იმედინიუსი“



**ლევან იოსელიანი**
*„მოქალაქეების“ წევრი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი*

**ღარიბაშვილმა** რომ ხელი მოაწერა უვიზო მიმოსვლას, ამით **ღარიბაშვილმა** ისარგებლა თუ ხალხმა, რომელიც ევროპაში ვიზის გარეშე დადის? **ხელისუფლება აკონტროლებს სასამართლოს** თუ **სასამართლო აკონტროლებს ხელისუფლებას,** ეს უკვე საკითხავია.

„იმედინიუსი“



**კონსტანტინე გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას ვაჟი*

**ერეკლე მეფის** შესახებ ამდენი ყაყანი ეფუძნება ისტორიის, ასევე 1783 წლის ზაფხულზე დადებული **გეორგიევსკის ტრაქტატის** პირობების ელემენტარულ არცოდნას.

„საქართველოს რესპუბლიკა“

# გუკანალისკენ, ბიჭებო, სწორდით!

***გრძელდება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დიდი ქართველი მეფეების ლანძღვა-გინებაში, რომელშიც ერთმანეთს ცნობილი ლიბერალები და ცნობადი გამოქლიავებულები ეტოქებიან.***

როგორც იცით, ჩემპიონატის პირველ წრეში ტოლი არავის დაუდო **ლევან ბერძენიშვილმა,** რომელმაც **ერეკლე მეფე** საქართველოს მოღალატედ შერაცხა, ხოლო **დავით აღმაშენებლის** შვილები კრეტინებად და დეგენერატებად გამოაცხადა. საბოლოო ჯამში, ლიბერალთა და გამოქლიავებულთა შეჯიბრის პირველ წრეში **ბერძენიშვილს** გამარჯვება მოუტანა ფრაზამ: **„სანამ ერეკლე მეორე მოღალატედ არ არის გამოცხადებული, მანამდე ღარიბაშვილი იტყვის — აბა, ომი გინდათ?!“**

დიდი ქართველი მეფეების ლანძღვა-გინების ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის გამარჯვებულ ლევან ბერძენიშვილს პრიზიც შესაბამისი ერგო — **თელავში, ერეკლე მეფის მოედანზე, ერეკლე მეფის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს მდებარე საპირფარეშოს შესასვლელში მისი გადიდებული და ჩარჩოში ჩასმული სურათი დაკიდეს წარწერით — „საქართველოს მოღალატეების ადგილი!“**

ყოველივე ამის შემდეგ დიდი ქართველი მეფეების ლანძღვაგინების ეროვნული ჩემპიონატის მაყურებლები ვარაუდობდნენ, რომ პირველ წრეში ასეთი უპირატესობით დაწინაურებულ ბერძენიშვილს ვეღარავინ დაეწეოდა და სეზონის ბოლოს **ლიბერალთა და გამოქლიავებულთა შეჯიბრის** ერთპიროვნული გამარჯვებულიც სწორედ იგი გახდებოდა, მაგრამ სატურნირო მდგომარეობა მოულოდნელად შეიცვალა და ჩემპიონობისათვის ბრძოლაში ბერძენიშვილს სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

**საქმე ის არის, რომ დიდი ქართველი მეფეების ლანძღვა-გინების ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრეში ნამდვილი ფურორი მოახდინა აწ გარდაცვლილი ცნობილი პოლიტიკოსის ვახტანგ რჩეულიშვილის ვაჟმა გუკა რჩეულიშვილმა,** რომელმაც საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე დაწერა — **„ერთი დავით აღმაშენებლის დედაც მოვ...ან“**

*(ცენზურა ჩვენია. რედ.).*

აღსანიშნავია, რომ **გუკა რჩეულიშვილის** ამ ფეისბუქპოსტის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, ერთი ათად გაიზარდა მისი დედის — ქალბატონი **მაია რჩეულიშვილის** პოპულარობა, რადგან საქართველოს მოსახლეობის მიერ **მისი სახელის „ყველა ბრუნვაში ტრიალმა“** და **„ცხრასართულიანმა მოკითხვებმა“** პიკს მიაღწია.

მოკლედ, **გუკა რჩეულიშვილის** მიერ **დავით აღმაშენებლის დედის გინებამ** ვერც დავით აღმაშენებელს დააკლო რამე და ვერც მის დედას — **ელენე დედოფალს,** მაგრამ **თავად გუკა რჩეულიშვილის დედა კი, რომელიც ციხიდან ცოტა ხნის წინათ გამოვიდა, ნამდვილად საშინელ და შესაბრალის დღეში აღმოჩნდა. საწყალს თითქოს ის არ ეყოფოდა, მისი სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტის“ მიერ მოტყუებული და უბინაოდ დატოვებული მოქალაქეები წყევლა-კრულვას რომ უთვლიან და ახლა საკუთარმა შვილმა მთლად დანა გამოუსვა ყელში.**

აღარაფერს ვამბობთ **გუკა რჩეულიშვილის მამაზე** — ცხონებულ **ვახტანგ რჩეულიშვილზე,** რომელიც მისი ვაჟის განცხადების გამო, ალბათ, საფლავში ტრიალებს!

ასეა თუ ისე, დიდი **ქართველი მეფეების ლანძღვა-გინების ეროვნული ჩემპიონატის** მეორე წრის უდავო გამარჯვებული დავით აღმაშენებლის დედის მაგინებელი **გუკა რჩეულიშვილი** გახდა და თუ რამე სასწაული არ მოხდა, ლიბერალთა და გამოქლიავებულთა ტურნირის საბოლოო ტრიუმფატორის ვინაობაც სწორედ მისი და ლევან ბერძენიშვილის საფინალო ჯახში გაირკვევა.




## ლევან ბერძენიშვილის მიერ ერეკლე მეფის მოღალატედ გამოცხადების კვალდაკვალ, გუკა რჩეულიშვილმა დავით აღმაშენებელს დედა შეაგინა!






მანამდე, ცხადია, ბერძენიშვილის მსგავსად, საპატიო შუალედური პრიზის გარეშე არც რჩეულიშვილი დარჩება — **თუ ლევანის ფოტო თელავის ცენტრალურ მოედანზე ტუალეტის შესასვლელში გამოაკრეს, გუკას გადიდებულ და ჩარჩოში ჩასმულ სურათს, სავარაუდოდ, ფონიჭალის შესასვლელში დაკიდებენ, სადაც პოლიცია ნარკობარიგებს თითქმის ყოველდღე იჭერს და ვირის აბანოში გზავნის!**

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ქართველი მეფეების ლანძღვა-გინების ეროვნულ ჩემპიონატს **ლევან ბერძენიშვილისა და გუკა რჩეულიშვილის** სახით ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავს, შეჯიბრის მონაწილე **სხვა ლიბერალებმა და გამოქლიავებულებმა** ყურები არ უნდა ჩამოყარონ, რადგან ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, მითუმეტეს, რომ მათ მიერ საგინებელი დიდი მეფეები, სახელმწიფო მოღვაწეები და ქართული ეკლესიის მიერ კანონიზებული წმინდანები ჩვენს ისტორიაში კიდევ ბევრნი არიან.

## თუ ლევანის ფოტო თელავის ცენტრალურ მოედანზე ტუალეტის შესასვლელში გამოაკრეს, გუკას გადიდებულ და ჩარჩოში ჩასმულ სურათს, სავარაუდოდ, ფონიჭალის შესასვლელში დაკიდებენ, სადაც პოლიცია ნარკობარიგებს თითქმის ყოველდღე იჭერს და ვირის აბანოში გზავნის!

უბრალოდ, **ლიბერალთა და გამოქლიავებულთა ტურნირის მონაწილეებმა** ერთი რამ უნდა გაითვალისწინონ — ჩემპიონატი რაც უფრო გახურდება და ფინიშისაკენ წავა, მხოლოდ დავით აღმაშენებლის, ერეკლე მეორისა და მათი რანგის ისტორიული პერსონების ლანძღვა-გინება საკმარისი აღარ იქნება. დიახ, **საბოლოო გამარჯვებულის გამოსავლენად ყურადღება მიექცევა არამარტო იმას, თუ ვინ უფრო ხმამაღლა გამოაცხადებს ერეკლე მეფეს საქართველოს მოღალატედ ან ვინ უფრო ორიგინალურად შეაგინებს დედას დავით აღმაშენებელს, არამედ იმასაც, თუ ვინ უფრო დამაჯერებლად და არგუმენტირებულად შერაცხავს ეროვნულ გმირებად, თავისუფლებისათვის წამებულ რაინდებად და პუტინის პირად პატიმრებად ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილს.**

ასე რომ, **ჩემპიონატის მონაწილე ლიბერალებო და გამოქლიავებულებო,** არ დაგავიწყდეთ: ძირითადი ქულები ერეკლე მეფის მოღალატედ გამოცხადებისა და დავით აღმაშენებლის დედის გინებისათვის გეწერებათ, მაგრამ სააკაშვილისა და გვარამიას გმირებად შერაცხვისათვის ბონუს-ქულები გემატებათ, რაც, შესაძლოა, ტურნირის მოგებისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს! რა თქმა უნდა, ამ საქმეში დამატებითი მოტივაცია არ გჭირდებათ, მაგრამ სულ გახსოვდეთ, რომ **ჩემპიონატის გამარჯვებულს საქართველოს ნომერი პირველი ლიბერალ-გამოქლიავებულის სახალხო ტიტულთან ერთად არაჩვეულებრივი პრიზი ელოდება — სამარადისო საგზური საკურორტო კუნძულ გუკანალში!**

მართალია, **გუკა**ნალისკენ მიმავალ გზაზე გუკა რჩეულიშვილი და ლევან ბერძენიშვილი საგრძნობლად დაწინაურდნენ, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდება!

ასე რომ, **ტარიელ ჭანტურიას** დიდებული ლექსის ბოლო სტრიქონების პერიფრაზით მოგიწოდებთ: **გუკანალისკენ, გუკანალისკენ, გუკანალისკენ, ბიჭებო, სწორდით!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ქართულ პოლიტიკას ჰყავს გამორჩეული **ჯაყოები** და **თეიმურაზ ხევისთავები** — ჯაყოებში თუ არის ჩემპიონი **მიხეილ სააკაშვილი,** თეიმურაზ ხევისთავებში ჩემპიონი ნამდვილად **დავით უსუფაშვილია.**

საქართველოში **არ არიან პოლიტპატიმრები** — საქართველოში, სამწუხაროდ, **არიან კრიმინალები პოლიტიკაში.**

„აიპრესი“

**ირმა ინაშვილი**
*„პატრიოტთა ალიანსის“ გენერალური მდივანი*



**ლევან ბერძენიშვილ-სტუკაჩოვს** არავინ და არაფერი არ მოსწონს, თურმე, რევიზიისა და ანალიზის უფლება არ გვაქვსო?! **გრძელი მახათი აქვს მომარჯვებული.**

რა რევიზია, რომელი რევიზია, ვის უწყობთ რევიზიას — **დავით აღმაშენებელს? ერეკლე მეფეს? გიორგი სააკაძეს?** წადი, ძმაო, **ჯერ შენი შვილი შეწირე გააზრებულად სამშობლოს, მისი მოკვეთილი თავი დაიტირე** და მერე ატლიკინე ეგ ბოროტი ენა.

„აიპრესი“

**გივი სიხარულიძე**
*მსახიობი, მწერალი*



ძალიან ნაწყენი ვარ, რომ **ლევან ბერძენიშვილი** ვერ „გაიტანეს“! ნებისმიერი უბრალო რუსი მირჩევნია ამ უზომოდ განათლებულ ერის მოღალატეს! მეფე ერეკლე და ვაჟა-ფშაველა ერის სიდიადეა, მისი დონის პოეტი მსოფლიოს არ ჰყავს! **ლევან ბერძენიშვილი მუშაობს ქართული გენეტიკისა და სიდიადის დანგრევაზე!**

„კვირის პალიტრა“

**ირაკლი ქარსელაძე**
*რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი*



2025 წლის ბოლომდე ქვეყნის **ყველა ქალაქს 24-საათიანი წყალმომარაგება ექნება.** წელს დაგეგმილი საგზაო მონაკვეთების გახსნით **თბილისიდან ბათუმამდე გადაადგილებას 3 საათი და 40 წუთი დასჭირდება.**

„ინტერპრესნიუსი“

# პატიმარ მიხეილის

*ცხადია, მკითხველი მიხვდა, რომ წინამდებარე წერილის სათაური — „პატიმარ მიხეილის თავი“ — ალუზიურად ეხმიანება რუსი ფანტასტიკოსი მწერლის ალექსანდრ ბელიაევის ცნობილი რომანის სახელწოდებას — „პროფესორ დოუელის თავი“.*






**„პატიმარი მიხეილი“ რაღა თქმა უნდა, გიული ალასანიას მხოლოდშობილი ვაჟი მიხეილ სააკაშვილი გახლავთ,** რომლის შესახებაც დედამისმა სრული სერიოზულობით განაცხადა — პრეზიდენტობის დროს არათუ დანაშაული არ ჩაუდენია, შეცდომაც კი არ დაუშვიაო!

რაც შეეხება **პატიმარ მიხეილის თავს,** ნაცსექტის წარმომადგენელ **ზვიად კუპარავას** თუ დავუჯერებთ, წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილი ფოტო სწორედ სააკაშვილის თავის შიგთავსია! კუპარავამ ეს ფოტო საკუთარ ფეისბუქგვერდზე გამოაქვეყნა და ასეთი ტექსტი დაურთო (სტილი და პუნქტუაცია სრულად დაცულია. რედ): ***„გავა წლები და ამ კვლევებზე მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები იმუშავებენ თუ რა ფენომენი იყო ეს. ყველაზე მოაზროვნე ტვინი მსოფლიოში. ველურმა ბრბომ არ იცის, რას სჩადიან. უნდა გაუძლო... უნდა გადარჩე. მიხეილ სააკაშვილი ქართველი გენიოსი“.***

ბუნებრივია, დანამდვილებით ვერ ვიტყვით, **კუპარავას** მიერ ფეისბუქში გამოქვეყნებულ ფოტოზე სააკაშვილის თავის ტვინი ჩანს თუ, მაგალითად, **რომან გოცირიძის** ან **ლევან ხაბეიშვილის?** გარდა ამისა, თავის ტვინის სურათი იმდენად უხარისხოა, რომ თვით შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობით შეიარაღებული სპეციალისტიც კი ვერ გაარჩევს, შიგ რა ხდება — მართლაც **მსოფლიოს ნომერ პირველი გენიოსისათვის დამახასიათებელი სისავსე იკვეთება თუ მსოფლიოს ნომერ პირველი კრეტინისათვის დამახასიათებელი სიცარიელე?** და კიდევ: ე.წ. ფეიკების მიმართ ნაცსექტანტების განსაკუთრებულ მიდრეკილებას თუ გავითვალისწინებთ, **არც ის არის გამორიცხული, კუპარავას მიერ გამოქვეყნებულ ფოტოზე ადამიანის კი არა, ჰომინიდების ჯგუფის რომელიმე სხვა წარმომადგენლის, ვთქვათ, ორანგუტანგის თავის ტვინი იყოს გამოსახული.**

თუმცა, ფოტოზე უფრო მნიშვნელოვანი ის ტექსტია,

## პატიმარ მიხეილის თავი, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით, მკვდარი თავია, რომელსაც ზვიად კუპარავა კი არა, პროფესორი დოუელიც ვერ გააცოცხლებს!

რომელიც მას ნაცსექტანტმა კუპარავამ დაურთო — **„ყველაზე მოაზროვნე ტვინი მსოფლიოში!“** ე.ი. კუპარავამ კაცობრიობის ისტორიის ყველა დიადი ადამიანი, ლეონარდო და ვინჩით დაწყებული და ალბერტ აინშტაინით დამთავრებული, ხელის ერთი მოსმით გააუქმა და თითოეულ მათგანზე მაღლა სააკაშვილი დააყენა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ნაცსექტა არის ყველაზე ბნელი და ფანატიკური სექტა დედამიწის ზურგზე ოდესმე არსებულ სექტათა შორის.

სხვათაშორის,

**საააკაშვილის „ქართველ გენიოსად“ და „მსოფლიოს ყველაზე მოაზროვნე ტვინად“ შემრაცხავი ზვიად კუპარავა ის ნაცია, რომელმაც ორი წლის წინათ საქვეყნოდ განაცხადა – ჩემი შვილი ბიძინა ივანიშვილის დაბადების დღეს – 18 თებერვალს რომ არ**


მიხეილ სააკაშვილი და ზვიად კუპარავა





## კუპარავამ კაცობრიობის ისტორიის ყველა დიადი ადამიანი, ლეონარდო და ვინჩით დაწყებული და ალბერტ აინშტაინით დამთავრებული, ხელის ერთი მოსმით გააუქმა და თითოეულ მათგანზე მაღლა სააკაშვილი დააყენა!

### კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



ბოლო პერიოდში აღარ საუბრობენ, **მიხეილ სააკაშვილი** უკანონოდ არის დაპატიმრებულიო. ყველა ნელ-ნელა ეგუება იმ აზრს, რომ, როდესაც ადამიანი **სანდრო გირგვლიანის მკვლელებს ხელს დააფარებს,** ის ადამიანი უნდა დაისაჯოს, როდესაც ადამიანი **საქართველოს პარლამენტის წევრს თითქმის სიკვდილამდე აცემინებს,** ის ადამიანი უნდა დაისაჯოს, ამას უნდა შევეგუოთ.

„პირველი არხი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ჩამოუყალიბებელი ოპოზიცია** გვყავს და იმიტომ არიან **პოლიტიკურ სანაგვეში.**

მიუხედავად იმ ხარვეზებისა, რაც გვაქვს მმართველობაში, **ქართველ ხალხს მმართველობაში ურჩევნია მაინც „ქართული ოცნება“** და არა სიცრუის მოლაპარაკე ოპოზიცია.

„აიპრესი“

**ნონა გაფრინდაშვილი**
*მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ჭადრაკში*



26 მაისის დარბევა **შავი ფურცელია** ჩვენი ისტორიისთვის, რადგან იქ **სასაკლაო გამართეს.**

„TV იმედი“

**ირაკლი ბათიაშვილი**
*პოლიტიკოსი*



**2011 წლის 26 მაისი** არის ის მოვლენა, რომელმაც ადამიანები შეიწირა და **ეს სისხლიანი სადამსჯელო ოპერაცია ჩაატარა არა გარეშე ძალამ, არამედ საქართველოს ხელისუფლებამ.**

„TV იმედი“

**ვახტანგ მეგრელიშვილი**
*„გირჩი — მეტი თავისუფლება“, პარლამენტარი*



ნაციონალური მოძრაობა პარტიის შიგნითაც კი **ისეთი დეზორგანიზებულია,** რომ პასუხს ვერავის მოსთხოვ.

„იმედინიუსი“

# თავი

## დაბადებულიყო, ცოლი წინა დღეს საკეისრო კვეთით ვამშობიარეო!

აი, ასეთი ეგზემპლარები არიან თავშეყრილი ნაცსექტაში და მათგან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს, ხოლო **პატიმარ მიხეილის თავს** რაც შეეხება, სანამ შიგ **„მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები“** ჩაიხედავენ და დაადგენენ, **„რა ფენომენი იყო ეს“,** მანამდე ჩვენ შეგვიძლია, მისი უნიკალურობა და გამორჩეულობა დავადასტუროთ!

დიახ,

**შეგვიძლია ვთქვათ, რომ დედამიწაზე არცერთი ნორმალური ადამიანის თავში აზრადაც არ გაიელვებდა ის, რაც პატიმარ მიხეილის თავში მოიხარშა და მისი მანქურთების ხელით განხორციელდა!**






Zviad Kuprava
3d ·

გავა წლები და ამ კვლევებზე მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები იმუშავებენ თუ რა ფენომენი იყო ეს.

ყველაზე მოაზროვნე ტვინი მსოფლიოში.

ველურმა ბრბომ არ იცის რას სჩადიან! უნდა გაუძლო... უნდა გადარჩე✊

Mikheil Saakashvili ქართველი გენიოსი🇬🇪

**მხოლოდ პატიმარ მიხეილის თავში შეიძლებოდა, დაბადებულიყო** ციხეში სასტიკად ნაწამები პატიმრების მორგში ჩათრევისა და ცხედარზე მიბმის იდეა!

**მხოლოდ პატიმარ მიხეილის თავში შეიძლებოდა, დაბადებულიყო ისეთი რეჟიმის შექმნის იდეა,** რომელიც ქართველ კაცებს ციხეებსა და სამეგრელოს ტყეებში მოწყობილ საწამებელ ბუნაგში გააუპატიურებდა არამარტო ცოცხის ტარით, რეზინის ხელკეტითა და პლასტმასის ბოთლით, არამედ 35 ლარად დაქირავებული და „ვიაგრის“ აბებით გაჭყეპილი **თემურ უბირიას** მეშვეობით!

**მხოლოდ პატიმარ მიხეილის თავში შეიძლებოდა, დაბადებულიყო ის სისასტიკე,** რომელიც სისრულეში აფხაზეთის**კუდ**-ის ყოფილმა უფროსმა, სააკაშვილის მიერ ეროვნულ გმირად გამოცხადებულმა **რომან შამათავამ** ჩაიდინა, როცა ორი უდანაშაულო ქართველი ვაჟკაცი — **დათო ცინდელიანი** და **პაატა ქარდავა** შუა ზღვაში კატერზე დახვრიტა, ცხედრებს ბეტონის ნატეხები გამოაბა და წყალში ჩაძირა!

**მხოლოდ პატიმარ მიხეილის თავში შეიძლებოდა, დაბადებულიყო ის სიმხეცე,** რომელიც მისმა სადამსჯელო რაზმებმა 2011 წლის 26 მაისს გამოავლინეს, როცა მშვიდობიანი მომიტინგეები ყველა მხრიდან ალყაში მოაქციეს, ხელ-ფეხი შეუკრეს, ასფალტზე დაყარეს და ძვალ-რბილი გაუერთიანეს, ცემით მოკლული **ნიკა კვინტრაძისა** და **სულიკო ასათიანის** გვამები კი მაღაზიის სახურავზე გადამალეს!

კიდევ ბევრს ვიტყოდით, მაგრამ ძალიან შორს წაგვიყვანს და დიდ დროს წაგვართმევს **ყველა იმ სისაძაგლის, სიბილწისა და სიშლეგის ჩამოთვლა,** რაც ნაცხროვამ ხელისუფლებაში ყოფნის 9 წლის განმავლობაში ჩაიდინა და რისი თავი და თავიც აწ უკვე პატიმარი მიხეილი იყო!

ამდენად, **თუ ნაცსექტანტი ზვიად კუპრავას მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ბუნდოვან ფოტოზე მართლა პატიმარ მიხეილის თავის ტვინია ალბექდილი, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს „ქართველი გენიოსისა“ და „მსოფლიოს ყველაზე მოაზროვნე“ ადამიანის თავის ტვინი კი არა, ქართველი სოციოპათისა და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი მმართველის თავის ტვინია!**

თანამედროვე ქართველ პოეტს **ვახტანგ ჯავახაძეს** აქვს ლექსი კაცზე, რომელსაც ყველგან და ყოველთვის გაჰქონდა თავი, რომელიც არ ჰქონდა; ბუზს არასოდეს ისვამდა თავზე, რომელიც არ ჰქონდა; მუდამ ამაყად ეჭირა თავი, რომელიც არ ჰქონდა, ბოლოს კი საქვეყნოდ მოეჭრა თავი, რომელიც ჰქონდა!

სააკაშვილის საქმეც სწორედ ასეა —

**მას ქართველი გენიოსისა და მსოფლიოში ყველაზე დიდი მოაზროვნის თავი არასოდეს ჰქონდა, ხოლო სოციოპათისა და მიზანთროპის თავი, რომელიც ჰქონდა, საქართველოსა და მთელი მსოფლიოს წინაშე დიდი ხნის წინათ მოიჭრა!**

ასე რომ, ახლა პატიმარ მიხეილის თავი, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით, მოჭრილი თავია — **მკვდარი თავი,** რომელსაც **ზვიად კუპრავა კი არა, პროფესორი დოუელიც ვერ გააცოცხლებს!**

***ჯაბა ხუბუა***

---



# ტუსაღი სააკაშვილის დედამ შვილის პარტია დაასამარა!

***რუსთავის საპყრობილიდან სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანილი სააკაშვილი დედამისმა გიული ალასანიამ უკვე რამდენჯერმე მოინახულა. თუმცა, 27 მაისის ვიზიტის შემდეგ კლინიკიდან გამოსულმა პატიმრის დედამ ისეთი აღიარებითი ჩვენებები გადმოაპირქვავა, ნაცტელევიზიებმა ეთერში სირცხვილით ვერც კი გაუშვეს.***



**გიული ალასანია: თურმე, არავინ ყოფილა მიშას მომხრე და არავინ ყოფილა მისით კმაყოფილი!**

მოდით, ჩვენი მხრიდან სუბიექტურობის შთაბეჭდილება რომ არავის დარჩეს, ტუსაღი სააკაშვილის დედის ზუსტი ციტატები მოვიყვანოთ. უპირველეს ყოვლისა, **გიული ალასანიამ, როგორც იქნა, აღიარა, რომ მის შვილს მხარდამჭერები არ ჰყოლია:**

*„ძალიან გაბრაზებული ვარ, ძალიან ბევრზე და ძალიან ბევრ რამეზე. ძალიან ბევრი რამის გამო გაბრაზებული ვარ. იმიტომ, რომ სულ მესმის სხვათაშორის ტელევიზორიდან, გადაცემებიდან, მე კი არ ვიყავი, იცით მისი მომხრე და მე კი არ ვიყავი... თურმე, არავინ არ იყო მისი მომხრე არასოდეს და არავინ არ იყო არაფრით კმაყოფილი. ყველა ნაწყენი აღმოჩნდა ამ ქვეყანაში“.*

ანუ **გიული ალასანიამ** გააცნობიერა, რომ მისი შვილის მომხრეთა **„500-ათასკაციანი არმია“** წმინდა წყლის ბუტაფორია აღმოჩნდა და რამდენიმე ათეული კინკილა ნაცის გარდა ქუჩაში არავინ გამოდის „სააკაშვილის სიცოცხლის გადასარჩენად“!

**ეს სააკაშვილის დედის მხრიდან პირდაპირი ბრალდებაა ნაცმოძრაობაზე, რომელმაც ისიც კი ვერ მოახერხა, რომ დატუსაღებული ფიურერის ციხიდან გამოსახსნელად მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი რაოდენობის ხალხი გამოეყვანა ქუჩის საპროტესტო აქციებზე!**

თუმცა, აქ მხოლოდ ნაცმოძრაობის უბადრუკობისაკენ თითის გაშვერაც არ იქნებოდა სამართლიანი: **ნაცპარტიის გვერდის ავლით, პირადად სააკაშვილის დედ-მამისა და ძმების ორგანიზებულ აქციებსაც აშკარად არ მისწყდომია ზღვა ხალხი!**

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილიც და მისი პარტიაც ხალხმა ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ჩარეცხა!

ახლა, მოდით, ვნახოთ, **გიული ალასანიას** მეორე ციტატაც, რომელიც თავად ყოფილი პრეზიდენტის დედის აღიარებაა, რა უნდოდა, საქართველოში, რას ჩამოდიოდაო:

*„უკვე აღარავის აღარაფერი მჯერა! აქ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ეს ჩემი შვილი საერთოდ საიდან მოვიდა, რატომ მოვიდა და რატომ არის ამ ქვეყანაში, საერთოდ რაიმე გაუკეთებია ამ ქვეყნისთვის მავნებლობის გარდა?! არ ვიცი უკვე, აღარაფერი ვიცი...“.*

**აი, ეს არის სწორედ ეგრეთ წოდებული „ფროიდისტული წამოცდენა“: საერთოდ რამე გაუკეთებია ამ ქვეყნისთვის მავნებლობის გარდაო?!** ახლა მეტი რაღა უნდა თქვას ქალმა?! **გიული ალასანიამ თუ არა, აბა, უკეთ ვინ იცის, რომ მიხეილ სააკაშვილს საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის იმდენი და იმხელა მავნებლობები აქვს გაკეთებული, რომ ერთს კი არა, ათ უვარგის ხელისუფლებას ეყოფოდა!**

ჰოდა, სწორედ, ეს წამოცდა გიული ალასანიას — **როგორც ჩანს, ხალხი იმიტომ არ აქტიურობს ჩემი შვილის საპყრობილიდან დასახსნელად, რომ ამ ქვეყნისთვის მავნებლობის მეტი არაფერი გაუკეთებიაო!** თუმცა, მავნებლობა ზუსტი შეფასება არ არის იმისა, რაც სააკაშვილმა საქართველოს დამართა! მავნებლობებს ვინ ჩივის, იმდენი საშინელი დანაშაულია სააკაშვილის ანგარიშზე!

ჰოდა, იმიტომაც არის, რომ **ხალხმა ფეხებზე დაიკიდა საპყრობილეში გამოკეტილი სააკაშვილი!** მიუხედავად იმისა, რომ მისი ოჯახიც, ჯიბის ტელევიზიებიც, ჯიბის არასამთავრობოებიც დღედაღამ გაჰკივიან, მიშა ციხეში კვდება და შველა სჭირდებაო, ეს არავის ანაღვლებს! **აგერ, ბატონო, ტუსაღი სააკაშვილის დედამაც კი სახალხოდ აღიარა!**

***გიორგი გიგაური***

---

## კვირგვინოსნები



**მაია ნიკოლეიშვილი**
*სამედიცინო ექსპერტი*

დაოკდით, აღქმებით და ემოციებით მცხოვრებნო: **კანონია უზენაესი და არა თქვენი აღქმები!** ფაქტების გათვალისწინებით კი, მოსამართლე, ბატონი **ლაშა ჩხიკვაძე** მაღალი კლასის პროფესიონალია, სამართლიანია, გაბედული და თან ადამიანური!

„ალია“



**ვახო სანაია**
*ჟურნალისტი*

ჩემო მეგობრებო, **„ასავალ-დასავალისა“ და „იმედის“ პროპაგანდის წაყრუებას მოსდევს გაოცება,** როცა აღმოვაჩენთ, თუ საიდან და როგორ გაძლიერდა ღია თუ შეფარული პრორუსული განწყობები ასე ძალიან.

„ალია“



**გიორგი ხელაშვილი**
*პარლამენტარი*

დღეს არის დრო, როდესაც **მთელი საქართველო უნდა გაერთიანდეს** და ერთი ხმით მიმართოს დასავლეთს: **ჩვენ მზად ვართ და ვიმსახურებთ, ვიყოთ ევროპული ქვეყანა.**

„ინტერპრესნიუსი“



**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*

დაიხსომეთ, **ხაზარაძე-ჯაფარიძის** და „ლელოს“ პოლიტკარიერას დაასრულებენ **უსუფაშვილი და სამადაშვილი.** არ გჯერათ? აგერ მე და აგერ თქვენ.

„აიპრესი“

## პატარა ვაშაძის დიდი წამოცდენა

***საქართველოს პარლამენტის წევრ გიორგი ვაშაძეს, რომელიც „მთავარ არხთან" კომენტარს აკეთებდა პატიმარ სააკაშვილის უცხოეთში სამკურნალოდ გაგზავნის საკითხთან დაკავშირებით, ასეთი რამ წამოსცდა: „მე არ მინახავს ექიმი, რომელიც იტყოდა, რომ მას (სააკაშვილს) ცუდი მდგომარეობა აქვს". თუმცა, იმავე წამს მიხვდა, რომ მისი ნათქვამი ნაცოპოზიციის ნარატივში არ ჯდებოდა და დაამატა — „კარგად არის, უფრო სწორად".***

მოკლედ, **გიორგი ვაშაძეს**, რომელსაც **ჭიჭე, ანუ პატარა ვაშაძეს** ეძახიან, აშკარად **დიდი წამოცდენა** მოუვიდა, რაც წყალს ასხამს ფართო საზოგადოებაში ფესვგადგმულ მოსაზრებას, რომ **პატიმარი სააკაშვილი სიმულანტობს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სულაც არ არის ისეთი მძიმე, როგორც ამის წარმოჩენას ოპოზიცია ცდილობს.**





## თელაველები ლევან ბერძენიშვილს ენის დამოკლებისკენ მოუწოდებენ!

*„დიდება მეფეს! ერეკლე ჩვენი სიამაყეა! ჩვენ ვიცავთ მეფეს და ისტორიას, რომლის დამახინჯებით მცდელობა ეროვნული დანაშაულია!"* ***— ამ სიტყვებით გააპროტესტეს თელავში ერეკლე მეორის რეზიდენციის წინ შეკრებილმა ცნობილმა ადამიანებმა ფილოლოგისა და პოლიტიკოსის ლევან ბერძენიშვილის განცხადება, რომ მეფე ერეკლე მეორე მოღალატე იყო.***

ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ეს მოწოდება გავრცელდა აღშფოთებული თელაველების მიერ საზოგადოებრივ ტუალეტში ლევან ბერძენიშვილის პორტრეტის განთავსების კვალდაკვალ.

**„ენა დაიმოკლოს ლევან ბერძენიშვილმა, ყველა ჭკვიანად იყოს, სანამ თელაველები კარგად ვლაპარაკობთ. არ გაბედონ ამ ვიგინდარებმა ასეთი სიტყვების მეორედ წარმოთქმა!"** — განაცხადა აქციაზე თელავის თეატრის დირექტორმა **პაატა გულიაშვილმა.**



## 4 სცენარი ზელენსკისთვის

***ფრანგული გამოცემა „ფიგაროს" მკითხველებმა ვოლოდიმირ ზელენსკის მოღვაწეობის დასრულების 4 ვარიანტი განიხილეს. მათი აზრით, უკრაინაში შექმნილი ვითარების მოგვარება შესაძლებელია არა დიპლომატიური გზით, რომელზეც ადრე ლაპარაკობდა ზელენსკი, არამედ, პოსტიდან მისი გადადგომით.***



გამოცემის მკითხველთა აზრით, ზელენსკისთვის არსებობს 4 სავარაუდო სცენარი — 1. **სადამ ჰუსეინივით** ტყვედ ჩავარდნა და გასამართლების შემდეგ დასჯა; 2. **ნიკოლაე ჩაუშესკუს** მსგავსად მისი დაპატიმრება და სასიკვდილო განაჩენი ყოველგვარი გასამართლების გარეშე; 3. **უსამა ბინ ლადენის** დარად დასჯა გასამართლების გარეშე; 4. **ადოლფ ჰიტლერივით** თვითმკვლელობა სასამართლოს თავიდან აცილების მიზნით.

## ევროკავშირი იძულებულია, ნავთობი რუსეთისგან იყიდოს!

***ევროკავშირის კომისიის ხელმძღვანელის ურსულა ფონ დერ ლაიენის განცხადებით, „ევროკავშირი იძულებულია, იყიდოს ნავთობი რუსეთისგან, რადგან, თუ ევროპა რუსულ ნავთობზე უარს იტყვის, პუტინი მყიდველებს სხვა ბაზარზე იპოვის და უფრო მეტი თანხის გამომუშავებას შეძლებს, პროდუქტი კი გაძვირდება.***



ევროკავშირის შიდა ბაზრის კომისრის **ტიერი ბრეტონის** განცხადებით, რუსეთი ენერგომატარებლების ექსპორტით დღე-ღამეში 800 მილიონ ევროს გამოიმუშავებს.



# არცა დუგინი,

***რაც უფრო მეტად ცდილობს ქართული სახელმწიფო დამოუკიდებელ და სუვერენულ ნიშანთვისებათა გამომჟღავნებას, მით უფრო ბრაზდებიან და ცოფებს ყრიან ცალკეული უცხოელი პოლიტიკოსები და დიპლომატები.***



საერთოდ, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ქართველი ხალხი ხედავს და ისმენს, რომ ამერიკელი კონგრესმენები, ევროპელი პარლამენტარები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ქართულ სახელმწიფოს პირდაპირ კარნახობენ, როგორი კანონები უნდა მიიღოს, როგორი დეპუტატები, მინისტრები, პროკურორები და მოსამართლეები უნდა ჰყავდეს, რომელი დამნაშავე უნდა გაასამართლოს და რომელი — არა, საზოგადოების რომელი ჯგუფის ინტერესები და უფლებები დაიცვას და რომელი ჯგუფის ინტერესებისა და უფლებების დაცვაზე არ შეიწუხოს თავი.

რაც მთავარია, **უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ქართველი საზოგადოებაც და უცხოელი ჭკუის მასწავლებლებიც დაეჩვივნენ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება ამერიკიდან და ევროპიდან წამოსულ ყველა დირექტივასა თუ რეკომენდაციას უსიტყვოდ ემორჩილებოდა და იქცეოდა არა ისე, როგორც ქართველ ხალხს სურდა და სჭირდებოდა, არამედ ისე, როგორც ევროპელ და ამერიკელ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებს ესიამოვნებოდათ.**

აქედან გამომდინარე, **ქართველ ხალხს გაუჩნდა განცდა და კომპლექსი, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, რეალურად კი ვასალის უფლებებიც არ გააჩნია!**

თავის მხრივ,

**ევროპელმა და ამერიკელმა ჭკუის დამრიგებლებმაც ირწმუნეს, რომ საქართველო სუვერენული სახელმწიფო კი არა, ერთი უისტორიო, უკულტურო, უცივილიზაციო ქვეყანაა, რომელიც თავიანთ ჭკუაზე უნდა ალზარდონ, თავიანთ თარგზე მოჭრან და თავიდან „გააკეთონ",**

— როგორც ალექსი — **ენტონი ბერჯესის** რომანიდან **„მექანიკური ფორთოხალი".**

თუმცა, უკანასკნელ ხანს ქართული სახელმწიფო ურჩობს და ლამობს, აღმზრდელთა იმპერატიულ ნება-სურვილებს შეეწინააღმდეგოს!

**ქართულ სახელმწიფოს გარედან უჩიჩინებენ, უკიჟინებენ და უბრძანებენ** — რუსეთს სანქციები დაუწესე და მეორე ფრონტი გაუხსენიო, მაგრამ ქართული სახელმწიფო უარზეა — **არ ვიზამ მაგას, რადგან ჩემი ეროვნული ინტერესები დაზარალდება, ჩემი ხალხი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება და ქვეყანა თავზე დამენგრევაო!**

ქართულ სახელმწიფოს გარედან კბილებს უღრჭიალებენ და თითს უქნევენ — ესა და ეს კაცი არ დასაჯო, პოლიტიკურ მოცემულობას გაუწიე ანგარიში და მართლმსაჯულების აღსრულებაზე უარი თქვიო, მაგრამ ქართული სახელმწიფო აღარც ამ დირექტივას ემორჩილება — **კანონის წინაშე ყველა თანასწორია და დამნაშავეს პოლიტიკოსობა თუ მედიამენეჯერობა სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ვერ იხსნისო!**

ქართულ სახელმწიფოს გარედან ფეხებს უბაკუნებენ და მუშტს უღერებენ — კეთილი ინებე და ყველაზე დიდ ოპოზიციურ პარტიასთან ითანამშრომლეო, მაგრამ ქართული სახელმწიფო აქაც კერკეტი კაკალივით არის — **მეყო, რომ ამ სისხლის სამართლის დამნაშავეთა ბანდასთან წლების განმავლობაში კოჰაბიტაციაში ვიყავი, მათთვის თავზე ხელის გადასმას აღარ ვაპირებო!**

ერთი სიტყვით, ეს ძნელად აღსაზრდელი ბავშვი — **ქართული სახელმწიფო** — უცხოელ დედინაცვლებსა და მამინაცვლებს უკვე მორჯულებული რომ ეგონათ, უცებ გაჯიქდა და თავისნათქვამა გახდა!

არადა, სულ ცოტაღა იყო

# „არცა დუგინი, არცა დეგნანი" იგივეა, რაც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!"

## კვირგვინოსნები

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის" თავმჯდომარე*



მოვუწოდებ ხელისუფლებას და ოპოზიციას, **4 კვირა მაინც გაჩუმდნენ და ერთმანეთი არ ლანძღონ** — გარწმუნებთ, შედეგი იზოლაცია იქნება, ერთ დღეს შეიძლება აღმოვჩნდეთ ოკუპანტთან ისე, რომ **ერთი მეგობარიც აღარ დაგვრჩეს.**

„ინტერპრესნიუსი"

**გურამ მაჭარაშვილი**
*პარლამენტარი*



ოპოზიციის ნაწილს ევროკავშირის წევრებთან აქვს კომუნიკაცია, რომ **როგორმე შეფერხდეს საქართველოს გაწევრიანების პროცესი,** მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არ მოხდეს „ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში.

„იმედინიუსი"

**ნიკუშა შენგელია**
*მხატვარი*



არასდროს არ იქნება **არანაირი შანსი** იმისა, რომ საქართველო ისევ ჩაბარდეს ადამიანებს, რომლებიც ევროპაში **თავიანთი ქვეყნის საწინააღმდეგო** ინფორმაციას ავრცელებენ.

„TV იმედი"

# არცა დეგნანი!



დარჩენილი, რომ ქართულ სახელმწიფოს თვითლიკვიდაცია გამოეცხადებინა და ქართული პარლამენტიც, ქართული სასამართლოცა და ქართული პროკურატურაც გაეუქმებინა, მათი ფუნქციები კი ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოებისათვის გადაებარებინა. შესაბამისად, ქართველი პროკურორებისა და ქართველი მოსამართლეების მაგივრად ევროკავშირის ელჩი **კარლ ჰარცელი** და აშშ-ის ელჩი **კელი დეგნანი** გადაწყვეტდნენ, ვინ მიეცათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ვინ დაესვათ განსასჯელის სკამზე, ვინ გაეშვათ ციხეში და ვინ გამოეშვათ ციხიდან; ქართველი დეპუტატების მაგივრად ამერიკელი კონგრესმენები და ევროპელი პარლამენტარები შექმნიდნენ მათთვის ხელსაყრელ ქართულ კანონმდებლობას; აღარც კონსტიტუცია დაგვჭირდებოდა, აღარც — სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კოდექსები, პირდაპირ **ვიოლა ფონ კრამონის, რასა იუქნევიჩიენესა და ჟიგიმანტას თუ გიჟიმანტას პავილიონისის** გაიდლაინებით ვიცხოვრებდით!

და აი, ასეთ ვითარებაში ქართულმა სახელმწიფომ ხმის ამოღება გაბედა!

ქართული სახელმწიფო ცდილობს, მოხევე ლელთ ღუნიას მოტივზე ალაპარაკდეს — **ჩემი თავი ჩემადვე მეყუდნესო!**

თუ უცხოელ დეიდებსა და ბიძიებს ილია ჭავჭავაძის მიერ ამეტყველებული **ლელთ ღუნიას** მოხეური დიალექტი არ ესმით, ქართულ სახელმწიფოს შეუძლია, მათთვის გასაგებ თანამედროვე ენაზეც თქვას — **არცა დუგინი, არცა დეგნანი!**

**„არცა დუგინი, არცა დეგნანი“** იგივეა, რაც **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“**

დიახ, საქართველოს სახელმძღვანელოდ არც კრემლის იდეოლოგის **ალექსეი დუგინის** იდეები გამოადგება და არც თეთრი სახლის ემისრის **კელი დეგნანის** სენტენციები!

## საქართველოს უფროსად და ბატონად არ სჭირდება არც რუსეთი, რომლის იმპერიული მიზნების ერთ-ერთი მთავარი რუპორიც დუგინი გახლავთ და არც – ამერიკა, რომლის იმპერიულ ინტერესებსაც დეგნანი გამოხატავს!

**რუსული იმპერიის იდეოლოგი** დუგინი 2008 წელს ისტერიკულად ითხოვდა, რომ რუსული ტანკები თბილისში შესულიყვნენ, საქართველოს ოსების გენოციდში ადანაშაულებდა და აცხადებდა, რომ ქართველები ადამიანებად არ მიაჩნია!

**ამერიკული იმპერიის ემისარი** დეგნანი ისტერიკულად ცდილობს, საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაერიოს და თავს უფლებას აძლევს, ქართულ სახელმწიფოს დამტუქსავი ტონით უკარნახოს პოლიტიკური და სამართლებრივი ცხოვრების დღის წესრიგი!

**იმპერია, რომელსაც დუგინი ემსახურება,** საქართველოს სამხედრო ოკუპაციას ახდენს, ხოლო **იმპერია, რომელსაც დეგნანი ემსახურება,** საქართველოს პოლიტიკურ ოკუპაციას ცდილობს!

ამიტომაც არ უნდა იაროს საქართველომ **არც დუგინის და არც დეგნანის გზით!**

ამიტომაც არ უნდა იაროს საქართველომ **არც დუგინერატებისა და არც დეგნანერატების ჭკუაზე,** არადა, ერთნიც და მეორენიც მრავლად ჰყავს!

**დუგინერატების** სურვილი და მიზანია, საქართველო რუსეთის ვასალი იყოს!

**დეგნანერატების** სურვილი და მიზანია, საქართველო ამერიკის ვასალი იყოს!

**საქართველოს სურვილი და მიზანია, არც დუგინის და არც დეგნანის იმპერიის ვასალი არ იყოს!**

**არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა!** — ამბობდა **ტერენტი გრანელი,** ვისი გვარიც პოეზიას დარჩა!

**არცა დუგინი, არცა დეგნანი, არამედ რაღაც სხვა!** — უნდა თქვას **საქართველომ!** ის **„რაღაც სხვა“** სწორედ დიდი ილიას მიერ მოხეურ კილოზე დატოვებული ანდერძია — **ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!**

**ჯაბა ხუბუა**

# საქართველომ არც დუგინერატებისა და არც დეგნანერატების ჭკუაზე არ უნდა იაროს!

## კვირგვინოსნები

**დავით ზილფიმიანი**
„ევროპელი სოციალისტების“ წევრი, პარლამენტარი



ევროპიდან მირეკავს მეგობარი — **თქვენი ქვეყნის წარმომადგენელი ჩამოსულია აქ და შინაარსი ის არის, რომ ამ ხელისუფლების დროს არ მივიღოთ საქართველო ევროპაშიო** — ამას სხვა დროს მოღალატე ეწოდებოდა.

პრაქტიკულად, ოპოზიციის სეგმენტი გახდა გარანტი, რომ **2024 წელს „ქართული ოცნება“ კიდევ ერთხელ უპირობოდ მოვიდეს** ხელისუფლებაში.

„იმედინიუსი“

**სალომე სამადაშვილი**
„ლელოს“ წარმომადგენელი, პარლამენტარი



**ჩვენ რომ გვაქვს სურვილი,** ევროკავშირში გავწევრიანდეთ, გასაგებია და **ჩვენ ნამდვილად გვაქვს ეს სურვილი** და ქართველ ხალხსაც, მაგრამ **ევროპაში ვინმეს აქვს სურვილი** თქვენი ხელისუფლების პირობებში, რომ მოგვცეს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი?

„იმედინიუსი“

**გია აბაშიძე**
ანალიტიკოსი



**სალომე სამადაშვილზე:** როცა „ლელოში“ ხარ, იქ ანალიზსა და ცოდნას არანაირი მნიშვნელობა აქვს. მთავარია, **სერტიფიცირებული თაღლითის** მამუკა ხაზარაძის ხუშტურების მორჩილება. „იმედინიუსი“

## ტელემონიტორი

### დნეპრის მერმა არესტოვიჩს „მოლაპარაკე უკანალი“ უწოდა!

***უკრაინის ქალაქ დნეპრის მერმა ბორის ფილატოვმა თავის ტელეგრამ-არხზე განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსეი არესტოვიჩი „მოლაპარაკე ტრ..ია“ და მეტი არაფერი.***



**ფილატოვის** თქმით, **არესტოვიჩი** ორი კვირის წინათ უკრაინელებს საომარი კონფლიქტის მალე დასრულებაში არწმუნებდა, დღეს კი „საგანგაშო ვითარებაზე“ ალაპარაკდა, დნეპრის მერმა განაცხადა, რომ **„გული ერევა არესტოვიჩის ცინიზმის, სულელური ხუმრობებისა და ნარცისიზმის გამო“.**

### „რეალი“ კვლავ ევროპული ფეხბურთის მეფეა!

***28 მაისს პარიზში, სტადიონ „სტად დე ფრანსზე“, გაიმართა უეფას ჩემპიონთა ლიგის 2021-2022 წლების ფინალური მატჩი (ეს იყო ევროპული ფეხბურთის მთავარი ტურნირის დაარსებიდან 67-ე და მისთვის ჩემპიონთა ლიგის დარქმევიდან 30-ე ფინალი), რომელშიც ერთმანეთს მადრიდის „რეალი“ და ლივერპულის „ლივერპული“ დაუპირისპირდნენ.***




ინგლისელთა დიდი უპირატესობის მიუხედავად, შეხვედრა ესპანელთა გამარჯვებით დასრულდა — 1:0, ბურთი 59-ე წუთზე **ვალვერდეს** გადაცემით **ვინისიუს ჟუნიორმა** გაიტანა. ეს იყო მადრიდელთა ერთადერთი ზუსტი დარტყმა მთელ მატჩში ლივერპულელთა 9 დარტყმის წინააღმდეგ, მაგრამ ამით „რეალი“ ჩემპიონთა ლიგის თასს მე-14-დ დაეუფლა!

**P.S.** ალბათ, სიმბოლურია, რომ ასევე **მე-14-დ მოიგო** რუსეთის თასი **მოსკოვის „სპარტაკმა“,** რომელმაც 29 მაისს მოსკოვის „დინამოს“ ანგარიშით 2:1 სძლია.

### მამაკაცს ხელები გადაუნერგეს!

***შოტლანდიელ სტივენ გალაჰერს ექიმებმა ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს და ორივე ხელი გადაუნერგეს. ახლა მას ტკივილი აღარ ტანჯავს და უხარია, რომ ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდება.***



48 წლის **სტივენს** ექიმებმა დაავადება **სკლეროდერმიის** დიაგნოზი დაუსვეს, რომლის შედეგად კანსა და შინაგან ორგანოებზე ჩნდება ნაწიბურები. დაახლოებით 7 წლის წინათ მამაკაცს თითები დაეგრიხა, მუჭის გაშლას ვეღარ ახერხებდა და იძულებული გახდა, მუშაობისთვის თავი დაენებებინა. 2021 წლის ბოლოს ქალაქ ლიდსში ექიმების 30-კაციანმა გუნდმა **სტივენ გალაჰერს** ოპერაცია გაუკეთა. ახლა მამაკაცს ტკივილი აღარ აწუხებს და თითქმის ყველა მოძრაობას ასრულებს.

### პოროშენკო 2-ჯერ შეეცადა უკრაინიდან გასვლას

***უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო 27 მაისს ორჯერ შეეცადა უკრაინის დატოვებას, მაგრამ ორჯერვე წარუმატებლად.***



საკონტროლო-გამშვებ პუნქტ რავა-რუსკაიაზე **პოროშენკო** პირადი ავტომობილით შეეცადა პოლონეთის ტერიტორიაზე გადასვლას, მაგრამ მესაზღვრეებმა შეაჩერეს იმ მოტივით, რომ ექსპრეზიდენტისა და ამჟამად უკრაინის პარლამენტის დეპუტატის პასპორტში QR-კოდი არ იკითხებოდა. პოროშენკოს სურვილი, დატოვოს უკრაინა, მარტივი ასახსნელია — უკრაინაში ის ეჭვმიტანილია სახელმწიფოს ღალატში და 15-წლიანი პატიმრობა ემუქრება.

# პუტინი ივანე



ილია რეპინის ტილო „ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს“

***რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, როცა პუტინის რაკეტები დედამიწას არყევს და აზანზარებს, მოსკოვში, ტრეტიაკოვის გალერეაში, რესტავრაციიდან ბრუნდება დიდი რუსი მხატვრის ილია რეპინის ცნობილი ტილო „ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს“...***

ეს შედევრი, რომელიც **რეპინმა** 1885 წელს დაასრულა, ორჯერ დააზიანეს. პირველად — **1913 წელს** ვიღაც სტაროვერმა **ბალაშოვმა,** ხოლო 2018 წელს — მორიგმა თანამედროვე ვანდალმა. რუსეთის იმპერიის საუკეთესო რესტავრატორები ნახატისათვის პირვანდელი ფორმის დაბრუნებას მთელი ოთხი წლის განმავლობაში ცდილობდნენ. რამდენად კარგად შეძლეს სპეციალისტებმა მისი აღდგენა, ჩვენთვის უცნობია, თუმცა, ის ფაქტი, რომ **რუსეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლიანი და წინააღმდეგობრივი მმართველი ივანე მრისხანე** რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ტრეტიაკოვის გალერეაში ბრუნდება, აშკარად სიმბოლური დატვირთვის მატარებელია. აკი, პუტინსაც ძლიერ უყვარს სიმბოლოები. ასე, მაგალითად, **2020 წლის 5 მარტს, როცა ერდოღანი მოსკოვში მოსალაპარაკებლად ჩავიდა, პუტინმა თავის ხელქვეითებს ბუხარზე ევგენი ლანსერეს ცნობილი სკულპტურა — „გადასვლა ბალკანეთზე“ შემოადებინა და სწორედ მის ფონზე გაუბა ერდოღანს მასლაათი.** მოგეხსენებათ, ევგენი ლანსერეს მიერ ბრინჯაოში ჩამოსხმული ზემოხსენებული შედევრი **1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის** პერიპეტიებს ასახავს, რომელშიც რუსეთმა თურქეთი დააჩოქა და რუსთ-ხელმწიფის გამარჯვებით ყველა ქრისტიანმა იხეირა — **ბულგარეთი თურქთა უღლისგან გათავისუფლდა, ხოლო საქართველომ თურქეთის მიერ ოკუპირებული ისტორიული ქართული მიწები — ბათუმი, აჭარა, შავშეთი და ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიბრუნა.**

ყოველივე ამის გათვალისწინებით გვჯერა, რომ რეპინის ცნობილ ტილოს — **„ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს“** ტრეტიაკოვის გალერეაში მაინცდამაინც ახლა, როცა მთელი მსოფლიო რუსეთს აუმხედრდა, შემთხვევით არ აბრუნებენ.

**ივანე მრისხანემ,** რომელიც 1547 წელს **პირველი რუსი „ცარი“** გახდა, ქვეყანა 37 წლის განმავლობაში მართა. ამ მხრივ მას ვერავინ შეედრება და მისი მმართველობის ხანგრძლივობის რეკორდი თვით სტალინმაც კი ვერ მოხსნა. **მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდა — 53 წლისა გარდაიცვალა, როგორც თანამედროვენი წერენ, ივანე მრისხანე იმდენად იყო დამძიმებული ცოდვებით, რომ ზეზეურად ყარდა და მიხრწნილ მოხუცს ჰგავდა.** ისტორიკოს ევგენი ანისიმოვის თქმით, არ არსებობს ცოდვა და დანაშაული, რომელიც მას არ ჩაუდენია, ხოლო საქვეყნოდ ცნობილი რუსი ისტორიკოსი, პოეტი და კრიტიკოსი **ნიკოლაი კარამზინი** პირდაპირ წერდა — **რუსი ხალხი, რომელმაც ივანე მრისხანეს საშინელ ტერორსა და ძალადობას წინააღმდეგობა არ გაუწია, გაოგნებას იწვევსო!**

სამაგიეროდ, **ვლადიმერ პუტინმა** 2017 წლის 14 ივნისს ივანე მრისხანე კბილებით დაიცვა, როცა განაცხადა — **„ჯერ კიდევ უცნობია, მოკლა თუ არა მან თავისი შვილი. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ საერთოდ არც არავინ მოუკლავს, რომ ეს ყველაფერი გამოიგონა პაპის ნუნციამ, რომელიც მოსალაპარაკებლად ეწვია მეფეს და ცდილობდა მართლმადიდებელი რუსეთის კათოლიკურ რუსეთად გადაქცევას, მაგრამ, როცა ივანე ვასილის ძემ ამაზე უარი უთხრა და ცნობილ მისამართზე გაგზავნა, გაჩნდა ყველანაირი ლეგენდა... ამის შემდეგ შექმნეს მისგან ივანე მრისხანე, ამგვარი სუპერსასტიკი კაცი!“**

**არადა, ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ!** აურაცხელი ისტორიული დოკუმენტი არსებობს იმის შესახებ, რომ **1565 წელს დაწყებული „ოპრიჩნინით“, როცა ივანე ალექსანდროვსკაია სლობოდაში გადასახლდა და „რჩეულთა რადას“ ულტიმატუმი წაუყენა, რუსეთში უამრავი ადამიანი სრულიად უმიზეზოდ გააუბედურეს.** მეფის ბრძანებით, მისი ერთგული „ოპრიჩნიკები“ მდიდარი რუსი ბოიარების ცოლებსა და ქალიშვილებს ოჯახის წევრების თვალწინ აუპატიურებდნენ და კლავდნენ, ხოლო მათ ქონებას ისაკუთრებდნენ და ერთმანეთში იყოფდნენ. „ოპრიჩნიკების“ მეთაური **გრიგორი სკურატოვ-ბელსკი,** რომელსაც მეტსახელად „მალიუტას“ ეძახდნენ, სერიული მკვლელი და













## პოლონელები და შვედები ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოღალატე ცრუდიმიტრების მეშვეობით სწორედ ისე ჯიჯგნიდნენ რუსეთს, როგორც რუსები ჯიჯგნიან დღეს საქართველოსა და უკრაინას ცნობილი აგენტებისა და

## კვირგვინოსნები

**ელგუჯა ურუშაძე**

*რადიოქიმიკოსი, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ექსპერტი, თავდაცვის ვიცე-პრემიერი*



ყველანაირი სახის **ქიმიური იარაღი** აქვს რუსეთს, თუ რამ გამოუგონებინათ დღემდე... აქვს ისეთი **მომწამვლელი ნივთიერებები,** რომლებიც არ არის მსოფლიოში ცნობილი და მხოლოდ რუსებს აქვთ. ჩეჩნეთის ომში „ზარინზე“ უფრო უარესი **ქიმიური იარაღი** გამოიყენა რუსეთმა და უამრავი ადამიანი დაიხოცა. მაგრამ ვერ დაუმტკიცეს **ქიმიური იარაღის** გამოყენება. **ეს იარაღია** იმის მიზეზი, რომ დღეს ჩეჩნეთი პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს შორის პირველ ადგილზეა ონკოლოგიური დაავადებების მხრივ.

„ალია“

**ალეკო ელისაშვილი**

*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*



პოლონეთი აწვდის **საბჭოთა იარაღს** უკრაინას, სანაცვლოდ აშშ-სგან, ბრიტანეთისგან, გერმანიისგან იღებს **თანამედროვე შეიარაღებას,** ჩვენც შეგვიძლია ეს გავაკეთოთ, **საბჭოთა ჯართი მოვიშოროთ და გადავცვალოთ ეფექტურ შეიარაღებაში.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან მამალაძე**

*ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორი*



**მე სამშობლოში დავბრუნდი.** პოლიტიკაში ყოფნა, ეს არის ხელისუფლებისთვის ბრძოლა, **მე არ ვაპირებ პოლიტიკაში ყოფნას, მაგრამ ვიქნები პოლიტიკასთან.** მინდა, პირადად შევხვდე მიხეილ სააკაშვილს, თვალებში ჩავხედო და ვკითხო: **რას მერჩოდი, მიშა, 19 წელიწადი დევნილობისთვის რომ გამწირე, ახლობლები რომ დამიხოცე?**

„ალია“

**ვახტანგ ძაბირაძე**

*პოლიტოლოგი*



ვისაც ასე ჰგონია, რომ, თუ ჩვენ აქ **მეორე ფრონტს** გავხსნით, ამით უკრაინა სიმსუბუქეს იგრძნობს, შეუძლია, ნახოს, რა ხდებოდა 2008 წელს: **სამმა ტანკა აიღო მთელი საქართველო.**

„თბილისელები“

# მრისხანეს აბრუნებს!



## რეპინის ცნობილ ტილოს – „ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს“ ტრეტიაკოვის გალერეაში მაინცდამაინც ახლა, როცა მთელი მსოფლიო რუსეთს აუმხედრდა, შემთხვევით არ აბრუნებენ!

სოციოპათი იყო. ფსკოვში მან საკუთარი ხელით დაახრჩო **მოსკოვის მიტროპოლიტი ფილიპე,** რომელმაც რაღაცაზე წინააღმდეგობა გაუწია. რაც შეეხება საკუთრივ **ივანე მრისხანეს,** როგორც ცნობილია, მას, სულ მცირე, რვა ცოლი მაინც ჰყავდა და არსებობს სერიოზული ეჭვი იმის შესახებ, რომ თავის რძალთან, ანუ ვაჟიშვილის ცოლთანაც კი ჰქონდა სექსუალური კავშირი. **სწორედ ამ საშინელ ეჭვს უკავშირდება ის ტრაგიკული ისტორია, რომელიც 1581 წლის 16 ნოემბერს მოხდა და დიდმა რეპინმა თავისი ჯადოსნური ყალმით ეს ყველაფერი სამუდამოდ უკვდავყო, როგორც ტილოზე გაცოცხლებული სიკვდილის სიმფონია.**

იმ ავბედით დღეს ივანე მრისხანეს ნახევრად შიშველი რძალი, რომელიც ორსულად იყო, მამამთილთან ერთად ოთახში აღმოჩნდა. ოთახში რძალსა და მამამთილს შორის რა მოხდა, ზუსტად არავინ იცის, მაგრამ **ივანე მრისხანემ** რძალი სასტიკად სცემა, რის გამოც ქალს მუცელი მოეშალა. მომხდარის გამო ფსიქიკურად შეშლილ მამას ვაჟიშვილი — **ტახტის მემკვიდრე ივანე** დაუპირისპირდა, რომელიც რუსეთის „ცარს“ მეორე ცოლისგან ჰყავდა. ივანე მრისხანემ შვილს ბლაგვი საგანი, დიდი ალბათობით, კვერთხი ჩაარტყა და სული გააცხებინა.

**მართალია, ივანე მრისხანემ რუსეთს ყაზანის, ასტრახანისა და ციმბირის სახანოები შემოუერთა და დაიპყრო ბაშკირეთიც, მაგრამ იმპერიამ კისერი მოიტეხა ლივონიის ომში.** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ივანე მრისხანეს მმართველობის დროს, კერძოდ, 1571 წელს მოხდა სამარცხვინო და გაუგონარი რამ, რაც ქვეყანას მთელი ორასი წლის განმავლობაში არ მოლანდებია — **ყირიმის ხანმა დევლეთ გირეიმ მოსკოვი გადაწვა!**

არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ივანე მრისხანე **ბორის გოდუნოვმა** და **ბოგდან ბელსკიმ** მოგუდეს. გოდუნოვი „ოპრიჩნიკების“ უფროსის, წყეული **გრიგორი სკურატოვ-ბელსკის** დის ქმარი იყო, ხოლო **ბოგდან ბელსკი** — ძმისშვილი. როგორც ისტორიკოსი ლევ ლურიე ამტკიცებს, ბოგდან ბელსკი ბისექსუალი გახლდათ და ივანე მრისხანეს ოთახში ყოველ ღამე წვებოდა...

თუ რა ხდებოდა „ცარის“ საძინებელში, არავინ იცის...

**კრემლის ველიკოდერჟავულ და შოვინისტურ წრეებში მიჩნეულია, რომ რუსულ ნაციონალურ იდეას უფრო უკეთ პასუხობდა ივანე მრისხანე, ვიდრე პეტრე პირველი, რომელმაც ევროპისკენ „ფანჯარა გაჭრა“ და რუსეთი თავისი განვითარების ბუნებრივი კალაპოტიდან ამოაგდო.**

აშკარაა, პუტინიც ასე ფიქრობს და სხვების მსგავსად ისიც მიიჩნევს, რომ, **რადგან ივანე მრისხანემ რუსული მიწები „შეკრიბა“, ამდენად მისი როლი რუსეთის ისტორიის წინაშე განუზომელია...**

შესაძლოა, ეს ნაწილობრივ მართლაც ასეა, მაგრამ **არავინ ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორი ქვეყანა დატოვა ივანე მრისხანემ და როგორ წარიმართა ივანეს გარდაცვალების შემდეგ რუსეთის ბედი.** პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ის, რაც 1591 წლის 15 მაისის, ანუ ქალაქ უგლიჩში ივანე მრისხანეს მცირეწლოვანი ვაჟის, ტახტის მემკვიდრე უფლისწულ დიმიტრის საიდუმლო ვითარებაში გარდაცვალების შემდეგ დაიწყო, რუსი ერის ტრაგედია იყო. კერძოდ, **1613 წლამდე პოლონელები და შვედები ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოღალატე ცრუდიმიტრების მეშვეობით სწორედ ისე ჯიჯგნიდნენ რუსეთს, როგორც რუსები ჯიჯგნიან დღეს საქართველოსა და უკრაინას ცნობილი აგენტებისა და სამშობლოს მოღალატეების — სააკაშვილის, ელენე ხოშტარიას, ბოკერიას, ზელენსკის, ქალ-კაცა არესტოვიჩის, პოდოლიაკის, გრიგოლ ვაშაძის, თემურ ალასანიას, დავით არახამიასა და სხვა მათნაირთა მონაწილეობით!**

ასე რომ,

### ვიდრე გარყვნილი და საკუთარი შვილის მკვლელი ივანე მრისხანე

### თანამედროვე რუსეთის პოლიტიკის მეისრედ და ორიენტირად შეურაცხავთ, იქნებ კრემლში იმაზეც დაფიქრდნენ, რა ბედი გაიზიარა ივანეს მემკვიდრეობამ, ანუ რიურიკოვიჩების დინასტიამ, რომელიც სწორედ მის მცირეწლოვან ვაჟიშვილზე შეჩერდა!

როცა **ივანე მრისხანეს** პერსონას სიმბოლოებით ეთამაშები, იმისთვისაც მზად უნდა იყო, რომ ივანესა და მისი შთამომავლების ბედი პირდაპირ თუ არა, შესაძლოა, სიმბოლურად მაინც გაიზიარო!

**აი, ეს ფიქრები აგვიშალა სრულიად უწყინარმა ცნობამ იმის შესახებ, რომ ტრეტიაკოვის გალერეაში ილია რეპინის ცნობილი ტილო — „ივანე მრისხანე და მისი ვაჟი ივანე 1581 წლის 16 ნოემბერს“** რესტავრაციის შემდეგ დიდი ამბით უნდა გამოფინონ!

***დიტო ჩუბინიძე***







## ← სამშობლოს მოღალატეების – სააკაშვილის, ელენე ხოშტარიას, ბოკერიას, ზელენსკის, ქალ-კაცა არესტოვიჩის, პოდოლიაკის, გრიგოლ ვაშაძის, თემურ ალასანიას, დავით არახამიასა და სხვა მათნაირთა მონაწილეობით!



ცრუდიმიტრი მეორე

## კვირგვინოსნები

**ვახტანგ ხარჩილავა**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



— **მე ვარ ევროპელი, მაშასადამე, მე ვარ ქართველი!** — როდის იტყვიან ამას ევროპელები, რომლებიც საქართველოში რომ ჩამოდიან, **ქვეცნობიერად, ინსტინქტით, სისხლით გრძნობენ,** რომ დიდი ხნის წინათ მიტოვებულ მამის სახლში დაბრუნდნენ.

„საერთო გაზეთი“

**ემზარ გვენეტაძე**
*ისტორიის დოქტორი, პროფესორი*



ადამიანები, რომლებიც დღეს **საქართველოს ხელისუფლებას ეწინააღმდეგებიან და მისი ქმედების უცხოეთში დასმენით არიან დაკავებული,** ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, **საქართველოს სახელმწიფოსა და ხალხის მტრები არიან.**

„საერთო გაზეთი“

**თამარ გვერდწითელი**
*მომღერალი*



ადამიანს, რომელიც დაწერს სიმღერას **„საქართველო“,** არ შეიძლება გააჩნდეს **სხვა სამშობლო.** შეიძლება, ცხოვრობდეს 30 წელი **რუსეთში,** რომელსაც პატივს სცემს, უყვარს და მისი ცხოვრების ნაწილია, მაგრამ **სამშობლოს ცნება არის ყველაზე მაღლა მდგომი.** ღმერთმა კიდევ დამაწერინოს გაბრწყინებულ საქართველოზე სიმღერა.

„სარკე“

**გია გაბრიჭიძე**
*ჟურნალისტი*



**ის ხალხი,** ვინც თავს დაესხა **„იმედის“** ჟურნალისტს, **ის ხალხი,** ვინც ადამიანს გაზეთი **„ასავალ-დასავალი“** წაგლიჯა და დახია, **ის ე.წ. სახალხო დამცველი,** რომელმაც შუშის თვალებით და რობოტის ხმით განაცხადა, რომ „ამ ქმედების შეფასება მისი პრეროგატივა არ არის“, **საზოგადოებას არ წარმოადგენს,** არც არასდროს ყოფილა და ვერც იქნება!

„საქართველოს რესპუბლიკა“

დასაწყისი იხ. „ა–დ" №20–22










# მიხეილ ოსაძემ ჟიული შარტავა გააფრთხილა – შევარდნაძე აფხაზეთში იმიტომ გიშვებს, რათა უკან ცოცხალი აღარ დაბრუნდეო!

**ჟურნალისტი *მაყვალა ბერიანიძე* სააკაშვილის რეჟიმის დროს გაურკვეველ ვითარებაში დახვრეტილი პოლკოვნიკის გია თელიას სკანდალურ წერილს ასაჯაროებს და შევარდნაძესთან გამართულ იმ უმნიშვნელოვანეს საუბარს იხსენებს, რომელიც, ჩვენი აზრით, საქართველოს უახლესი ისტორიის უკანასკნელი ოცდაათწლიანი დრამატული ეპოქის გასაღებია:**

— დღემდე ბურუსითაა მოცული შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლისა თუ ჩამოყვანის თემა... საერთოდ, შევარდნაძე სიტყვა „ჩამოყვანაზე" ცოფდებოდა და ერთხელ ლამის ამიყვირდა — **რა მჭირდა მე ჯაბა იოსელიანისა და კიტოვანის ჩამოსაყვანიო?!** მახსოვს, ამ საკითხზე შევარდნაძესა და ჩემ შორის ასეთი შინაარსის კითხვა-პასუხი შედგა:

***„— ბატონო ედუარდ, გამსახურდიას იძულებით დაატოვებინეს საქართველო 1992 წლის 6 იანვარს, თქვენ მაშინ რას აკეთებდით?***

*— მე მაშინ გადამდგარი ვიყავი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან და ჩემი ასოციაცია მქონდა **იაკოვლევთან** ერთად — საკმაოდ საინტერესო, დემოკრატიის განვითარებისთვის იყო შექმნილი. მოსკოვში ჩამოდიოდნენ საქართველოდან, გადამწვარი იყო რუსთაველი, ხალხი დაპირისპირებული იყო ერთმანეთთან...*

***— ეს ყველაფერი ამერიკელებმა მოაწყვეს?***

*— (ხანგრძლივი პაუზა) არა!*

***— რატომ? განა ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა არ თქვა, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ, ანუ ამერიკის წინააღმდეგ მიცურავსო?***

*— ასე თქვა?*

***— არ გახსოვთ? დიახ, ასე თქვა და ზვიად გამსახურდია მოიცილეს კიდეც და თქვენ დაგიჭირეს მხარი!***

*— მე რა შუაში ვარ? მე მოსკოვში ვიყავი!*

***— ისე არ წამოხვიდოდით, ამერიკელებისთვის რომ არ გეკითხათ! წარსულშია ეს ყველაფერი, მინდა, გულწრფელი იყოთ!***

*— (პაუზა) არა, მთლად ასეც არ იყო, მაგრამ ბეიკერსა და ამერიკის დაზვერვის ხალხს კარგად ვიცნობდი. სწორედ მაგათ ვკითხე — რომ დავბრუნდე საქართველოში, მხარს თუ დამიჭერთმეთქი?*

***— ბატონო ედუარდ, მეც სწორედ ამას ვგულისხმობდი, დაგპირდნენ, არა?***

*— აბა, მათი დახმარების გარეშე რა უნდა გამეკეთებინა?! გენშერიც დამეხმარა, გერმანიიდან პირველი 75 ათასი დოლარი მაგან ჩამოიტანა...*

***— ყველაფერი გათვლილი იყო?***

*— რა?!*

***— ამერიკელების საქართველოში შემოსვლის შესახებ თქვენზე უკეთ ვინ იცოდა? უფრო ადრე რატომ არ მოვიდნენ ამერიკელები?***

*— მთლად ასე არ იყო!*

***— აბა, როგორ იყო? თქვენ რომ ჩამობრძანდით, ორ თვეში ბეიკერი ჩამოვიდა თბილისში, მერე კი ძალიან მალე ომიც დაიწყო აფხაზეთში!" აი, ეს საუბარი გაიმართა ჩემსა და შევარდნაძეს შორის...***

**— ქალბატონო მაყვალა, თქვენ წინაშე შევარდნაძეს, ფაქტობრივად, უღიარებია ყველაფერი...**

— ეს არის ზუსტი ამონარიდი ჩემი და შევარდნაძის ვრცელი საუბრიდან... დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს, რა აღიარა და რა არ აღიარა შევარდნაძემ!

**— მივუბრუნდეთ აწ განსვენებული გია თელიას საქმეს! პოლკოვნიკმა, რომელსაც შოთა კვირაიას უშიშროება გია გულუას მკვლელობის საკუთარ თავზე აღებას აიძულებდა, ოსაძის კომისიას საშველად რომ მიმართა, კვირაიას შესახებ რა ჩვენება მოგცათ?**

— **გია თელიას** ოსაძის კომისიის სახელზე არაერთი განცხადება აქვს დაწერილი. ერთ-ერთი განცხადება ჩემს არქივშიც ინახება, სადაც სიტყვასიტყვით ვათხულობთ:

*„მოგახსენებთ, რომ დამაკავეს 1994 წლის 23 აპრილს, როგორც **გია გულუას** მკვლელობის ერთ-ერთი მთავარი შემსრულებელი. ჩემ მიერ მიღებული ინფორმაციით, ჩემი დაკავების საფუძველი გახლდათ იმ დროისათვის მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის, ვინმე **ბეჟანიშვილის** მიერ მიღებული აგენტურული შეტყობინება იმის შესახებ, რომ თითქოს მე ვიყავი გენერალ გია გულუას მკვლელობის უშუალო შემსრულებელი და ეს ჩავიდინე **დავით ზეიკიძის** ბრძანებით. შეტყობინების მიღებისთანავე მთაწმინდის რაიონის პოლიციის უფროსმა **ელგუჯა ჯამბურიამ** ეს ინფორმაცია ხელში აიტაცა და სასწრაფოდ, ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრ **შოთა კვირაიას**, რომელმაც ჩემი დაკავება ნარკოტიკების წინააღმდეგ მებრძოლი ბიუროს უფროსს **ჯემალ შონიას** დაავალა."*

**— ე.ი. გია თელია პირდაპირ კვირაიას ჩაუვარდა ხელში?**

— დიახ, სწორედ ასე მოხდა. შესაძლოა, მკითხველისთვის საინტერესო არ იყოს ამ წერილის დეტალები, სადაც აწ განსვენებული **თელია** იმის შესახებ საუბრობს, თუ როგორ გაძარცვეს პოლიციელებმა მისი მანქანა, როგორ ამოიღეს ე.წ. „ბარდაჩოკიდან" მისი ოჯახის კუთვნილი 3 ათასი ამერიკული დოლარი, როგორ გადაიყვანეს შემდეგ მისი „07" შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში, სადაც მანქანიდან ამოიღეს აკუმულატორი და მაგნიტოფონი, როგორ გააყალბეს მისი ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგები, როგორ ჩაუდეს იარაღი და ა. შ. მაგრამ **უცვლელად გთავაზობთ გია თელიას მიერ მიხეილ ოსაძის კომისიის სახელზე დაწერილი იმ განცხადების ნაწილს, სადაც უშუალოდ შოთა კვირაიასა და გია თელიას ურთიერთობაზეა ლაპარაკი. თელია წერს:**

*„ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროში ჩემი დაკავება გაგრძელდა დაახლოებით 20 წუთს, შემდეგ შემოვიდა სამხედრო ფორმაში ჩაცმული, ავტომატებით შეიარაღებული ოთხი პიროვნება, რომლებმაც ჩამიყვანეს შინაგან საქმეთა მინისტრის **შოთა კვირაიას** მისაღებში. მინისტრის კაბინეტის კარი გაიღო და ხელი მკრეს შიგნით, სადაც ორ მწკრივად მდგარი, ავტომატებით შეიარაღებული და სამხედრო ფორმაში ჩაცმული ათი პიროვნება დამხვდა. ამათგან ზოგიერთი რუსი ეროვნებისა იყო, რომლებსაც ავტომატები ლულებით ეჭირათ. კაბინეტში შევდებისთანავე, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე, დამიწყეს ავტომატებით ცემა, რის შედეგადაც გონება დავკარგე. როდესაც გონს მოვედი, შოთა კვირაიას კაბინეტში მდებარე საშხაპეში სულ სველი და სისხლიანი ვიყავი. **მომიახლოვდა შოთა კვირაია, მას ხელში „სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი ეჭირა, რომელიც შუბლზე დამადო და მითხრა, რომ მე მოვკალი გია გულუა და იგი აპირებდა სისხლის აღებას.** მე, რა თქმა უნდა, მას უარი განვუცხადე და ვუთხარი, რომ არავითარი შეხება არ მქონდა აღნიშნულ მკვლელობასთან, რის შემდეგაც მან რამდენჯერმე უბრძანა რუსულად „თავის ბიჭებს" (ასე ეძახდა მათ), რომ გაემეორებინათ ცემის პროცესი, რაც მათ რამდენჯერმე გაიმეორეს კიდეც. ამის შემდეგ, შოთა კვირაიას ბრძანებით, ჩამიყვანეს წინასწარი დაკავების საკანში, სადაც კვირაიამ ათი დღე-ღამის განმავლობაში ჰაუპტვახტში ჯდომა მომისაჯა. ღამით საკანი რამდენჯერმე გაიღო და რამდენიმე სხვადასხვა ჯგუფმა მცემა. შემდეგ საკანში შემოვიდა **შოთა კვირაია**, რომელმაც განმიცხადა, რომ იგი წლების განმავლობაში მსახურობდა „კაგებეში", კერძოდ, „გრუ"-ში და იბრძოდა ავღანეთში, სადაც ბრძოლის ველზე დაჭრილ საბჭოთა ჯარისკაცებს ცეცხლში წვავდა, რათა ტყვედ არავინ ჩავარდნილიყო და მას სრულიად არ გაუჭირდებოდა ჩემი ოჯახის წევრების ცეცხლში დაწვა, მითუმეტეს, მაშინ, როცა „ჭორების გავრცელების ბიუროს" კარგად მუშაობის შედეგად ყველამ კარგად იცოდა, რომ **დავით ზეიკიძის** ბრძანებით მე მოვკალი გენერალი **გია გულუა.** შემდეგ გამიყვანეს საგამოძიებო ოთახში, სადაც დამხვდა უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე **თემურ ხაჩიშვილი.** მაჩვენეს ვიდეოფირი, რომელზეც ასახული იყო ჩემი მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი. მე შინაგან საქმეთა მინისტრის სიტყვებში ეჭვი არ შემპარვია, რადგან დანამდვილებით ვიცოდი, თუ როგორ დახვრიტა მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა სამეგრელოს რეგიონში ექვსი პიროვნება ყოველგვარი გასამართლების გარეშე. ამ დანაშაულის ჩადენის დროს ფეხის არეში დაიჭრა ერთ-ერთი თანამშრომელი. ჩემგან სასტიკი უარის მიღების შემდეგ კიდევ ერთხელ მცემეს, რის შედეგადაც გონი დავკარგე და დამაგდეს საკანში. ამ მდგომარეობაში მყოფს ღამით*

## „კიდევ ერთხელ ვაცხადებ: გენერალი მიხეილ ოსაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნას შეეწირა!"







# ასე მითხრა შევარდნაძემ...

## ბეიკერსა და ამერიკის დაზვერვის ხალხს კარგად ვიცნობდი. სწორედ მაგათ ვკითხე – რომ დავბრუნდე საქართველოში, მხარს თუ დამიჭერთ-მეთქი?



ჯეიმს ბეიკერი და ედუარდ შევარდნაძე

ჩუმად აღმომიჩინეს დახმარება „კაპეზეს" თანამშრომლებმა. მეორე დილით საქმეში უშიშროების კომიტეტის ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილება ჩაერთო. მათ თან ახლდათ უშიშროების კომიტეტის გამომძიებელი **სალაყაია,** რომელმაც შეადგინა „ამოცნობის" ოქმი. გვერდით დამიყენეს სუფთად ჩაცმული ოთხი პიროვნება, მხოლოდ მე ვიყავი სისხლიანი. საგამოძიებო ოთახში შემოიყვანეს ვიღაც ქალი და გაითამაშეს ამოცნობის სცენა (ამ ქალს, სანამ ამოცნობაზე შემოიყვანდნენ, წინასწარ დაანახეს ჩემი თავი). როგორც შემდგომ დავაზუსტე, ეს ქალი „ამოსაცნობად" მოიყვანა მთაწმინდის რაიონის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსმა **ბეჟანიშვილმა,** რომელიც მისი ნაცნობი იყო. **გია გულუას** მკვლელობის პარალელურად ბრალს მდებდნენ ქ. თბილისის პროკურორის **მიხეილ ქურდაძის** მკვლელობაშიც... ვითომ **დავით ზეიკიძის** დავალებით, რომელსაც თითქოსდა „პირადი მტრობა" ჰქონდა პროკურორთან, მე და **ირაკლი მხეიძემ** ეს დავალება შევასრულეთ. ჩემი დაკავებიდან რამდენიმე დღეში **ირაკლი მხეიძე** ორმოცი მოწმის თანდასწრებით მხედრიონელებმა დახვრიტეს! დღესდღეობით კი ეს საქმე პროკურატურის მიერ შეწყვეტილია, ვითომდა საქმის მასალების უქონლობის გამო. ამის შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა **შოთა კვირაიამ** ჩემი „დაკითხვა" გადააბარა რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსს **მურთაზ ჩიქობავას,** რომელმაც ახალი ბრალდებები წამომიყენა. კერძოდ, თითქოს მე მოკლული მყავდა ნარკოტიკების ცნობილი რეალიზატორი ქ. თბილისში **ბიჯი წამალაშვილი.** სინამდვილეში ამ მკვლელობასთან დაკავშირებით, სანამ მე დამაკავებდნენ, მანამდე მოხდა შემდეგი რამ: 1994 წლის აპრილში ჩემს ბინაში დარეკა **ბიჯი წამალაშვილის მეუღლემ ნანა წიკლაურმა.** ჩემთვის ცნობილი იყო, რომ იგი იმყოფებოდა აგენტურულ კავშირზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ბიუროს უფროსთან **ჯემალ ჯანაშიასთან.** ჯანაშია კი თანამშრომლების პირით მითვლიდა, რომ გამანადგურებდა, რადგან მე ვიყავი **„ზეიკიძისტი". ნანა წიკლაურმა** ტელეფონში მკითხა — გივი ხომ არ გინახავს, შენთან აპირებდა შეხვედრას 12.00 საათზე და იმის შემდეგ რამდენიმე დღეა, არ ჩანსო! მე მას ვუპასუხე — შენს მეუღლესთან არავითარი კავშირი არ მაქვს, რატომ უნდა შემხვედროდა-მეთქი? ამის შემდეგ **ნანა წიკლაურს** დავუკიდე ყურმილი. რამდენიმე დღის შემდეგ უბანში ხმა გავარდა — **ბიჯი წამალაშვილი** იპოვეს ლისის ტბის მიდამოებში ავტომატის ჯერით დაცხრილულიო! აი, მაშინ გამახსენდა ნანა წიკლაურის სატელეფონო ზარი და დავეჭვდი, რაიმე პროვოკაციას ხომ არ ჰქონდა ადგილი ჩემ მიმართ. გადავწყვიტე, ავსულიყავი გივი წამალაშვილის ბინაზე, სადაც მიცვალებული ესვენა. როდესაც ბინაში შევედი, **ნანა წიკლაური** შეცბა. მას ხელში ეჭირა რაღაც ქაღალდები, რომლებიც ჩემ დანახვაზე უცბად დამალა. ნანა წიკლაურმა ბოდიში მოიხადა, რომ ხალათში იყო და შევიდა საძინებელ ოთახში, თუმცა, კარი ღია დატოვა. კარში დატანებული მინის მეშვეობით დავინახე, რომ ნანა წიკლაურმა ქაღალდები ბალიშის ქვეშ ამოდო. მე დამაინტერესა ქაღალდებმა, გამოვიღე ისინი ბალიშის ქვეშიდან და წავიკითხე. ეს აღმოჩნდა **ჯემალ ჯანაშიას** სახელზე დაწერილი წერილი, სადაც ნანა წიკლაური რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსს დახმარებას სთხოვდა თავისი ქმრის **ბიჯი წამალაშვილის** მონახვაში. ნანა წიკლაურს წერილში მოყვანილი ჰქონდა ფაქტი — თითქოს მე უნდა შემხვედროდა მისი მეუღლე და იმის შემდეგ არ გამოჩენილა!"

**— ძალიან საინტერესო განცხადებაა!**

— საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **გია თელიას** დაკავებიდან რამდენიმე დღეში **ნანა წიკლაური** შინაგან საქმეთა სამინისტროს მესამე სართულიდან „გადმოხტა". ცხადია, წიკლაური მოკლეს!

**— მივუბრუნდეთ აწ განსვენებულ გენერალ მიხეილ ოსაძეს. როგორ ფიქრობთ, რა არ აპატია შევარდნაძემ მას, როცა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეობიდან გაათავისუფლა?**

— მახსოვს 2007 წლის 1 აპრილი, როცა **ზვიად გამსახურდია** მთაწმინდაზე დაკრძალეს. მაშინ მიხეილ ოსაძესთან ჟურნალისტები მიცვივდნენ და ჰკითხეს — ბატონო მიხეილ, რატომ ხართ გაფითრებული? ოსაძემ ამ შეკითხვას ასეთი პასუხი გასცა — **რა თქმა უნდა, გაფითრებული და გაოგნებული ვარ, რადგან დღეს ზვიად გამსახურდიას ყველაზე მეტად ისინი ჟირისუფლობენ, ვინც პირველი პრეზიდენტი დაამხო!**

იმ დღეებში მას ძალიან ბევრი ეკითხებოდა — მაინც რა მოხდა, ზვიად გამსახურდია როგორ და რა ვითარებაში მოკლეს? არცერთ ჟურნალისტს ამ შეკითხვებზე არ უპასუხა და სუყველას ერთსა და იმავესეუბნებოდა — **ამაზე ისტორია დუმს!** სინამდვილეში მისთვის უკვე გაცხადებული და გახსნილი იყო ყველაფერი და **კიდევ ერთხელ ვაცხადებ: გენერალი მიხეილ ოსაძე ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნას შეეწირა!**

სხვათაშორის, ოსაძე ზვიად გამსახურდიას უშიშროების მინისტრის მოადგილედ იმიტომ არ დაანიშნინეს და დაბლოკეს, რომ ეროვნული კადრი და ნამდვილი პროფესიონალი იყო და **კიტოვანისა** და დანარჩენი მეამბოხეების პარპაშს პრევენციულად აღკვეთდა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, **შევარდნაძესა და მიხეილ ოსაძეს შორის პირველი უთანხმოება მაშინ მოხდა, როცა სოხუმის ჩაბარებამდე თოთხმეტი დღით ადრე, 1993 წლის 13 სექტემბერს, საქართველოს სოროსის ფონდის დელეგაცია პირველად ეწვია.**

ოსაძემ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, მაშინ ამ ფაქტს უარყოფითი შეფასება მისცა. ამის გამო შევარდნაძემ, რომელიც იმ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში მივიდა, მაშინვე გაათავისუფლა შინაგან საქმეთა მინისტრი **თემურ ხაჩიშვილი** და მისი პირველი მოადგილე **მიხეილ ოსაძე.** რაც შეეხება ხაჩიშვილის მოადგილეებს — **დავით სალარიძესა და ჯიმი მიქელაძეს,** მათთვის ხელი არ უხლია. სხვათაშორის, არც ხაჩიშვილი დაუტოვებია შევარდნაძეს უსამსახუროდ — უშიშროების მინისტრის მოადგილედ დანიშნა. ერთადერთი, ვინც უსამსახუროდ დარჩა, იყო **მიხეილ ოსაძე.** პარალელურად, შევარდნაძემ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი შეითავსა, რაც კანონის დარღვევა იყო! ჩემი აზრით, ამ ყველაფრის მიზეზი გახლდათ ერთადერთი რამ — **დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ მიხეილ ოსაძემ შევარდნაძის ზურგს უკან ჟიული შარტავა გააფრთხილა!**

**— მაინც რა გაფრთხილებაზეა ლაპარაკი?**

— 1993 წლის ივლისში, როცა ჟიული შარტავა აფხაზეთში სასაკლაოზე გაუშვეს და **თამაზ ნადარეიშვილი** ვითომდა გულის ოპერაციის გასაკეთებლად გერმანიაში გაგზავნეს, მიხეილ ოსაძემ ჟიული შარტავა გააფრთხილა, მოსალოდნელი უბედურების შესახებ ინფორმაცია გააცნო და უთხრა — **შევარდნაძე აფხაზეთში იმიტომ გიშვებს, რათა უკან ცოცხალი აღარ დაბრუნდეო!**

როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ გაფრთხილების შესახებ ჟიული შარტავამ თავის საახლობლო წრეში თქვა კიდეც — **შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გენერალმა მიხეილ ოსაძემ ასე და ასე მითხრა და გამაფრთხილაო!** უეჭველია, რომ ეს ამბავი შევარდნაძემდე მივიდა. ამას დაემატა სოროსის ფონდის ვიზიტთან დაკავშირებული მისი უარყოფითი პოზიციაც.

სხვათაშორის, შევარდნაძეს **მიხეილ ოსაძის** შესახებ რომ ვკითხე, არ იკითხავთ, რა მიპასუხა? — **კარგი პროფესიონალი და წესიერი ადამიანია, მაგრამ ერთხელ მიღალატაო!** — რაში გამოიხატა ეს ღალატი-მეთქი? — და ამაზე არ მიპასუხა. სხვათაშორის, 1993 წლის 13 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროში რომ მივიდა და ოსაძე მოხსნა, შევარდნაძეს უკითხავს — **აზრის გამოთქმა ხომ არავის სურს?** ამის პასუხად წამომდგარა მიხეილ ოსაძე და შევარდნაძისთვის უთქვამს — **აზრის გამოთქმა არ მსურს, მაგრამ მინდა, ინფორმაცია მოგაწოდოთ! თქვენ დღეს გამოაცხადეთ, რომ თანამდებობიდან გამათავისუფლეთ! მინდა, იცოდეთ, რომ ამ ერთი თვის წინათ დავწერე განცხადება გათავისუფლების შესახებ, რასაც დამიდასტურებენ აქ მყოფი მინისტრის მოადგილე დავით მგელაძე და კადრების სამმართველოს უფროსი ვალერი გელბახიანი. ვის ათავისუფლებთ?** როგორც თავად მიხეილ ოსაძემ მითხრა, ამის გაგონებაზე შევარდნაძეს, თურმე, უცნაური ფერი დაედო, წონასწორობა დაკარგა და აყვირდა — **მე თქვენ პასუხისგებაში მიგცემთ, რადგან, რაც დაგავალეთ, ის სენაკში არ გააკეთეთ!**

**— ვალერი გელბახიანი შევარდნაძის კადრების უფროსი იყო?**

— დიახ, ვალერი გელბახიანი შინაგან საქმეთა სამინისტროში კადრების სამმართველოს ხელმძღვანელობდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

# ასე თქვა გია თელიამ...



გია თელია

## როდესაც გონს მოვედი, შოთა კვირაიას კაბინეტში მდებარე საშხაპეში სულ სველი და სისხლიანი ვიყავი. მომიახლოვდა შოთა კვირაია და „სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი შუბლზე დამადო!



შოთა კვირაია









## „აღნიშნული ინფორმაცია უკვე გახმაურდა ბელარუსულ პრესაში, ქართველი საზოგადოება კი ამ ამბავს „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემული ჩემი ამ ინტერვიუდან შეიტყობს!“

## ტრისტან წითელაშვილი:

# თქვენ წინაშეა ქართველი დივერსანტის აღსარება, რომელსაც ბელარუსში მომიტინგეები უნდა დაეხოცა!

*„ეს საერთაშორისო სკანდალია! თბილისის მახლობლად იაღლუჯის პოლიგონზე, სადაც ნატოს სასწავლო ცენტრი მდებარეობს, ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები სხვადასხვა ქვეყანაში დივერსიული ოპერაციების ჩატარების მიზნით ქართველ დივერსანტებს წვრთნიან! ამის შესახებ მე გამანდო და სიცოცხლის გადასარჩენად დახმარება მთხოვა ერთ-ერთმა მეომარმა, რომელიც ამერიკელებმა ბელარუსში სისხლიანი პროვოკაციის მოსაწყობად მოამზადეს!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩემთან ინტერვიუ მინსკიდან ახლად დაბრუნებულმა სამხედრო ექსპერტმა ტრისტან წითელაშვილმა:***

— რამდენიმე წლის წინათ ხელში ჩამივარდა ინფორმაციები, რომ კიევში, მაიდანზე, 2014 წელს მოწყობილი სისხლისღვრის ერთ-ერთი ორგანიზატორი **სააკაშვილი** გახლდათ. შემდეგ დოკუმენტურად დავამტკიცე ეს ინფორმაცია და გამოვფინე ქართველ სნაიპერთა აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც ამ სისხლისღვრაში მონაწილეობდნენ. ისინი იძულებულები გახდნენ, საკუთარი სიცოცხლის დასაცავად მთელი მსოფლიოს წინაშე ეღიარებინათ თავიანთი დანაშაული, რის შედეგადაც გასაჯაროვდა ინფორმაცია, რომ 2014 წლის თებერვალში კიევის მაიდანზე მანიფესტანტებს ცეცხლი მაშინდელი პრეზიდენტის **ვიქტორ იანუკოვიჩის** კი არა, ოპოზიციონერი ლიდერების, მათ შორის, **მიხეილ სააკაშვილის** მითითებით გაუხსნეს და საკუთარი მომხრეები დახოცეს, რათა სისხლისღვრა პრეზიდენტ იანუკოვიჩს დაბრალებოდა. დაახლოებით ასეთივე რევოლუციური სცენარი შემუშავდა ბელარუსის პრეზიდენტის **ალექსანდრე ლუკაშენკოს** დასამხობად და ამჯერადაც საქმეში ამერიკელი ინსტრუქტორების გაწვრთნილ ქართველ დივერსანტებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა, თუმცა, ლუკაშენკო კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, ხელისუფლება შეინარჩუნა, ხოლო დივერსიული ოპერაცია ჩაიშალა!

**— რა მტკიცებულებები გაგაჩნიათ?**

— სიცოცხლის გადარჩენის მიზნით დამიკავშირდა დივერსიული ჯგუფის ხელმძღვანელი (ამ ეტაპზე მის ვინაობას არ დავასახელებ), რომელმაც მიამბო, რომ **2019 წელს ათამდე სხვა ქართველ მეომართან ერთად ის ამერიკელმა სამხედრო ინსტრუქტორებმა გაწვრთნეს თბილისისა და რუსთავის მახლობლად არსებულ იაღლუჯის ბაზაზე, სადაც ნატოს სასწავლო ცენტრი მდებარეობს!** ასეთი წვრთნები აღნიშნულ ბაზაზე ხშირად ტარდება, მაგრამ გაირკვა, რომ ამჯერად გაწვრთნილ ათეულს ბელარუსში ამერიკელების მიერ ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალებისა და ფერადი რევოლუციის განხორციელების მიზნით დივერსიული ოპერაცია უნდა ჩაეტარებინა! შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, რომ **2020 წლის აგვისტოში ლუკაშენკომ ძალაუფლება შეინარჩუნა, გადატრიალება ვერ შედგა, ხოლო დივერსანტებს, ვინც იმ ეტაპზე ბელარუსში უნდა გამგზავრებულიყვნენ — სასიკვდილო საფრთხე ზედმეტი ინფორმაციის ცოდნის გამო მათივე პატრონებისგან დაემუქრათ!** ასე მოვიდა ჩემამდე ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ბელარუსში ჩავიყვანე და იქაურ სამართალდამცველებს ამ კაცმა აღიარებითი ჩვენება მისცა.

ამ ავანტიურაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი სააკაშვილს, ასევე ამერიკის საელჩოს საქართველოში და ისეთ მაღალ ფიგურას, როგორიც გახლავთ ეუთოში აშშ-ის ამჟამინდელი ელჩი **მაიკლ კარპენტერი!** აღნიშნული ინფორმაცია უკვე გახმაურდა ბელარუსულ პრესაში, ქართველი საზოგადოება კი ამ ამბავს „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემული ჩემი ამ ინტერვიუდან შეიტყობს!

**— მოდით, დავაკონკრეტოთ... 2019-2020 წლებში სააკაშვილი უკრაინაშია. რანაირად მიუძღვის წვლილი საქართველოში დივერსიული ჯგუფის გაწვრთნაში?**

— ადამიანი, რომელმაც ბელარუსის ძალოვნებს ჩვენება მისცა, ამბობს, რომ 2004 წელს ის ირიცხებოდა საიდუმლო დანიშნულების რაზმში, რომელიც უშუალოდ პრეზიდენტ სააკაშვილს ექვემდებარებოდა. მას სპეციალური მომზადება ამერიკაში აქვს გავლილი და შესაბამისი სერტიფიკატებიც გააჩნია. საქართველოში აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებს სააკაშვილმა აცნობა იმ ყოფილი სპეცრაზმელების, მათ შორის, ამ ჩემი ნაცნობის ვინაობა, რომლებსაც ბელარუსში დივერსიის მოსაწყობად რეკომენდაციას აძლევდა. **სხვათა შორის, ეს კაცი აღიარებს იმასაც, რომ წლების განმავლობაში სააკაშვილის ხელისუფლების უკანონო ბრძანებებს ასრულებდა და არბევდა ოპოზიციის მიტინგებს, სხვადასხვა მეთოდით აშანტაჟებდა საპროტესტო მოძრაობის ლიდერებსა და აქტივისტებს.**

გთავაზობთ ამონარიდებს მისი ჩვენებიდან:

*— აშშ საელჩოდან ოფიცერი დამიკავშირდა და დამიძახეს ნატოს სასწავლო ცენტრში, რომელიც იაღლუჯის ბაზაზე მდებარეობს. მათ იცოდნენ, რომ მქონდა საბრძოლო გამოცდილება, ისიც იცოდნენ, რომ აშშ-ში დავასრულე ანტიტერორისტული მომზადების კურსები. 2019 წლის დეკემბერში დაიწყეს ჩვენი, 20-კაციანი ჯგუფის გადამზადება სპეციალური ოპერაციებისთვის, ოღონდ კონკრეტულად რისთვის — ჯერ არ გვეუბნებოდნენ. მხოლოდ 2020 წლის გაზაფხულზე გაგვანდეს დავალება.*

*ჩვენს დივერსიულ ჯგუფს ამზადებდნენ ამერიკელი ინსტრუქტორები, ხოლო სანახავად მოდიოდნენ აშშ-ის საელჩოდან, სამჯერ იყო მოსული* ***ჯოზეფ ბაიდენის წარმომადგენელი მაიკლ კარპენტერი,*** *რომელიც კურირებდა ჩვენს მომზადებას. ბოლოს მან ივლისში გვინახულა, აგვისტოში კი უკვე ოპერაცია უნდა დაწყებულიყო. ამჟამად კარპენტერი ეუთოში აშშ-ის ელჩი ბრძანდება.*

*უკრაინაში დამატებით კიდევ 2 ჯგუფს ამზადებდნენ.* ***გვეუბნებოდნენ, რომ კიევში უნდა შევხვედროდით სააკაშვილს, ასევე უკრაინულ და პოლონურ დაჯგუფებებს, მაგრამ მათ სხვა ამოცანა ჰქონდათ, ჩვენ — სხვა.*** *ყველანი კიევიდან ბელარუსში უნდა გადავეტყორცნეთ და იქ ნატოს ოფიცრების მსგავსი იარაღით აღვეჭურვეთ, დავებინავებინეთ კონსპირაციულ ბინებში. შემდეგ უნდა დაგვეზვერა ტერიტორია, სადაც ოპერაციის ჩატარებას ვაპირებდით.* ***ოპერაციის მიზანი იყო არჩევნების შედეგების გამო ოპოზიციურად განწყობილი მომიტინგეების დარბევა, რათა ეს მერე ლუკაშენკოს დაბრალებოდა.*** *ოპერაცია უნდა გაგრძელებულიყო — 3-4, მაქსიმუმ 5 წუთს, ჩვენ უნდა გაგვეხსნა ცეცხლი მომიტინგეებისთვის, ხოლო ზონდერების მეორე ათეულს — ბელარუსის ძალოვანი ორგანოების წარმომადგენლებისთვის, რათა სიტუაცია იმგვარად წარმოჩენილიყო, თითქოს ძალოვნებმა და მომიტინგეებმა ერთმანეთს ესროლეს. ამ პროვოკაციას უნდა მოჰყოლოდა მსხვერპლი ორივე მხრიდან, რაც რევოლუციაში უნდა გადაზრდილიყო.*

***ოპერაციის საზღაურად თითოეულ მეომარს 10 ათას დოლარს, ხოლო პრემიის სახით იმავე ანაზღაურებით კიდევ ერთ ოპერაციაში მონაწილეობას დაგვპირდნენ.***

*ბელარუსში არჩევნები 2020 წლის 9 აგვისტოსთვის იყო დანიშნული. დივერსიის მოსაწყობად არჩევნებიდან 10 დღეში უნდა გავფრენილიყავით, მაგრამ 12 აგვისტოს აშშ-ის საელჩოდან 2 ოფიცერი მოვიდა. გვითხრეს, რომ ოპერაცია გადაიდო. —* ***„მცირე ხანს მოითმინეთ და ჩვენ აუცილებლად დაგიძახებთ“.*** *არანაირი 10 ათასი დოლარი არ გადაუხდიათ. არც სამსახური მოუციათ, უბრალოდ, გადაგვაგდეს...*



მაიკლ კარპენტერი

**— აქვს თუ არა საქართველოს ხელისუფლებას კავშირი ამ ბაზასთან?**

— სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოში აღარ არის, მაგრამ ამერიკელების პროგრამა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ტაქტიკურ-დივერსიული ჯგუფების მომზადებას გულისხმობს, დღემდე მუშაობს. საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას არანაირი კავშირი არა აქვს დივერსანტების მომზადებასთან, უფრო მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ ბაზაზე შესვლის უფლებაც არ გააჩნიათ!

**— რამ აიძულა თქვენი ნაცნობი, ბელარუსის ძალოვნებისთვის აღიარებითი ჩვენება მიეცა?**

— ალღომ უკარნახა, რომ მას, როგორც მნიშვნელოვანი ინფორმაციების მცოდნეს, ამერიკული სპეცსამსახურები სიცოცხლეს გამოასალმებდნენ. ნატოს სამხედრო ცენტრის მიერ იაღლუჯის ბაზაზე მომზადებულმა სხვა მეომრებმა რა ხანია, დატოვეს საქართველო და უცხოეთის ქვეყნებში მიმოიფანტნენ. ჩვენების მიცემით ამ კაცმა სიცოცხლე გადაირჩინა!

უნდა გითხრათ, რომ ბელარუსში აქამდეც იყო აღძრული სისხლის სამართლის საქმე, დასავლეთის ადეპტების მხრიდან 2020 წლის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით, რომლის შედეგად უნდა დაემხოთ **ალექსანდრე ლუკაშენკოს** ხელისუფლება და სათავეში მოეყვანათ **სვეტლანა ტიხანოვსკაიას** ჯგუფი, მაგრამ ამ უკანასკნელს არ ჰქონდა ხალხის მხარდაჭერა. ამიტომ დაიგეგმა ფერადი რევოლუცია. ბელარუსში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩაიყვანეს დაქირავებული „ტიტუშკები“, რომელთაც არჩევნების შემდეგ უნდა მოეხდინათ ადგილობრივი საზოგადოების ნაწილის აყოლიება და ქუჩაში გამოყვანა იმ მიზეზით, თითქოს ლუკაშენკომ არჩევნები გააყალბა. **ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო სისხლიანი პროვოკაცია, რათა პროტესტს ხალხის უფრო ფართო მასები შეერთებოდა, რომელიც ლუკაშენკოს ხელისუფლებას დაამხობდა.**

**— ფაქტობრივად, ბელარუსში უნდა განმეორებულიყო 2014 წელს კიევის მაიდანზე მომხდარი სისხლიანი მოვლენები?**

— ასე გამოდის... მაგრამ ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ლუკაშენკოს ძალოვნებმა პროვოკაცია გაშიფრეს და საზღვარზე უცხოელი დივერსიული ჯგუფების შემოსვლის წინააღმდეგ პრევენციული ზომები განახორციელეს. როგორც ჩანს, ქართველი დივერსანტების ბელარუსში ჩაყვანაც სწორედ ამის გამო გადაიდო, რასაც ჩვენებაში ყვება ჩემი ნაცნობი, ამ ჯგუფის მეთაური. **როცა ეს კაცი ახლახან მინსკში ჩავიყვანე, აღმოჩნდა, რომ ბელარუსმა ძალოვნებმა ყველაფერი იცოდნენ ჩაშლილი დივერსიული ოპერაციის შესახებ, მაგრამ ამ კაცის ჩვენებამ ინფორმაცია იურიდიულად გაამყარა.**

**— თქვენს ნაცნობს რა ბედი ელის?**

— ბელარუსი იზრუნებს მის უსაფრთხოებაზე. ამჟამად მის თავისუფლებასა და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. იქაური ძალოვნები ბოლომდე დარწმუნდნენ ჩვენების უტყუარობაში და საქმის გახსნას წინ უკვე აღარაფერი უდგას! ასე რომ, **ძალიან მალე მსოფლიოს ახალი სკანდალი ელის, როცა გამჟღავნდება, რომ ბელარუსში ფერადი რევოლუციის მოწყობა ამერიკელებსა და სააკაშვილს სურდათ და ამ მიზნით დივერსიაზე და სისხლისღვრაზე მიდიოდნენ!**

## „საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას არანაირი კავშირი არა აქვს დივერსანტების მომზადებასთან, უფრო მეტიც, ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ ბაზაზე შესვლის უფლებაც არ გააჩნიათ!“

*ესაუბრა*
**ზაზა დავითაია**

## ფატი კიპაროიძე:

# «მაიმუნის ყვავილის» სახით

# ახალი ფსიქოლოგიური ტერორის ამოქმედება სურთ!



„ბევრი ფაქტია ჩვენ ხელთ, რომელთა გამოძიებაც სისტემურ დანაშაულამდე მიგვიყვანს!“

***მას შემდეგ, რაც რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო, მოხდა ის, რასაც პანდემიის დროს თითო-ოროლა ადამიანი აპროტესტებდა და ლამის შეურაცხადად, უვიცად და მარგინალად გამოჰყავდათ — კორონა უკრაინაში ტყვიის გავარდნისთანავე გაუჩინარდა! დღეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ახალ საფრთხეს აანონსებს — ე.წ. „მაიმუნის ყვავილს“. როგორც ექიმების, მიკრობიოლოგებისა და იურისტების — „ემი ჯგუფის“ თავმჯდომარე ფატი კიპაროიძე ამბობს, ეს სამედიცინო ტერორის მორიგი სერიაა, რომელსაც მსოფლიო მმართველობის გაბატონების მოსურნე ჯანმო და მისი უკან მდგომი ძალები გვთავაზობენ:***

— როგორც კი პანდემია გამოცხადდა და ქვეყანაში აკრძალვები დაიწყო, იმ დღიდანვე ვამბობდით, რომ კორონა იყო **მსოფლიო მმართველობისათვის დაწყებული ომი.** არადა, თუ ადამიანები ამ ვირუსს მოექცეოდნენ ისე, როგორც სხვა ვირუსულ დაავადებებს, გადარჩებოდნენ! მართლაც რამდენი ტალახი გვესროლეს, რა აღარ გვიწოდეს, სისტემატურად გვამარგინალებდნენ, მაგრამ დრომ ყველაფერი გამოაჩინა. დღეს უკვე ბევრს აღარ ეპარება ეჭვი, რომ ხალხში ხელოვნურად დათესეს პანიკა. ის ციფრები, რომლებიც ყოველ დილით ტელევიზიიდან კოვიდით გარდაცვლილების შესახებ ცხადდებოდა, იყო ფსიქოლოგიური ტერორი!

**— კი მაგრამ, ადამიანები ხომ რეალურად კოვიდით იღუპებოდნენ?**

— „კოვიდ-19“-ის გავრცელების შემდეგ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით ამ დაავადების შედეგად 17 ათასზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, თუმცა, საკითხავია, რამდენ გარდაცვლილზე ჩატარდა სათანადო სამედიცინო ექსპერტიზა და დადგინდა სიკვდილის მიზეზი?! **ჯანდაცვის მინისტრმაც დაადასტურა, რომ გარდაცვლილთა სტატისტიკა ხელოვნურად იყო გაზრდილი, უნდოდათ, შეექმნათ ილუზია, თითქოს საქართველოში ყოველდღიურად კოვიდით ათეულობით ადამიანი იღუპებოდა.**

**ჩვენში თავიდანვე იწვევდა ეჭვს კლინიკებში მოთავსებული კოვიდპაციენტების გარდაცვალების ფაქტები და დავიწყეთ მათი ისტორიების შესწავლა. აღმოჩნდა, რომ ისინი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს და პაციენტის სიკვდილი მჭიდრო კავშირში იყო სადაზღვევო თანხის ამოწურვასთან.**

მაგალითად, ერთ-ერთ კლინიკაში გარდაცვლილი 4 პაციენტის საქმე აბსოლუტურად ერთნაირია. მათი სიცოცხლე რატომღაც 30-ე დღეს შეწყდა, ხოლო მკურნალობის მეთოდად, მცირე ხნით განტვირთვის მიზნით, გამოყენებული იყო მორფინი და პრომიდოლი. **წარმოიდგინეთ, ხელოვნურ სუნთქვაზე მყოფ პაციენტს რამდენიმესაათიანი ინტერვალით უკეთდებოდა მორფინი.**

საინტერესოა ერთი პაციენტის ავადმყოფობის ისტორიაც — 81 წლის ქალბატონს გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე აღმოაჩნდა სიფილისი. გარდა ამისა, თითქმის ყველა პაციენტის ისტორიაში დომინირებს **ბაუმანის ბაქტერია.** სიფილისით ადვილად ავადდება ის პაციენტი, რომელსაც დაინფიცირებულ კათეტერს უდგამენ. რაც შეეხება ბაუმანს, ეს არის პარაზიტი და ძირითადად მედპერსონალთან კონტაქტით, ჰაერით, დაბინძურებული მასალების გამოყენებით გადადის.




**„ჯანმოს მმართველობის დამყარება მსოფლიო ბატონობას ნიშნავს! ეს ის ორგანიზაციაა, რომელმაც დაავადებათა ნუსხიდან სიტყვა გრიპი ამოიღო და მის ნაცვლად კოვიდი ჩაწერა!“**

World Health Organization

პაციენტებს არასწორად უტარდებოდათ ანტიბიოტიკოთერაპია კლინიკური ინფექციების მიმართ, რაც მათი მდგომარეობის დამძიმებას იწვევდა. ამიტომაც ამბობდა ხალხი — კლინიკაში შესული პაციენტები განწირული არიანო... მართლაც, ვინც სახლის პირობებში იმკურნალა, ნაკლებად დადგა ლეტალური შედეგის წინაშე და არც ისტორიაში უწერიათ კოვიდით გარდაცვალება.

**— აბა, რა სახელდება სიკვდილის მიზეზად?**

— უწერიათ, რომ დაუდგენელი მიზეზით გარდაიცვალნენ. არადა, თუ კოვიდი იყო სიკვდილის მიზეზი, რატომ არ ჩაუწერეს ავადმყოფობის ისტორიაში? ასევე მობილიზებული იყვნენ იმაზე, რომ ოჯახის წევრს უარი ეთქვა მიცვალებულის გაკვეთაზე.

იყო ასეთი შემთხვევაც — **3 დღე ეძებდნენ ოჯახის წევრს. ჩვენი აქტიური ჩარევის შემდეგ კოვიდრეანიმაციაში აღმოაჩინეს, თუმცა, სამჯერ ჩაუტარეს ტესტირება და არცერთხელ კოვიდი არ დაუდასტურდა! პაციენტის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი არჩევანის წინაშე დააყენეს – ან მკურნალობის ხარჯი 32 ათასი ლარი გადაიხადეთ, ან გარდაცვალების მიზეზად კოვიდს ჩავწერთო.**

ყოველდღე იზრდება მოქალაქეთა განცხადებები. ჭირისუფლებს სამართლიანობის აღდგენა სურთ. თავს მოტყუებულად თვლიან, ოჯახის წევრების გარდაცვალების ნამდვილი მიზეზიც კი არ იციან. არაერთი პაციენტის ისტორია დევს ჩემს სამუშაო მაგიდაზე. ბევრი მათგანი შესწავლილია და საქმეა აღძრული. მიმდინარეობს სამედიცინო ექსპერტიზებიც. არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს რომელიმე ექიმი და თანამდებობის პირი, ვინც მიზანმიმართულად მოკლა 17 ათასი საქართველოს მოქალაქე არასწორი პროტოკოლის, ანტისანიტარიის, გულგრილობისა და უყურადღებობის გამო!

**— და მაინც, ვინ არის თქვენი სიტყვების ადრესატი?**

— **ყველა, ვინც პანიკას თესავდა ხალხში და არ აძლევდა ექიმებს საშუალებას, ინდივიდუალურად ემკურნალა პაციენტებისთვის.** მათთვის ამის ნება რომ დაერთოთ, დღეს გაცილებით ნაკლები გარდაცვლილი იქნებოდა. **პაატა იმნაძე** არ იყო, ვინც კუბოებით იმუქრებოდა — თუ აღდგომას ეკლესიაში წახვალთ, კუბოებს მიიღებთო?! მათ ყველას თავიანთ სიტყვებზე და ნამოქმედარზე მოუწევთ პასუხისგება! ბევრი ფაქტია ჩვენ ხელთ, რომელთა გამოძიებაც სისტემურ დანაშაულამდე მიგვიყვანს!

**— სისტემური დანაშაულის რა მოგახსენოთ, მაგრამ ახალი ვირუსის — „მაიმუნის ყვავილის“ გავრცელებაზე კი საუბრობენ. ამირან გამყრელიძემ უკვე გააკეთა განცხადება — „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსის სადიაგნოსტიკოდ მალე სპეციალური პისიარ-ტესტი გვექნებაო.**

— ის, **რომ პანდემია დიდი მსოფლიო აფერა და ტერორი იყო, უკვე დადასტურდა, ახლა მორიგ სერიაზე გადავიდნენ!** მაიმუნის დაავადება გარეგნულადაც აღენიშნება პაციენტს. ამ შემთხვევაში რაღა საჭიროა პისიარ-ტესტი? როგორც ჩვენი ჯგუფის ექიმებმა შეისწავლეს, „მაიმუნის ყვავილის“ გამომწვევი პათოგონი ორჯაჭვიანი დნმ-ს ვირუსია. მის მიერ გამოწვეული დაავადების კლინიკა, მოვლის მეთოდი და მკურნალობა ჩვენთვის ცნობილია და სიცოცხლისთვის არანაირ საშიშროებას არ წარმოადგენს.

დაავადება ქვეყანაში დადასტურებულიც არ არის და ლუგარის ლაბორატორიამ უკვე დაიწყო ჩვენს ჯანმრთელობაზე ზრუნვა. „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსის გააქტიურებამდე აცხადებდნენ — კოვიდი არსად წასულა, ისევ იქნება ინფექციაო... გამოქვეყნდა **ბილ გეითსის** ინტერვიუც — **მალე ახალი ვირუსი იქნებაო. როგორ გგონიათ, ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევაა?**

მიუხედავად იმისა, რომ ზედმიწევნით დაიცვეს პროტოკოლი და ხალხში პანიკა მაქსიმალურად დათესეს, ვერ მოხდა მოსახლეობის თუნდაც 70 პროცენტის აცრა. **ახლა ახალი ფსიქოლოგიური ტერორის ამოქმედება სურთ, რომ თავიანთი ვალდებულებები შეასრულონ, რომლებიც ერთპიროვნულად ხალხის ნების გარეშე აქვთ აღებული მსოფლიო ჯანდაცვის წინაშე.**

სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის ცნობილი ისიც არ არის, რატომ შევიდა ჯანმოში ჩვენი ქვეყანა. დააკვირდით — ვიდრე მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წევრი გავხდებოდით, ადამიანები სიმსივნით და გენური დაავადებების ასეთი მაღალი მაჩვენებლებით არ იღუპებოდნენ. მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციაში გავწევრიანდით და ექსპერიმენტების მონაწილე ქვეყნად ვიქეცით, საგრძნობლად იმატა ონკოლოგიურმა და სისხლის დაავადებების რაოდენობამ.

**— ამას რით ახსნით?**

— **არაერთი ექსპერიმენტული პრეპარატი გამოიცადა ჩვენთან, ადამიანებზე, რაც ხალხმა არ იცის. წინა ხელისუფლებებს ოფიციალურად აქვთ ხელი მოწერილი ამაზე, ამიტომაც არ იღებენ ხმას.**

ბრაზილიამ უარი თქვა ჯანმოსთან ხელშეკრულების გადახედვაზე. მართლაც გმირი ქვეყანაა, ჩვენც კი უარი უნდა ვთქვათ. **ჯანმოს მმართველობის დამყარება მსოფლიო ბატონობას ნიშნავს! ეს ის ორგანიზაციაა, რომელმაც დაავადებათა ნუსხიდან სიტყვა გრიპი ამოიღო და მის ნაცვლად კოვიდი ჩაწერა.** ეს მე არ მომიგონია, ოფიციალური დოკუმენტი არსებობს და შეგიძლიათ, თავადაც გადაამოწმოთ!

ახლა ახალი ვირუსით „მაიმუნის ყვავილით“ სურთ, მეორე სერია დაიწყონ. დაპირებას ასრულებენ, თითქოს კოვიდი ომში იყო წასული და ჩუტყვავილას სახით დაბრუნდა. ეს ყველაფერი უკვე სასაცილოა და იმედი მაქვს, ხალხი არ გახდება მორიგი აფერის მსხვერპლი! **არავითარი პანიკა. არავითარი შიში! გამორთეთ ის ტელეარხები, რომლებიც ახალი ვირუსის პროპაგანდას ეწევიან.** მუდამ გვახსოვდეს, რომ ჩვენი ამ ქვეყნად მოსვლაც და ამ ქვეყნიდან გასვლაც, პირველ რიგში, უფლის ნებაა და მას უნდა მივენდოთ!

**„არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს რომელიმე ექიმი და თანამდებობის პირი, ვინც მიზანმიმართულად მოკლა 17 ათასი საქართველოს მოქალაქე არასწორი პროტოკოლის, ანტისანიტარიის, გულგრილობისა და უყურადღებობის გამო!“**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# კრამერი ამ ერის წინააღმდეგ!

***„კრამერი კრამერის წინააღმდეგ“ ხუთი ოსკარის მფლობელი ამერიკული ფილმია, რომელიც ეკრანებზე გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გამოვიდა და პირწავარდნილი კარიერისტის ტედ კრამერის ცხოვრებაზე მოგვითხრობს. რეჟისორმა რობერტ ბენტონმა ბრწყინვალე მსახიობების დასტინ ჰოფმანისა და მერილ სტრიპის მონაწილეობით შექმნა გენიალური დრამა მატერიალისტური ვნებებით შეპყრობილ კაცზე, რომელიც საკუთარ კარიერას თვით შვილსა და ოჯახზე მაღლა აყენებდა.***







რაც შეეხება წინამდებარე პუბლიკაციას — **„კრამერი ამ ერის წინააღმდეგ“** — იგი ამერიკელ პოლიტიკოს **დევიდ კრამერს** ეძღვნება, რომელიც უკვე წლებია, უხეშად აფათურებს ხელს საქართველოს შინაურ საქმეებში და ღიად უჭერს მხარს **ქართველი ერის სისხლში ამოთხვრილ ნაციონალურ მოძრაობას.**

**დევიდ კრამერი,** რომელიც 2008-2009 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწე გახლდათ, საქართველოსთან მიმართებაში მას შემდეგ გააქტიურდა, რაც ქართველმა ერმა სააკაშვილის დანაშაულებრივი ბანდა ძალაუფლებას ჩამოაშორა. მიუხედავად იმისა, რომ კრამერს ამერიკის ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობა სწორედ იმ დროს ეკავა, როცა სააკაშვილის რეჟიმი საქართველოში სისხლის მდინარეებს აყენებდა, მშვიდობიან დემონსტრაციებს არბევდა, ბიზნესსა და მედიას ატერორებდა, სასამართლო და პროკურატურა ჯიბეში ეჯდა, ციხეებში პატიმრებს აწამებდა და აუპატიურებდა, **აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს ერთხელაც არ გამოუთქვამს შეშფოთება, ერთხელაც არ გაუკრიტიკებია საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება, ერთხელაც არ შეწუხებულა ქართული დემოკრატიისა და ქართველი ხალხის მძიმე მდგომარეობის გამო.**

ეს იმას ნიშნავს, რომ **კრამერი ამ ერის — ქართველების წინააღმდეგ** მოქმედებდა მაშინაც, როცა ამერიკის ხელისუფლების მაღალჩინოსანი იყო და გულშემატკივრობდა სააკაშვილის კრიმინალურ ბანდას, რომელიც **ამ ერის** — ქართველების სისხლითა და ტანჯვა-წამებით ვერ ძღებოდა!

მართალია, **კრამერი** საღდეისოდ აშშ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსანი აღარ არის და, შესაბამისად, ვეღარც ისეთი გავლენებით სარგებლობს, როგორიც სახელმწიფო მდივნის თანაშემწეობისას ჰქონდა, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში მაინც აქტიურად ცდილობს, კვლავ **ამ ერის** — ქართველების წინააღმდეგ იმოქმედოს, ანუ დანაშაულებრივ ნაცბანდას ძალაუფლების დაბრუნებაში დაეხმაროს.

აი, მაგალითად, გასულ კვირას **კრამერმა,** საქართველოში აშშ-ის ყოფილ ელჩთან **იან კელისთან** ერთად, ამერიკულ გამოცემა „The Bulwark“-ში გამოაქვეყნა სტატია სათაურით — **„პუტინი მარცხდება უკრაინაში, მაგრამ იმარჯვებს საქართველოში“. კრამერი და კელი** წერენ, რომ **„უკრაინაში კრიზისის პერიოდში საქართველოს მმართველობა სულ უფრო მეტად მოგვაგონებს რუსულ მოდელს ერთპარტიული მართვითა და ოპოზიციის დევნით“.** ისინი მიიჩნევენ, რომ **„ამ დესტრუქციული ძალების მოსათოკად“** აშშ-მა და ევროპელმა მოკავშირეებმა საქართველოს მიმართ თავიანთი გავლენები უნდა გამოიყენონ. კრამერისა და კელის განცხადებით, საქართველო ავტორიტარიზმისაკენ მიდის, რისი უკანასკნელი მაგალითიც „მთავარი არხის“ დირექტორის **ნიკა გვარამიას „პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებით“** გასამართლებაა.

**მერე რა, რომ** რუსული მოდელის მსგავსი ერთპარტიული მმართველობა საქართველოში სწორედ ნაციონალური მოძრაობის რეჟიმს ჰქონდა დამყარებული! **მერე რა, რომ** საქართველოში ოპოზიციის დევნამ ტოტალური ხასიათი სწორედ სააკაშვილის რეჟიმის დროს მიიღო და ციხეები პოლიტიკური პატიმრებით იყო სავსე! **მერე რა, რომ** სააკაშვილის მმართველობას ავტორიტარიზმისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი გააჩნდა! **მაშინ დევიდ კრამერი, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ მუშაობდა და იან კელი, რომელიც ეუთოში აშშ-ის ელჩი იყო, ამ ყველაფერზე დუმილს ამჯობინებდნენ, რადგან ბუშის მიერ „დემოკრატიის შუქურად“ გამოცხადებული სააკაშვილი „ამერიკის ძაღლიშვილად“ ითვლებოდა.**

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამერიკისა და დასავლეთის მიმართ მონურ მორჩილებას რომ ამჟღავნებდეს, ანუ ამერიკელი კონგრესმენებისა და ევროპარლამენტარების ნებისმიერ დირექტივას კუდის ქიცინით ასრულებდეს, რომელიმე რიშსა და რომელიმე კუბილიუსს სიტყვის შებრუნებას ვერ უბედავდეს, საკუთარ უფროსად ქართველ ხალხს კი არა, **კელი დეგნანს** ან **კარლ ჰარცელს** მიიჩნევდეს, მაშინ დევიდ კრამერი და იან კელიც საქართველოს ხელისუფლების უსაგნო კრიტიკის მაგივრად მისი ქება-დიდებით აიქაფებდნენ პირს!

თუმცა, მთელი პრობლემა ის არის, რომ **კრამერი და კელი** საქართველოს ხელისუფლებაში თავიანთ „ძაღლიშვილებს“ ვერ ხედავენ!

დიახ, კრამერისა და კელის მიზანია, საქართველოს ხელისუფლებაში კვლავ ის **„ამერიკის ძაღლიშვილები“** დაბრუნდნენ, რომლებსაც, ყველა სიკეთესთან ერთად, უცხოელი დიპლომატებისა და პოლიტიკოსების მოსაქრთამად ჯიბეზე ხელის გაკვრა არ ეშლებოდათ!

აბა, **რაში აწყობს და რაში სჭირდება დევიდ კრამერს** საქართველოში ისეთი ხელისუფლება, რომელიც ამბობს — **ჩემი ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთს მეორე ფრონტს არ გავუხსნი და ომში არ ჩავერთვებიო?**

**რაში აწყობს და რაში სჭირდება იან კელის** საქართველოში ისეთი ხელისუფლება, რომელიც დეკლარირებს — ჩემი უფროსი ევროპარლამენტარი ან კონგრესმენი კი არა, ქართველი ხალხიაო?

**რა თავში იხლიან კრამერი და კელი** რეალურ დამოუკიდებლობაზე, ნამდვილ სუვერენიტეტზე პრეტენზიის მქონე ქართულ სახელმწიფოს?

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **კელი და კრამერი, როგორც ნაცსექტის მეგობრები და ლობისტები, საქართველოსა და ქართველი ხალხის არაკეთილმოსურნეები ბრძანდებიან,** რომლებსაც „საქართველოში პუტინის გამარჯვებად“ მიაჩნიათ ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს, საკუთარ ქვეყანასა და ხალხს ქართული ბუჩა და მარიუპოლი აარიდოს!

როგორც ჩანს, **კელი და კრამერი** საქართველოში პუტინს მაშინ ჩათვლიან „დამარცხებულად“, როცა რუსული არმადა აქაც იმავეს დაატრიალებს, რასაც 3 თვეა, უკრაინაში სჩადის! და მართლაც: **დღეს საქართველოს ხელისუფლებაში კელისა და კრამერის ფავორიტი ნაცბანდა რომ იყოს,** პუტინი უკვე „დამარცხებული“ იქნებოდა ისე, როგორც 2008 წლის აგვისტოში „დამარცხდა!“

**ოჰ, როგორ სჭირდებათ კელისა და კრამერს საქართველოს ხელისუფლებაში საკუთარი „ძაღლიშვილები“!**

მადლობა ღმერთს, ამ ქვეყნისა და ამ ერის წინააღმდეგ შემართული კრამერი მოქმედი თანამდებობის პირი არ არის და მისი პოზიცია აშშ-ის ოფიციალურ პოზიციას არ გამოხატავს!

**კიდევ კარგი, იან კელი მოქმედი დიპლომატი არ არის** და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განწყობას არ ახმოვანებს!

ასე რომ, ჩამოლაბორანტებულმა პოლიტიკურმა ფინიებმა რამდენიც არ უნდა იყეფონ, ქარავანი — სახელად საქართველო — მაინც თავისი გზით წავა!

**ამ ერის წინააღმდეგ კრამერის გამოხტომები და კელის კელკელაობა დარჩება ხმად მღაღადებელთა სანაცეთსა შინა!**

***ჯაბა ხუბუა***


THE BULWARK
PODCASTS NEWSLETTERS ARTICLES EVENTS STORE ABOUT BULWARK+

## Putin Is Failing in Ukraine, But Winning in Georgia

The government in Tbilisi is taking pages from Putin's playbook.

by IAN KELLY AND DAVID J. KRAMER · MAY 24, 2022 5:30 AM




## დევიდ კრამერს და იან კელის საქართველოს ხელისუფლებაში საკუთარი „ძაღლიშვილები“ სჭირდებათ!

## კვირგვინოსნები

**ნინო ბურჯანაძე**
*„ერთიანი საქართველოს“ ლიდერი*



რამდენი ხანია, ვიძახი, რომ **„ოცნების“ პირობებში** საქართველო ევროკავშირში ვერ გაწევრიანდება.

„TV პირველი“

**გოგი ხოშტარია**
*ხელოვნებათმცოდნე*



ყოფილ სსრკ-ის რესპუბლიკებს შორის საქართველო მოწინავე იყო, დღეს კი ხელისუფლებაში **მკაფიოდ გამოხატულ ეროვნულობას** ვერ ვხედავ.

„TV პირველი“

**თემურ შაშიაშვილი**
*პოლიტიკოსი*



ყველაზე დიდ **რუსულ საქმეს** საქართველოში ტელეკომპანია **„მთავარი“** აკეთებს.

„ჯორჯიან თაიმსი“

**ჯოზეფ ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



ქართველი და ამერიკელი ხალხი **ერთმანეთთან ძლიერ არიან დაკავშირებული** დამოუკიდებელი სულისკვეთებით.

„ახალი თაობა“

**კარლ ჰარცელი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



ჩემი პროგნოზით, ევროკომისია **საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების** განაცხადთან დაკავშირებით დასკვნას **ორ-სამ კვირაში** წარადგენს.

„რეზონანსი“

**იენს სტოლტენბერგი**
*ნატოს გენერალური მდივანი*



ვერავინ იტყვის, **როდის და როგორ დასრულდება** რუსეთის ომი უკრაინის წინააღმდეგ.

„რეზონანსი“

# გენერალისიმუსი

№4 (128) ★ 2022 წლის 30 მაისი ★ გამოდის 2003 წლიდან



# კაჩინსკის შურისძიება

***2010 წლის 10 აპრილს სმოლენსკთან დღემდე გაურკვეველ ვითარებაში კატასტროფა განიცადა პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის საპრეზიდენტო თვითმფრინავმა „ტუ-154“-მა, რომლის ბორტზეც 96 მგზავრი იმყოფებოდა. პრეზიდენტი კაჩინსკი, მისი მეუღლე და პრეზიდენტის მთელი ამალა დაიღუპნენ...***

როგორც კი ცხონებული **კაჩინსკი** ტრაგიკულად აღესრულა, სააკაშვილმა პოლონეთის განსვენებულ პრეზიდენტს მაშინვე **„საქართველოს ეროვნული გმირის“** წოდება მიანიჭა. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ სააკაშვილი პან კაჩინსკის თვითმფრინავის კატასტროფასთან რაიმე კავშირშია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ნაპრეზიდენტალს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად ისე გამოუვიდა, როგორც თავისი აღმზრდელი და მამა-მასწავლებელი ედუარდ შევარდნაძე განსაკუთრებით მისი „მეორედ მოსვლის“ შემდეგ მოქმედებდა — **ვისაც ორდენი უბოძა, წყალგალმა გაისტუმრა, ხოლო, ვინც წყალგალმა გაისტუმრა — იმას ორდენი მერე ჩამოჰკიდა!**

სხვათაშორის, სმოლენსკი საბედისწერო ადგილად იქცა **ჰიტლერისთვისაც**, სადაც 1941 წლის 19 ივლისს ფიურერმა ყოვლად აუხსნელი და სულელური გადაწყვეტილება მიიღო და მოსკოვისკენ შტურმით მიმავალი არმადა შეაჩერა, აქაოდა, ჯერ რუსეთის ქალაქთა დედას — კიევს უნდა მივხედო და მოსკოვს მერე მივადგებიო. **ჰიტლერმა კიევი 1941 წლის 26 სექტემბერს მართლაც აიღო, მაგრამ მოსკოვზე მიმართული იერიშის ორი თვით დაპაუზებამ, სავარაუდოდ, კატასტროფული შედეგი გამოიღო და 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერში ფაშისტებმა მოსკოვთან კისერი მოიტეხეს!**

ვფიქრობთ,

## მოსკოვთან ახლა უკრაინა იტეხს კისერს! უფრო სწორად, ის ნაძირალები, რომლებიც აგერ უკვე სამი თვეა, საქართველოს გამუდმებით თავს დასჩხავიან და რუსეთთან ომისკენ გვიბიძგებენ, ხოლო მოსკოვთან უკრაინას კისერს ატეხინებენ და ხერხემალში ამტვრევენ.

არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ კაჩინსკის თვითმფრინავს **ვლადიმერ პუტინმა** რაღაც „უხიმანდრა“, რაკილა პოლონეთის პრეზიდენტი რუსეთის ლიდერს უმწვავესად აკრიტიკებდა. იმ დღიდან მოყოლებული, კაჩინსკის სული პოლონეთსა და რუსეთს შორის დაბორიალობს და უმძიმესი შურისძიებისთვის ემზადება.

ჯერ იყო და 2014 წელს უკრაინაში მაიდნის ხანძარი აგიზგიზდა და სისხლი დაიღვარა, ახლა კი პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის სულმა უკრაინაში ის სისხლიანი თამაში წამოიწყო, რასაც თავის დროზე **„რეჩ პოსპოლიტად“** წოდებული აგრესიული სახელმწიფოს სამჯერ დანაწილება და ბოლოს საერთოდ მოსპობა მოჰყვა!

ცნობისათვის, **„რეჩ პოსპოლიტა“**, ანუ **„ორივე ხალხის რესპუბლიკა“**, რომელიც 1569 წელს **ლუბლინის უნიით** შეიქმნა, თავის დროზე **პოლონეთის სამეფოსა** და **ლიტვის დიდ სამთავროს** აერთიანებდა. ეს გახლდათ ძალიან აგრესიული სახელმწიფო, რომელიც თითქმის მთლიანად მოიცავდა **დღევანდელი პოლონეთის, უკრაინის, ბელარუსისა და ლიტვის ტერიტორიას,** ხოლო ნაწილობრივ — **რუსეთის, მოლდოვის, ლატვიის, ესტონეთისა და სლოვაკეთის თვალუწვდენელ მიწებს.** 1772, 1793 და 1795 წლებში „რეჩ პოსპოლიტა“ სამჯერ დანაწილდა და რუსეთმა ამ დანაწილებით კარგა გვარიანად იხეირა. კერძოდ, მიიერთა მარჯვენა ნაპირის უკრაინა, ბელორუსია ქალაქ მინსკით, ასევე ბალტიისპირეთის ნაწილი, კურლანდია, დასავლეთ ვოლინი და ხოლმსის მიწები...

**„რეჩ პოსპოლიტა“ მართლაც ორივე ხალხის რესპუბლიკა იყო, სადაც პოლონელსა და ლიტველს თანაბარი უფლებები ჰქონდათ, მაგრამ დღეს უკრაინაში, რომლის ბარაქიან ტრამალებსაც პუტინის ფრთოსანი რაკეტები არჭევს, გამოიკვეთა ახალი, აპარტეიდული „რეჩ პოსპოლიტას“ საშინელი აჩრდილი, სადაც უკრაინელი არასოდეს იქნება პოლონელის თანასწორი!** ასე, მაგალითად, **პრეზიდენტმა ზელენსკიმ** 2022 წლის 22 მაისს რადაში უკვე წარადგინა კანონპროექტი, რომლის ძალითაც **პოლონეთის პოლიციას უფლება ექნება, უკრაინაში ჩაატაროს სპეცოპერაცია, მაგრამ უკრაინა პოლონეთში ამას ვერასოდეს გააკეთებს.** უფრო მეტიც, **პოლონელებს უფლება ექნებათ, უკრაინაში დაიკავონ არჩევითი თანამდებობები, გახდნენ მოსამართლეები, ქალაქის მერები და ა. შ. მაგრამ უკრაინელები ამ უფლებებით პოლონეთში ვერასოდეს ისარგებლებენ.**

აი, ამ ფონზე როდის აკოცებენ ერთმანეთს **ზელენსკი და ანჯეი დუდა** ზუსტად ისე, როგორც ამას **ბრეჟნევი და ჰონეკერი** შვრებოდნენ, ალბათ, მალე ყველასათვის გასაგები გახდება... **აშკარაა, რომ ის განცხადებები, რომლებიც ამ ბოლო დროს დავოსსა და უკრაინის რადაში ზელენსკისა და დუდას მიერ გაკეთდა, ერთადერთ რამეს მიგვანიშნებს — პოლონეთი ძალიან ახლოსაა თავისი ისტორიული ოცნების ასრულებასთან, რათა „ძმობისა და ერთიანობის“ საფარქვეშ დაიბრუნოს გალიჩისა და ვოლინის ისტორიული მიწები, რომლებიც დღეს მართალია, უკრაინის შემადგენლობაშია, მაგრამ პოლიტიკურ და ჟურნალისტურ წრეებში ცნობილია, როგორც „პოლონეთის ტაო-კლარჯეთი“.**

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პოლონეთის პრეზიდენტ **ანჯეი დუდასა** და უკრაინის პრეზიდენტ **ზელენსკის** შორის ლამის ტუჩებში კოცნა განსაკუთრებით მას შემდეგ გახშირდა, რაც უკრაინის ხელისუფლებამ „აზოვის“ ურჩი ბატალიონის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტა, მარიუპოლის კატაკომბებში გამომწყვდეული გულანთებული პატრიოტების გადასარჩენად თითი არ გაანძრია და სამშობლოს ერთგული დამცველები საჯიჯგნად რუსებს მიუგდო. **ზელენსკი და მისი ხროვა რომ „აზოველებს“ არ წყალობდნენ და დარჩეული ბიჭები გაწირეს, ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ მარიუპოლის დაცემამდე, ბატალიონ „აზოვის“ მებრძოლებმა ზელენსკის ხელისუფლების ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, ნახევარქათამა და ქალის მინიკაბაში გამოკვართულ ოლექს არესტოვიჩს შეუთვალეს — თუ აქედან ცოცხლები გამოვედით, თავ-ყბას გაგიერთიანებთო!**

ეს ის **არესტოვიჩია**, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ განაცხადა — **დანამდვილებით ვიცოდით, რომ 24 თებერვალს რუსეთი ომს იწყებდა, მაგრამ ხალხი არ გავაფრთხილეთ, რადგან პანიკა დაიწყებოდა და გზებზე ტანკების გადაადგილებას ხელი შეეშლებოდაო!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ეს მართლაცდა ნახევარქათამა **დანილოვთან,** ნაძირალა **არახამიასთან, გერაშენკოსთან, პოდოლიაკთან** და სხვა „გარშოკებთან“ და „პოდონკებთან“ ერთად აგერ უკვე მესამე თვეა, მოგვიწოდებს და გვაქეზებს, რომ დავებდღვნათ რუსეთს და პუტინის „ისკანდერებს“ გადავახვნევინოთ საქართველო, რომელიც, საისტორიო ბედისწერით თუ რაღაც შემთხვევითობით, დიდი ისკანდერისგან აოხრებასა და განადგურებას აშკარად გადაურჩა.

**მივუბრუნდეთ „რეჩ პოსპოლიტას“!**

**თავის დროზე უკრაინა სწორედ „რეჩ პოსპოლიტას“ „ოკრაინა“, ანუ განაპირა მხარე იყო, რომელმაც პოლონელებისა და ლიტველებისგან უამრავი უბედურება და შევიწროება გადაიტანა.** თავისუფლებისმოყვარე და მამაცი უკრაინელი ერი არ ურიგდებოდა და თავს არ უხრიდა ოსმალეთის ხონთქრის, პოლონეთის მეფისა და ყირიმის ხანის მტაცებლურ და უზნეო პოლიტიკას. შესაბამისად, **პერეიასლავის რადაზე,** 1654 წლის 18 იანვარს, როცა უკრაინა რუსეთს შეუერთდა, **ბოგდან ხმელნიცკის** სამი არჩევანი ჰქონდა — **ან პოლონეთის შლიახტის მონა უნდა ყოფილიყო, რომელსაც სისხლი გაუშრო, ან თურქეთის სულთანს დამორჩილებოდა, ანდა ყირიმის ხანის ქვეშევრდომობა ეღიარებინა.** აქაც ისევე, როგორც 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შემთხვევაში, ყველაფერი გადაწყვიტა სარწმუნოებრივმა ფაქტორმა. უკრაინელების უდიდესი უმრავლესობა ისევე, როგორც თავად ჰეტმანი **ბოგდან ხმელნიცკი,** მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ. სწორედ ამის გათვალისწინებით, **პერეიასლავის რადაზე** ხმელნიცკიმ თავის ხალხთან ერთად რუს **ბოიარ ბუტურლინს** შეჰფიცა ერთგულება და განაცხადა, რომ უკრაინა რუსთხელმწიფის სამსახურში ჩადგებოდა.

**ძნელი სათქმელია, რა მოხდა მერე ამ ორ მონათესავე ხალხს შორის და რატომ იქცა უკრაინა საჯილდაო ქვად რუსეთსა და პოლონეთს შორის.** როგორც კი მეფის რუსეთი დაემხო, რომანოვების თვალუწვდენელი იმპერია დაიშალა და უკრაინამ თავისუფლების დროშაააფრიალა... **პირველი, ვინც უკრაინას მაშინ დაებდღვნა და 1918 წლის დეკემბერში დასავლეთ უკრაინაში, კერძოდ, გალიციაში, ომი დაიწყო, სწორედ პოლონეთი გახლდათ.** უფრო მეტიც, **1920 წლის 7 მაისს** პოლონეთის მარშალმა **იუზეფ პილსუდსკიმ** კიევი აიღო. **სწორედ იმავე დღეს მოეწერა ხელი რუსეთ-საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულებას გრიგოლ ურატაძესა და ლევ კარახანს შორის, რომლის ძალითაც რუსეთმა მსოფლიოში პირველმა ცნო საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.**

მაშინ ნახევარი უკრაინა პოლონეთს ებრძოდა, ხოლო ნახევარი — რუსეთს... დღეს კი მთელი უკრაინა რუსეთს ეომება და მზად არის, წყეული **„რეჩ პოსპოლიტას“** მსგავს უღელში გაყოს თავი, რადგან პოლონელებს უკრაინის ტერიტორიაზე „განსაკუთრებული სტატუსის“ მინიჭებას ჰპირდება!

**თუ ზელენსკი იმისთვის მოიყვანეს, რომ უკრაინა პოლონეთსა და რუსეთს შორის გაყონ, მაშინ ძალიან ცუდად დასრულდება ეს ამბავი...**

## მამაცი უკრაინელი ერი აღდგება, ამ ნახევარქათმების რეჟიმს წალეკავს და ზელენსკი და მისი მინიკაბიანი ბიჭები ზუსტად იმ ბედს გაიზიარებენ, რაც მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთ ცრუდიმიტრის დამართეს – ყველას ზარბაზანში ჩატენიან და პოლონეთისკენ გაისვრიან!

ერთი კია — აწ განსვენებულმა **პრეზიდენტმა კაჩინსკიმ** რუსეთ-უკრაინის ომით პუტინზე შური იძია!

**იძიებს თუ არა პუტინი შურს პოლონეთზე, ამას მომავალი გვიჩვენებს!**

***დიტო ჩუბინიძე***






## როდის აკოცებენ ერთმანეთს ზელენსკი და ანჯეი დუდა ზუსტად ისე, როგორც ამას ბრეჟნევი და ჰონეკერი შვრებოდნენ?

# გახსოვდეთ რეჩ პოსპოლიტა!

# სტალინის გარდაცვალებიდან 11 წლის შემდეგ ხრუშჩოვმა არასრულწლოვანი დახვრიტა!



## გრიგოლ ონიანი

***1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა, რომლის აღნიშვნა 1925 წელს გადაწყდა ჟენევის საერთაშორისო კონფერენციაზე, თუმცა, პირველად მხოლოდ 1950 წელს აღნიშნა 51-მა ქვეყანამ. საბჭოთა კავშირში კი ეს დღე 1990 წელს აღნიშნეს. სწორედ იმ დღეს დატრიალდა ტრაგედია თბილისში, როცა მთაწმინდის საბაგირო გზის ბაგირი გაწყდა და ორ ვაგონში მყოფი ადამიანებიდან 42-მა მძიმე დაზიანებები მიიღო, 19 კი დაიღუპა. მგზავრთა ნაწილი ახალციხის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეები იყვნენ, რომლებიც მთაწმინდის პარკის დასათვალიერებლად ექსკურსიაზე ჩამოვიდნენ და „ბავშვთა დღეს“ აღნიშნავდნენ.***






1995 წელს ვიმყოფებოდი ბულგარეთში, სადაც უკვე ძალადაკარგული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მუშაკებს შევხვდი. იქ ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა კაცი — შევიტყვე, საქართველოდან ხართ და სტალინის საზოგადოებას ხელმძღვანელობთო... როცა ვუთხარი, მთელი ჩემი ცხოვრება **სტალინის** ფენომენის შესწავლას ვემსახურები-მეთქი, გაკვირვებულმა შემომხედა — **სერიოზული პიროვნება ჩანხართ და, როგორ შეიძლება, სტალინის სახელს პატივს სცემდეთო?** შემდეგ დასძინა — სტალინს შახტში შეჰყავდა 1500-2000 ბავშვი, ავტომატით ხოცავდა, შემდეგ კი სისხლის გუბეებში დააბიჯებდაო... ამ ნაბოდვარზე ყურადღებას არ გავამახვილებდი, რომ არა სტალინის სახელის ლაფში ამოსვრის ტენდენცია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა გონებაშეზღუდულმა **ნიკიტა ხრუშჩოვმა** 1956 წელს.

**კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე ხრუშჩოვმა სტალინის სახელი 61-ჯერ ახსენა უარყოფით კონტექსტში. მაგრამ 61 ბრალდება, რომლებმაც შოკში ჩააგდო არამხოლოდ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, არამედ კაპიტალისტური სამყაროც, რამდენიმე წლის შემდეგ ანეკდოტურ ბრალდებებად იქცა.** ამერიკელი ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა „ანტისტალინური სისაძაგლე“, მონტკლერის (ნიუჯერსის შტატი, აშშ) უნივერსიტეტის პროფესორი **გროვერ ფერი** წერს: **„როგორც გაირკვა, ხრუშჩოვის მოხსენებაში აღნიშნული მტკიცებულებიდან არცერთი არ აღმოჩნდა მართალი. არცერთი! „დახურულ“ მოხსენებაში ხრუშჩოვს სტალინსა და ბერიაზე ერთი მართალი სიტყვაც კი არ დასცდენია“.**

**ხრუშჩოვის** „დახურულ“ მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი სტალინის ბავშვთმოძულეობაზე, მაგრამ გარკვეულმა ძალებმა თემა **„სტალინი და ბავშვები“** საბჭოეთის ბელადის გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ წამოსწიეს და განაცხადეს — **სტალინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას, რომლის მიხედვითაც, 12 წლამდე ბავშვები, როგორც სამშობლოს მტრები, ისე დახვრიტესო.**

ამ თემის წინა პლანზე წამოწევის საფუძველი გახდა 1935 წლის 7 აპრილის ბრძანებულება, რომელიც საბჭოთა კავშირში არასრულწლოვანთა დასჯას ეხებოდა.

გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი **სერგეი ჩერნიახოვსკი** წერს:

**„ოცდაათიან წლებში საბჭოთა კავშირში გაუქმებული იყო არასრულწლოვან მოქალაქეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. მათზე მზრუნველობა დაკისრებული ჰქონდათ სამედიცინო და პედაგოგიურ სამსახურებს. აღნიშნულმა გარემოებებმა შექმნა ქვეყანაში დაუსჯელობის ატმოსფერო და გახშირდა როგორც ძარცვა-ყაჩაღობა, ასევე ადამიანთა მკვლელობა. კიდევ უფრო შემაშფოთებელი იყო ის, რომ დამნაშავეთა სამყარომ დასაყრდენი პოვა არასრულწლოვნებში“.**

ამ და სხვა გარემოებათა გამო **კლიმენტი ვოროშილოვმა** პოლიტბიუროს სახელზე შეიტანა განცხადება, განეხილათ ქვეყანაში არასრულწლოვან მოქალაქეთა სისხლის სამართლის დანაშაულთა საკითხი და მიეღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება. საკითხის ღრმად შესწავლის შემდეგ 1935 წლის 7 აპრილს სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება **არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდასრულთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან გათანაბრების შესახებ,** რომელსაც ხელს აწერდნენ **მიხეილ კალინინი, ვიაჩესლავ მოლოტოვი და ივანე აკულოვი**. 1935 წლის 9 აპრილს გაზეთმა „პრავდამ“ სრულად გამოაქვეყნა ბრძანებულება და დაავალა ყველა პედაგოგიურ კოლექტივსა და ბავშვთა დაწესებულებას, ჩაეტარებინათ ახსნა-განმარტება არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის თაობაზე.

არქივების გახსნის შემდეგ ანტისტალინელები გამალებით ეძებდნენ ბავშვთა მიმართ გამოჩენილი სისასტიკის საბუთს. კანადელი მეცნიერი **პიტერ სოლომონი,** რომელიც თავგამოდებულ ანტისტალინელად არის ცნობილი, წერს:

**„საარქივო მასალების მრავალმხრივ დამუშავების შემდეგ მე და ჩემმა მეგობრებმა ვერ აღმოვაჩინეთ სტალინურ პერიოდში არასრულწლოვანთა დახვრეტის ვერცერთი ფაქტი“.**

1935 წლის 31 მაისის სახალხო კომისართა საბჭოსა და ცენტრალური კომიტეტის (№32, სტ. 252) გადაწყვეტილებაში კატეგორიულად იყო ჩაწერილი, რომ:

**„არ შეიძლება დაიხვრიტოს პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ შესრულებია 18 წელი, და ქალები ორსულობის პერიოდში“.**

1940 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების კოლონიების მთავარმა სამმართველომ მთავრობის სახელზე შეადგინა საიდუმლო მოხსენება სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომლის ერთი თავი დათმობილი აქვს არასრულწლოვანთა შორის მუშაობას. მასში ნათქვამია:

**„სისტემაში მუშაობს მიმღებ-გამანაწილებელი იზოლატორი და შრომითი კოლონიები არასრულწლოვანთა და ზედამხედველობის გარეშე დარჩენილ მოზარდთათვის... 162 მიმღებ-გამანაწილებლის არსებობის ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში მიღებული და განაწილებული იქნა 952 834 მოზარდი როგორც საბავშვო ბაღებში, მრეწველობის, ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროების დაწესებულებებში, ასევე — შრომით კოლონიებში. ამჟამად ქვეყანაში ღია და დახურული ტიპის 50 შრომითი კოლონიაა. კოლონიებს ემსახურება 1200 აღმზრდელი, ხოლო სკოლებს — 800 მასწავლებელი; 225 ხელოვნების მუშაკი ემსახურება თვითშემოქმედებით სექციებს. შრომითი კოლექტივებიდან გასული მოზარდებიდან ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში წარმოებაში ჩაება და პროფესიულ საქმიანობას განაგრძობს 28 280 ყოფილი მსჯავრდებული“.**

აი, ასეთი იყო არასრულწლოვანთა მიმართ დამოკიდებულება სტალინის ეპოქაში.

ახლა კი გაგაცნობთ „ტირანი“ და „ბავშვთმოძულე“ სტალინის შემდეგ მოსული „დემოკრატი“ **ხრუშჩოვის** დამოკიდებულებას ბავშვების მიმართ. **საბჭოთა კავშირის არსებობის 70 წლის განმავლობაში, 1921-დან 1991 წლამდე, არასრულწლოვანის სიკვდილით დასჯა მხოლოდ ერთხელ მოხდა — 1964 წლის 11 აგვისტოს, და ისიც ხრუშჩოვის ბრძანებით.**

1964 წლის 27 იანვარს ლენინგრადში 37 წლის დიასახლისი **ლარისა კუპრევა** თავის 3 წლის ბიჭუნასთან ერთად საკუთარ ბინაში ნაჯახით აჩეხეს. სამი დღის შემდეგ დაიჭირეს მკვლელი — 15 წლის ლენინგრადელი **არკადი ნეილანდი,** რომელმაც ითანამშრომლა გამოძიებასთან და დაწვრილებით მოყვა მომხდარი.

**1964 წლის 17 თებერვალს ხრუშჩოვის დაჟინებული მოთხოვნით, აღნიშნული მკვლელობიდან 20 დღის შემდეგ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენების შესახებ.** მიუხედავად იმისა, რომ დადგენილება ირიბად **არკადი ნეილანდის** მიმართ იქნა გამოტანილი, მას დახვრეტა მაინც არ ემუქრებოდა, რადგან კანონს უკუქმედების ძალა არა აქვს. **„დემოკრატიის ბაირახტარმა“ ნიკიტა ხრუშჩოვმა, რომელმაც თავი გამოაცხადა კანონმდებლადაც და კანონის აღმსრულებლადაც, პრინციპულად მოსთხოვა სასამართლოს, არკადი ნეილანდისთვის დახვრეტის განაჩენი გამოეტანა.**

**1964 წლის 23 მარტს საბჭოთა სასამართლომ არასრულწლოვნის მიმართ პირველად გამოიტანა სიკვდილით დასჯის განაჩენი და არკადი ნეილანდი, როგორც ხრუშჩოვის ზვარაკი, 1964 წლის 11 აგვისტოს დახვრიტეს.**

### ცნობისთვის:

***ამერიკის შეერთებულ შტატებში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯა მხოლოდ 2002 წელს გაუქმდა. 1990-დან 2007 წლამდე, 17 წლის განმავლობაში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არასრულწლოვანთა სიკვდილით დასჯის 56 შემთხვევა აღირიცხა, მათ შორის: ირანში, იემენში, ჩინეთში, კონგოში, ნიგერიაში, პაკისტანში, საუდის არაბეთში, სუდანსა და აშშ-ში.***

**გრიგოლ ონიანი**






# ჯეფრი სილვერმანი: ნუთუ



***სტალინის გარდაცვალებიდან თითქმის 70 წელი გავიდა. მსოფლიო რადიკალურად შეიცვალა. ტყლიპიანი გორბაჩოვის პერესტროიკამ შვა ნგრევა და ხალხთა მეგობრობის გაცამტვერება. გაიღვიძეს მიძინებულმა კონფლიქტებმა და ტერიტორიულმა პრეტენზიებმა. გლობალურ პოლიტიკურ ასპარეზზე ისევე, როგორც პოსტსაბჭოურ სივრცეში, ყელყელაობენ დემოკრატიის ნიღბით მოსული ფაშისტები და მასხარები. თუნდაც უკრაინის თანამედროვე ლიდერისა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მაგალითზე ყველასათვის ნათელია, რომ სიშლეგესა და უმეცრებას საზღვარი არ გააჩნია. რაც მთავარია, ამ ჭკუამხიარული ხალხის ეგზალტირებულ მხარდამჭერთა წყალობით, ეს ორი ქვეყანა გამუდმებული დაძაბულობის რეჟიმში ცხოვრობს. ჟურნალ „ვეტერანს თუ დეის“ საქართველოს ბიუროს უფროსი, ჟურნალისტი ჯეფრი სილვერმანი ჩვეული ობიექტურობით განმარტავს, რომ ჩიტირეკიათა მისწრაფებებს გასაქანი არ უნდა მიეცეს:***

— კლინიკა „ვივამედმა“ ხმამაღლა განაცხადა, რომ მათ შესწევთ უნარი, სააკაშვილს დიაგნოზიც დაუსვან და მისი მკურნალობაც მართონ. ამიტომ ძალიან შეურაცხმყოფელია, როდესაც ოპოზიციას კლინიკასა და მისი ექიმების კომპეტენციაში ეჭვი შეაქვს. სააკაშვილის გადაყვანა უნდათ ამერიკის „ემორის“ საუნივერსიტეტო კლინიკაში, რომელიც ჯორჯიის შტატში — ატლანტაში მდებარეობს, მაგრამ იმას კი აღარ ამბობენ, კანონის რომელი მუხლი ითვალისწინებს ასეთი პატიმრის გაყვანას საზღვრებს გარეთ, მითუმეტეს, როცა ამის საჭიროება არ დგას. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა **რატი ბრეგაძემ** ოპოზიციას გასაგებად უთხრა: **საზღვარგარეთ გადასაყვანად ადამიანი პატიმარი არ უნდა იყოს, ის იხდის სასჯელს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში, არა აქვს ისეთი დიაგნოზი, რომელიც საქართველოში არ იკურნებაო.** ამას გარდა, „ემორის“ უნივერსიტეტის პროფესორები თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ხშირად ჩამოდიან, ხელშეკრულება აქვთ დადებული, ლექციებს კითხულობენ და არ მგონია, უარი თქვან სააკაშვილის შემოწმებაზე!

**— გგონიათ, სააკაშვილი რეალურად ავად არის?**

— სააკაშვილი სულელებს

## „არც უკრაინაში და არც ამერიკაში ბავშვებზე არავინ ზრუნავს, მეძუძური დედები ველარ ყიდულობენ ჩვილ ბავშვთა საკვებს!“

# ★ საიდუმლო დოკუმენტი


Сов. секретно
РАССЕКРЕЧЕНО
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ ОБОРОНЫ
ПОСТАНОВЛЕНИЕ № 8572сс
от "15" мая 1945 г. Москва, Кремль

О вывозе военнопленных с фронтов и направлении их на работу в промышленность.

Государственный Комитет Обороны ПОСТАНОВЛЯЕТ:

1. Обязать НКВД СССР (т.Берия) направить для работы на предприятиях и стройках наркоматов в течение мая-июля 1945 1.250.000 военнопленных с фронтов, с распределением по наркоматам согласно приложениям № 1 и 2.

2. Обязать народных комиссаров, предприятия и стройки которых получают для работы военнопленных, обеспечить готовность жилых и культурно-бытовых помещений для приёма и размещения военнопленных в пунктах и сроки по согласованию с НКВД СССР, а также выделить необходимый хозяйственный транспорт и произвести подготовительные мероприятия к трудовому использованию военнопленных, прибывающих на предприятия в соответствии с п.1 настоящего Постановления.

3. Обязать НКПС (т.Ковалева) и ЦУПВОСО НКО (т.Дмитриева) обеспечить подачу всех эшелонов, по заявкам НКВД СССР, для перевозки в период май-июль 1945 г. 1.250.000 военнопленных.

4. Разрешить НКВД СССР сформировать для охраны вновь прибывающих в лагери военнопленных 30 полков конвойных войск, для чего увеличить численность войск НКВД СССР на 49.000 человек.

76

2.

... выделить НКВД СССР на ... человек, годных к строе...
...кой службы – 2520 человек;
– 600 – " –
...онала – 150 – " –
... –45580 – " –

... Армии (т.Яковлева) выде... ...ение для вновь формируе...

...ва) поставить НКВД СССР ... войск 250 автомашин, за

...енского):
...артале 1945 г. НКВД СССР ... войск НКВД – 100 авто... ...рганизации новых лагерей

...НКВД СССР продовольствие на дополнительную численность военнопленных, прибывающих в мае-июне 1945 г.

Председатель Государственного Комитета Обороны (И.Сталин)

*სრულიად საიდუმლოდ*

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება № 8572 სს
15 მაისი, 1945 წ.

## სამხედრო ტყვეების ფრონტებიდან ჩამოყვანისა და მათი საწარმოებში განაწილების შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ადგენს:

**1.** დაევალოს სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს **(ამხ. ბერია),** სახალხო კომისარიატის საწარმოებსა და მშენებლობებზე, 1945 წლის მაის-ივნისში №1 და 2 დანართების შესაბამისად, სამუშაოდ გადაანაწილოს **1 250 000 სამხედრო ტყვე.**

**2.** დაევალოს სახალხო კომისრებს, საწარმოებსა და მშენებლობებზე სამუშაოდ გადანაწილებული ტყვეებისათვის უზრუნველყონ საცხოვრებელი, საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების შენობა-ნაგებობები სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მიერ დადგენილ ვადებში; მათი საქმიანობისთვის გამოიყოს ავტოტრანსპორტი. სამხედრო ტყვეების დასასაქმებლად გატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები დადგენილების პირველი პუნქტის შესაბამისად.

**3.** დაევალოს რკინიგზის სახალხო კომისარიატს (ამხ. **კოვალიოვს**) და თავდაცვის სახალხო კომისარიატის ცენტრალურ სამმართველოს (ამხ. **დმიტრიევს**), უზრუნველყონ ეშელონები სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოთხოვნის შესაბამისად, 1945 წლის მაის-ივნისის პერიოდში 1 250 000 სამხედრო ტყვის გადასაყვანად.

**4.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს მიეცეს უფლება, გაზარდოს სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რიგები 49 ათასი კადრით, ბანაკებში განაწილებული სამხედრო ტყვეების სამეთვალყურეოდ; ასევე შექმნას ცხენოსანთა ჯარის 30 პოლკი.

**5.** სსრკ-ის თავდაცვის სახალხო კომისარს (ამხ. **ბულგანინს**) დაევალოს, სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისთვის 49-ათასიანი ცხენოსანთა 30 პოლკის ფორმირებისათვის წარადგინოს სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი კადრები, მათ შორის:

**ა)** 2 520 ოფიცერი სამშენებლო და ინტენდანტური სამუშაოებისთვის; **ბ)** 600 პოლიტმომსახურე ოფიცერი; **გ)** 150 ექიმი და 600 მედპერსონალი; **დ)** 45 580 რიგითი, ასევე სერჟანტი;

**6. დაევალოს წითელი არმიის კონტროლის მთავარ სამმართველოს** (ამხ. **იაკოვლევს**), გამოყოს სსრკ-ის შინაგან საქმეთა კომისარიატისათვის შეიარაღება ახალფორმირებული სამხედრო პოლკებისთვის.

**7. დაევალოს მანქანათმშენებლობის კომისარიატს** (ამხ. **აკოპოვს**), გამოყოს სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლშექმნილი ცხენოსანთა პოლკისთვის 250 მანქანა თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხარჯზე.

**8.** სსრკ-ის სახელმწიფო დაგეგმვის სამსახურს დაევალოს:

**ა)** 1945 წლის III კვარტალისთვის სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცხენოსანთა ახალშექმნილი პოლკისთვის გამოყოს 100 ავტომანქანა და გაითვალისწინოს ყველანაირი მატერიალური დახმარება სამხედრო ტყვეების ახალი ბანაკებისათვის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოთხოვნის შესაბამისად.

**ბ)** 1945 წლის II კვარტალისათვის სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გამოეყოს საკვები პროდუქტი 1945 წლის მაის-ივნისში დამატებით ჩამოყვანილი სამხედრო ტყვეებისთვის.

*სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე*

**ი. სტალინი**

# აკადემიკოსი გიორგი კვესიტაძე 80 წლისაა!



*„1944 წელი იდგა. დილის 4 სთ-ზე ჩემ სამუშაო კაბინეტში ტელეფონის ზარი გაისმა. ყურმილი ავიღე და ...*

*— **გამარჯობათ. ასე გვიანობამდე მუშაობთ?** — სტალინის ხმა ვიცანი და ვუპასუხე:*

*— დიახ, ამხანაგო სტალინ. საქმე მოითხოვს.*

***— თუ შეგატყობინეს, რომ აკადემიკოსი კომაროვი თქვენთან აპირებს ჩამოსვლას სამკურნალოდ?***

*— არა, ამხანაგო სტალინ.*

*— **შეუძლებელია. ალბათ, გამორჩათ,** — როგორც ჩანს ეწყინა და მცირე პაუზა გააკეთა — **აკადემიკოსი ავადმყოფობს და გთხოვთ, ზრუნვა არ მოაკლოთ. ხშირად მიაკითხეთ. ჰაერზე გაყავდეთ.***

*— **გასაგებია, ამხანაგო სტალინ.***

*— **ნახვამდის.** — თქვა სტალინმა და ყურმილი დაკიდა".*

**ბატონო გიორგი,** ეს ნაწყვეტი **აკაკი მგელაძის მემუარებიდან** იმიტომ მოვიყვანე, რომ დღევანდელმა თაობამ იცოდეს, რა დიდი ყურადღება ექცეოდა ადრე მეცნიერებას და მეცნიერების ქურუმებს.

ბატონო გიორგი, როდესაც თქვენს საიუბილეო მილოცვას ვწერდი, თავში ამომიტივტივდა სტალინის მეურვეობა აკადემიკოსის მიმართ და, პარალელურად, გამახსენდა დიდი **დავით აღმაშენებლის** მეისტორიის სიტყვები, მაგრამ ზუსტად არ მახსოვდა სიტყვათა წყობა და ამიტომ ბატონ **როინ მეტრეველს** მივმართე დახმარებისათვის, რომელმაც დაუფიქრებლად ჩამაწერინა:

**„არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებარსა უმიროს".**

**ბატონო გიორგი,** თქვენ მიერ განვლილი ცხოვრების გზა — გზა დიდი მეცნიერის, მამისა და მეუღლისა — გაცილებით მეტს მოითხოვს საზოგადოებისა და მეგობრისგან, მაგრამ, საუბედუროდ, არც საზოგადოებაა მზად და არც მე ვარ ჰომეროსი!

*გრიგოლ ონიანი*

# აქამდე დაეშვება ქვეყანა?

ატყუებს, საკანში ჯდომა არ უნდა, არ სურს გისოსების ყურება, ვერ ძლებს კომპიუტერისა და ტელეფონის გარეშე — ერთი სიტყვით, თავისუფლება სწყურია. **ახლა მაგისი ორგანიზმის ცილების შიმშილს, ცოლების შიმშილიც რომ მიემატოს, მაშინ რა უნდა ქნას ან „ვივამედმა", ან „ემორის" კლინიკამ?** კიდევ საკითხავია, რომელი ცოლის შიმშილი გადაწონის? არ გაგიკვირდეთ, ამ მიზეზით, აქციებიც რომ გამართონ. **მგონია, რომ სააკაშვილს ყველაზე კარგად უკრაინელი მეუღლე მოუვლის, თუმცა, ამ ბოლო დროს აღარ ჩამოსულა.** ჩემი აზრით, სააკაშვილი ფსიქიკურად არის დაავადებული, ის უნდა მოათავსონ მაღალლობეშემორტყმულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

**— სააკაშვილს მხარდაჭერას უცხადებს ზოგიერთი ევროპარლამენტარი...**

— ყურადღება მიაქციეთ, იუსტიციის სამინისტროდან გაჟღერდა ფრაზა: **ქვეყნის ფარგლების დატოვების დროს სასჯელი გადავადებული უნდა იყოს, თუ სასჯელისგან თავისუფალი, ამის შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს.** ესე იგი, თუკი სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, „ვივამედში" ნამკურნალევ სააკაშვილთან დამატებით კიდევ შეუშვან სამედიცინო ექსპერტები, შეგვიძლია, ისიც დავუშვათ, რომ სასამართლომ სააკაშვილს სასჯელიც გადაუვადოს და სამკურნალოდაც გაუშვას. რა თქმა უნდა, სამართლებრივ საფუძველსაც გამონახავენ. ნუთუ აქამდე დაეშვება ქვეყანა?

**— იქნებ სააკაშვილი უკრაინელებს სჭირდება, რომლის დასავლეთ ნაწილსაც, მგონი, პოლონეთი ეპოტინება...**

**– პოლონელი პოლიტიკოსები ქვეყანას ფსკერისკენ მიათრევენ, მჭიდრო ფინანსური კავშირები აქვთ უკრაინასთან. მათთვის რუსეთი მარადიული მტერია და ყოველთვის ცდილობენ, საშინაო პრობლემები რუსეთს გადააბრალონ. ფიქრობენ, რომ ამ ომით იმ ტერიტორიას დაიბრუნებენ, რაც მეორე მსოფლიო ომის დროს დაკარგეს, მაგრამ ეს არასოდეს მოხდება.**

პოლონეთი ლტოლვილებითაა გადატვირთული, მათი უმეტესობა უკან დაბრუნებას არ აპირებს და მოსახლეობა უკვე უკმაყოფილებას გამოთქვამს ამის გამო. უკრაინაში ისეთი მდგომარეობაა, როგორც 90-იანებში, სრული ქაოსი, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩატანილი ჰუმანიტარული დახმარება დახლებზე დევს და ხალხს არ ურიგდება. არ დაგავიწყდეთ, უკრაინის პრეზიდენტის გვერდით არიან **ზურაბ ადეიშვილი, გია ლორთქიფანიძე და ნაციონალური მოძრაობის სხვა წევრები,** მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ აქ პროცესების არევა, ბევრი მათგანი ცივსისხლიანი მკვლელია, მონაწილეობდნენ მაიდანის მოწყობაში... ამასთან, ესენი არიან სააკაშვილის მსახურები, მათ მიმართ ყურადღების მოდუნება არ შეიძლება. **თუკი უკრაინა მარცხისკენ წავა, ქართველ კრიმინალებსა და უკრაინელ ნეონაცისტებს ევროპა და ამერიკა არ მიიღებს, გამოსაქცევ ადგილად ისევ საქართველოს მოძებნიან.** ამიტომ ხალხიც ფხიზლად უნდა იყოს და მთავრობაც.

**— რუსეთ-უკრაინის ომმა, ძირითადად, ბავშვთა საკვები პროდუქტების დეფიციტი გამოიწვია, მათ შორის ამერიკაში...**

— არც უკრაინაში და არც ამერიკაში ბავშვებზე არავინ ზრუნავს, მეძუძური დედები ვეღარ ყიდულობენ ჩვილ ბავშვთა საკვებს, ამერიკაში ახლა ეს არის ძირითადი სალაპარაკო თემა. გაზრდილია ფასები პროდუქტებზე, საწვავზე გაორმაგებული, ხალხი მიხვდა, რომ ამაში რუსეთი კი არ არის პასუხისმგებელი, არამედ პასუხი უნდა აგოს **ბაიდენის ადმინისტრაციამ.** მოკლედ, **ბაიდენი შესანიშნავ წინაპირობებს უქმნის ტრამპს ხელახლა პრეზიდენტად ასარჩევად. თან ამერიკაში შუალედური არჩევნები ახლოვდება.**

**— ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა განაცხადა, უკრაინა უნდა დაეთანხმოს თავისი ტერიტორიის ნაწილის დათმობას რუსეთთან სამშვიდობო შეთანხმების მისაღწევად და სამთვიანი ომი დაუყოვნებლივ დაასრულოსო...**

— **კისინჯერმა** იცის, რომ ეს არის ამერიკასა და რუსეთს შორის გამოცხადებული მარიონეტული ომი. მან თქვა, უკრაინამ დონბასისა და ყირიმის დაკარგვა უნდა აღიაროს და მათი დამოუკიდებლობა დაუშვასო. მისი ნათქვამი ძალიან პრაგმატულია, რადგან ამ ტერიტორიის დაბრუნების შანსი მცირეა. ცოტა ხნის წინათ ევროპელ ლიდერებს მან უთხრა, განიხილონ გრძელვადიანი ურთიერთობის საკითხები რუსეთთან და არ გარისკონ რუსეთსა და ჩინეთს შორის კავშირის შემდგომი გაძლიერება. დასკვნა ერთია,

**რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციემა დასავლეთი უფრო დააზიანა, ვიდრე რუსეთი, ხალხს უკვე აწუხებს გაჭირვება და მუდმივად მზარდი გადასახადების პერსპექტივა.**

**— გამოდის, რომ პოსტსტალინურ ეპოქაში უკვე მერამდენედ მსოფლიო პოლიტიკური რუკა შეიძლება შეიცვალოს?**

— მოკლედ გიპასუხებთ: სტალინმა ჯერ კიდევ 1932 წელს ოფიციალურად განაცხადა, რომ არსებობდა გარდაუვალი ომის ორი კერა — ერთი აქვე, გერმანიაში, ხოლო მეორე აღმოსავლეთში, იაპონიის სახით. ისტორიამ ზუსტად 90 წლის წინათ გაკეთებული ეს განცხადება, მოგეხსენებათ, თვალნათლივ დაადასტურა!

*ესაუბრა*

*ქეთევან ხამიცაშვილი*



**„ჯო ბაიდენი შესანიშნავ წინაპირობებს უქმნის დონალდ ტრამპს პრეზიდენტად ხელახლა ასარჩევად. თან ამერიკაში შუალედური არჩევნები ახლოვდება!"**

## ★ ბელადზე უთქვამთ



● **ენტონი იდენი,** ***დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1955-1957 წლებში:*** — **სტალინმა** ჩემზე შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემიცვლია. მას ჰქონდა კარგი, ბუნებრივი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები, ვიცი, რომ იყო შეუბრალებელი, მაგრამ პატივს ვცემ მის გონებას და სიმპათიითაც კი ვარ განწყობილი მის მიმართ...



● **კორდელ ჰალი,** ***აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1933-1945 წლებში:*** — სტალინი გასაოცარი პიროვნებაა, ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით, აგრეთვე, პრაქტიკული საკითხების არსის წვდომის უნარით. ის **რუზველტსა** და **ჩერჩილთან** ერთად ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე აწვებათ ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსიც არცერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოეს 500 წელიწადში.



● **იუჰო კუსტი პაასიკივი,** ***ფინეთის პრეზიდენტი 1946-1956 წლებში:*** — სტალინი ისტორიაში უდიდესი სახელმწიფოს შემოქმედია. ის ფინეთისადმი სიმპათიასა და მეგობრულ დამოკიდებულებას ავლენდა. სტალინის გარდაცვალება ჩვენი ხალხის გულწრფელ მწუხარებას იწვევს.



● **ჰენრი კისინჯერი,** ***აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973-1977 წლებში:*** — სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერთგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი და აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი მე-20 საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია ისე, როგორც **რიშელიემ**— საფრანგეთი მე-17 საუკუნეში.



● **ელიოტ რუზველტი, აშშ-ის პრეზიდენტის შვილი:** — როდესაც ვუსმენდი მშვიდ საუბარს და თვალს ვადევნებდი მომხიბლავ ღიმილს, ვგრძნობდი მის ურყევ ნებისყოფას, რაზედაც თვით სახელი ფოლადი მიგვანიშნებს.

# გამარჯვების სტალინური დროშა

***რამდენიმე დღის წინათ სოციალურ ქსელში გავრცელდა ვიდეო, რომელზეც ასახულია, როგორ ამაგრებენ რუსი სამხედროები ჯავშანმანქანაზე დიდ სამამულო ომში გამარჯვების წითელ დროშას სტალინის გამოსახულებითა და წარწერით: За Родину! За Сталина!***




რუსი სამხედროები დროშას პატივისცემით ეპყრობიან, მიუხედავად იმისა, რომ, ალბათ, ერთი დღეც არ უცხოვრიათ საბჭოთა კავშირში. სამაგიეროდ, იციან, რომ იმათი გორისანი არიან, ვინც 1945 წელს წითელი დროშა ბერლინის თავზე აღმართა! ვინ იცის, იქნებ გერმანიაზე გამარჯვებულთა შთამომავლები ინსტინქტურად აფრიალებენ გამარჯვების სიმბოლოს, რათა მისგან მიიღონ დიდი წინაპრების ძალა და ენერგია.



უფრო ადრე სოციალურ ქსელში გავრცელდა სხვა ვიდეოც: **მოხუც ცოლ-ქმარს ეზოში შემოსული უკრაინელი სამხედროები რუსებში აერია და სახლიდან წითელი დროშა გამოიტანა, აქაოდა, განმათავისუფლებლები მოვიდნენო. უკრაინელმა სამხედრომ ქალს ჰკითხა: — ჩვენ გველოდებოდით? ქალმა, გამარჯვების წითელი დროშით ხელში, უპასუხა: არათუ, გელოდებოდით, თქვენთვის ვლოცულობდითო...** უკრაინელმა სამხედრომ ქალს პროდუქტები მისცა, მერე დროშა ხელიდან გამოსტაცა, ძირს დააგდო და შეძახილით: **„სლავა უკრაინე!“** ფეხებით გათელა.

ბებია უმწეოდ შესცქეროდა უკრაინელ სამხედროს. შემდეგ პროდუქტები დაუბრუნა და უთხრა:

**„ამ დროშით ჩემი მშობლები იბრძოდნენ, თქვენ კი ფეხით გათელეთ...“**

## ★ ჩვენი ვიქტორინა

**1.** გერმანელი კომუნისტებისა და გერმანიის მუშათა კლასის ბელადი, ერთგული სტალინელი ერნსტ ტელმანი ნაცისტებმა მოკლეს

ა) მაობიტის ციხეში; ბ) ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში; გ) შპანდაუს ციხეში; დ) ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში.

**2.** 20-30-იანი წლების სამხედრო წოდება „კომბრიგი“ შეესაბამებოდა 1940 წელს მიღებულ

ა) პოლკოვნიკის წოდებას; ბ) გენერალ-მაიორის წოდებას; გ) გენერალ-ლეიტენანტის წოდებას; დ) საშუალო იყო პოლკოვნიკისა და გენერლის წოდებებს შორის.

**3.** ლევ ტროცკის მკვლელის ნამდვილი სახელი და გვარი იყო

ა) ფრენკ ჯეკსონი; ბ) ჟაკ მორინარი; გ) რამონ მერკადერი; დ) რამონ ლოპესი.

**4.** ვ. ლენინმა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა

ა) სანკტ-პეტერბურგში; ბ) მოსკოვში; გ) ყაზანში; დ) ნიჟნი ნოვგოროდში.

**5.** დიდი სამამულო ომის წლებში შემოღებული საბარათო სისტემა კვების პროდუქტებზე და ზოგიერთ სამრეწველო საქონელზე გაუქმდა

ა) 1946 წელს; ბ) 1947 წელს; გ) 1948 წელს; დ) 1949 წელს.

**6.** საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მეზღვაურთა 1921 წლის კრონშტადტის აჯანყების ჩახშობას მეთაურობდა

ა) მიხეილ ფრუნზე; ბ) ვასილი ბლიუხერი; გ) მიხეილ ტუხაჩევსკი; დ) კლიმენტ ვოროშილოვი.

**7.** ცკ-ის საანგარიშო მოხსენებით სკკპ მე-19 ყრილობაზე გამოვიდა

ა) იოსებ სტალინი; ბ) გიორგი მალენკოვი; გ) ვიაჩესლავ მოლოტოვი; დ) ნიკიტა ხრუშჩოვი.

**8.** გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის საპროგრამო ლოზუნგი იყო

ა) ფიურერი მუდამ მართალია; ბ) სამუშაო და პური; გ) გერმანია გერმანელებისათვის; დ) გერმანია უპირველეს ყოვლისა.

**9.** ი. სტალინის ნაშრომი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ პირველად გამოქვეყნდა

ა) 1944 წელს; ბ) 1945 წელს; გ) 1946 წელს; დ) 1947 წელს.

**10.** ფაშისტურ გერმანიაში მეორე კაცის გერმან გერინგის წოდება იყო

ა) რაიხსფიურერი; ბ) რაიხსლაიტერი; გ) ფელდმარშალი; დ) რაიხსმარშალი.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:

1. ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში; 2. საშუალო იყო პოლკოვნიკის და გენერლის წოდებებს შორის; 3. რამონ მერკადერი; 4. ყაზანში; 5. 1947 წელს; 6. მიხეილ ტუხაჩევსკი; 7. გიორგი მალენკოვი; 8. სამუშაო და პური; 9. 1944 წელს; 10. რაიხსმარშალი.

## ★ ბელადი ხუმრობს

**— ამხანაგო ისაკოვ, არის აზრი, რომ თქვენ მთავარი სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსად დაგნიშნოთ.**

— ამხანაგო სტალინ, უნდა მოგახსენოთ, რომ მე სერიოზული ნაკლი მაქვს — ცალფეხა ვარ.

**— ეს თქვენი ერთადერთი ნაკლია, ამხანაგო ისაკოვ?**

— დიახ, ამხანაგო სტალინ.

**— თქვენამდე შტაბის უფროსად გვყავდა კაცი, რომელსაც თავი არ ჰქონდა, მაგრამ მაინც მუშაობდა.**

## შეკითხვების პასუხები ჩაწერეთ შესაბამის გრაფებში და მიიღებთ სტალინის ცნობილ ფრაზას




1. სტალინის გვარი; 2. ნაპოლეონის მარცხის ადგილი; 3. ქალაქი, სადაც გერმანიის კაპიტულაციის წინასწარ აქტს მოეწერა ხელი; 4. ყოფილი სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 5. სტალინის ლიტერატურული ფსევდონიმი; 6. გორში დაბადებული სომეხი რევოლუციონერი; 7. ადამიანის მოღვაწეობის სფერო, რომელშიც გამოყენებულია საფრენი აპარატურები; 8. ამ ქართულ ქალაქს ადრე სტალინირი ერქვა; 9. კონტრდაზვერვის ორგანიზაცია საბჭოთა არმიაში; 10. ძერჟინსკის სახელი; 11. გერმანელ ფაშისტთა ოპერაცია, რომელიც კავკასიის დაპყრობას ისახავდა; 12. ქართველი საბჭოთა გენერალი; 13. სპორტული საზოგადოება, რომელიც 1923 წელს შეიქმნა სსრკ-ში; 14. ტროცკის მკვლელი; 15. შეიარაღებული ძალები; 16. ქართველი ქალი, რომელიც გესტაპოელებმა სიმფეროპოლში წამებით მოკლეს; 17. დე გოლის სახელი; 18. ავიაკონსტრუქტორი; 19. საბჭოთა ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 20. საბჭოთა მზვერავი; 21. ადოლფ ჰიტლერის სამხედრო წოდება პირველ მსოფლიო ომში; 22. 1938 წელს გერმანიის მიერ ავსტრიის მიერთება; 23. საბჭოთა მოსამართლე ნიურნბერგის პროცესზე; 24. სტალინის დაცვის უფროსი; 25. საბჭოთა კოსმონავტიკის მამა; 26. საბჭოთა კავშირის მარშალი; 27. ტბა ლენინგრადთან, რომელზეც გადიოდა „სიცოცხლის გზა“; 28. სტალინის უფროსი ვაჟის სახელი.

### ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

1. ჯუღაშვილი; 2. აუსტერლიცი; 3. რეიმსი; 4. იუგოსლავია; 5. სოსელო; 6. კამო; 7. ავიაცია; 8. ცხინვალი; 9. სმერში; 10. ფელიქსი; 11. ედელვაისი; 12. ლესელიძე; 13. დინამო; 14. მერკადერი; 15. არმია; 16. რუხაძე; 17. შარლი; 18. ანტონოვი; 19. ლანდაუ; 20. ზორგე; 21. ეფრეიტორი; 22. ანშლუსი; 23. რუდენკო; 24. ვლასიკი; 25. ციოლკოვსკი; 26. ვოროშილოვი; 27. ლადოგა; 28. იაკობი.

ფრაზა: „ჯარისკაცს ფელდმარშალზე არ ვცვლი“

2022 წლის 30 მაისი. № 4 (128)

გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან

რედაქტორი გრიგოლ ონიანი

„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი. „ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www.facebook.com/Asavali.com გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.

თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ჩიხი №1, სახლი №5

599 29 2000

# რა მოხდა ბათუმის ერთ-ერთ რესტორანში ქართველებსა და უკრაინელებს შორის?



*უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე, რომელიც ნაცმოძრაობის გარყვნილმა რეჟიმმა ციხეში გამოამწყვდია, სააკაშვილის მიერ თურქებზე გასხვისებულ კიდევ ერთ უნიკალურ ობიექტს ასახელებს და აცხადებს, რომ ამ ზაფხულს აჭარაში უკრაინელ და რუს დამსვენებლებს შორის შესაძლოა, მორიგი დაპირისპირება მოხდეს:*

## თამაზ ბაკურიძე:

## სააკაშვილმა დედამისის თურქ მეგობარს 1 ლარად აჩუქა ლავრენტი ბერიას აგარაკი!

— წლევანდელი 6 მაისი, ანუ გიორგობა, რომელსაც ნაცები „აჭარის რევოლუციის" დღეს უწოდებენ, სააკაშვილის სექტამ ბათუმში მოკრძალებულად აღნიშნა, რადგან ხუთას კაცამდე თუ შეაგროვეს და აქედან უმრავლესობა ჩამოყვანილი ხალხი იყო. მაგალითად, თერჯოლიდან ჩამოსულმა სტუმარმა ვერაფრით ახსნა, რისთვის იყო ბათუმში და ვის უჭერდა მხარს. მოკლედ, წელს რომ სიხალვათე ჰქონდათ ნაცებს, ეგეთი არ მახსოვს...

**— ბატონო თამაზ, ბათუმი ყოველთვის იყო ორთოდოქსი ნაცების ბუდე და ახლა რატომ შეთხელდა მათი რიგები?**

— მას შემდეგ, რაც უკრაინაში ომი დაიწყო, ბათუმის ქუჩებში ხშირად გაიგონებთ — სააკაშვილი რომ იყოს ქვეყნის სათავეში, ჩვენც უკრაინის დღეში ვიქნებოდითო! ხალხი ხვდება, რომ ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნება ქვეყნის ომში ჩათრევას ნიშნავს, ამიტომაც მათ მიერ დაგეგმილ მიტინგებზე ბათუმი სულ უფრო და უფრო ნაკლებად აქტიურობს. ერთი რამ ვიცოდეთ:

### 2004 წელს ასლან აბაშიძე ბათუმიდან აჭარის მოსახლეობას არ გაუშვია!

**იმ ხალხის უმრავლესობა, რომელიც ე.წ. აჭარის რევოლუციაში მონაწილეობდა, საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან იყო ჩამოყვანილი და მათ ტრანსპორტირებას ხელმძღვანელობდნენ ზურაბ ჟვანია, გიორგი ბარამიძე, ნინო ბურჯანაძე და სხვა ნაცლიდერები...** 2004 წლის 6 მაისს მოხდა შემზარავი ფაქტი — ასლან აბაშიძის სავარძელი გამოიტანეს და დიდი მემედ აბაშიძის ძეგლს მუხლებში ჩააწვეს! ეს გააკეთეს ჩამოსულებმა, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, ვინ იყო მემედ აბაშიძე და მხოლოდ სააკაშვილის ბრძანება შეასრულეს. სააკაშვილმა ამით თურქეთის საკონსულოს, რომელიც მემედ აბაშიძის ძეგლიდან 30 მეტრში იდგა, ნიშანი მისცა — **„აწი ასე მიეცემა ცეცხლს აჭარაში ყველა ის საქმე, რის განხორციელებაშიც თავის დროზე მემედ აბაშიძე ხელს გიშლიდათ და მეოცე საუკუნის დასაწყისში აჭარა ხელიდან გამოგგლიჯათ!"** დიდი მემედის ძეგლი საერთოდ მოაშორეს იქაურობას და ბიზნესმენ **მიშა ოსაძის** სადარბაზოსთან მიაგდეს საცოდავად... აქედან დასკვნა — რატომ გვიკვირს ის, რაც დღეს სალიბაურის დასახლებაში ხდება?







ლავრენტი ბერიას ყოფილი აგარაკის შესასვლელი ბათუმში, სალიბაურის დასახლებაში, რომელიც დღეს გიული ალასანიას თურქი მეგობრის საკუთრებაა

**— აუხსენით ხალხს, რა ხდება სალიბაურში?**

— სწორედ სალიბაურში სააკაშვილმა დედამისის თურქ მეგობარს 1 ლარად აჩუქა ლავრენტი ბერიას აგარაკი! სალიბაური უმშვენიერესი და ძვირადღირებული დასახლებაა ბათუმში, იგი შემაღლებულ ადგილზე მდებარეობს და იქიდან მთელი ქალაქი ხელისგულივით მოჩანს. იქ არსებული ლავრენტი ბერიას აგარაკი ასლან აბაშიძის დროს ძვირფასი სტუმრების მოსასვენებლად გამოიყენებოდა. შენობა უნიკალურია იმით, რომ ლავრენტი ბერიას შეკვეთით აქვს საიდუმლო გვირაბები, რომლებიც კაციშვილმა არ იცის, საით მიემართება. ერთ-ერთი ვერსიით, რომელიღაც გვირაბი ზღვაშიც კი შედის, მაგრამ სად და როგორ, ალბათ, ერთ-ორ კაცს თუ ეცოდინება... აი, სწორედ ასეთი სტრატეგიული შენობა მიასხვისა ნაძირალა სააკაშვილმა ფეშენებელური სასტუმრო „შერატონის" მეპატრონეს. გარდა ამ შენობისა, სააკაშვილმა **გიული ალასანიას თურქ მეგობარს** ასევე აჩუქა ბერიას აგარაკის გარშემო მდებარე 27 ჰექტარი უნიკალური ტერიტორია, რომელიც დღეს რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი ღირს! ეს თურქი, რომელიც უკვე მოხუცია და საქართველოში იშვიათად ჩამოდის, თავისი მოურავების მეშვეობით სალიბაურის მოსახლეობას ავიწროებს.

> **„ეს შენობა უნიკალურია იმით, რომ ლავრენტი ბერიას შეკვეთით აქვს საიდუმლო გვირაბები, რომლებიც კაციშვილმა არ იცის, საით მიემართება!"**

### ამ დღეებში იქაურ მოსახლეობასთან ავედი და ხალხმა შემომჩივლა — გიული ალასანიას მეგობარმა თურქმა გზაც კი შემოგვიღობა და ძველი შენობა, სადაც კულტურის სახლის გახსნას ვაპირებდით, წაგვართვაო!

**— შენობა დაცულია?**

— შენობას და იმ 27 ჰექტარს იცავს სასტუმრო „შერატონის" დაცვა, რომელიც ასევე გიულის მეგობარ თურქს ეკუთვნის. ამ ტერიტორიაზე ცხვირს ვერ შეყოფ, არადა, იქაურობა საშინლად მოუვლელია. ამ მუქთახორების მიზეზით საქართველო და აჭარის ბიუჯეტი უამრავ თანხას კარგავს. ვიღაცა იტყვის, ბათუმი შენდებაო! კი მაგრამ, რის ხარჯზე შენდება? გაყიდულია ყველაფერი, საქართველოს აღარაფერი ეკუთვნის და ამის ხარჯზე შენდება?

ასლანსა და მე ბოლოს ერთმანეთში არ გვქონდა კარგი ურთიერთობა, მაგრამ აბაშიძე იყო მართალი, როცა უცხოელებზე გოჯ მიწას არ ყიდდა.

### მოვიდა თუ არა სააკაშვილი, მთელი ბათუმი თურქებს მიჰყიდა... ამიტომ ბათუმი, ფაქტობრივად, უკვე აღარც არის ქართული ქალაქი.

თანაც რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე კიდევ ერთი ჭირი დაგვემატა — რუს და უკრაინელ სტუმრებს შორის დრო და დრო ვითარება იძაბება და საქმეს ისეთი პირი უჩანს, ამ ზაფხულს ერთ დიდ „ბათქს" ვერ გადავურჩებით!

ამ ცოტა ხნის წინათ ქართველები ქეიფობდნენ ბათუმის ერთ-ერთ რესტორანში, სადაც მდიდარი უკრაინელი სტუმრებიც მივიდნენ. საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ ბათუმში ჩამოსული უკრაინელები უძვირეს სასტუმროებს ქირაობენ, უმაგრესი მანქანებით დაქრიან და დღედაღამ ფიტნესკლუბებში ვარჯიშობენ. მოკლედ, რესტორანში მოქეიფე ქართველმა ბიჭებმა უკრაინელებს ჩვენი ჰიმნი მიუძღვნეს და თან აუხსნეს — ამას მუსიკოსები თქვენ პატივსაცემად უკრავენო! **უკრაინელებმა ჩვენებს მადლობის მაგიერ ასეთი რამ უთხრეს — თუ ჩვენი პატივისცემა გინდათ, მაშინ იარაღი აიღეთ ხელში და უკრაინაში იომეთ, თქვენი სიმღერები ვის რაში სჭირდებაო?** ეს ჩვენებმა ვერ მოითმინეს — ეს როგორ, თქვენ აქ 100-ათასდოლარიანი ჯიპებით იგულაოთ და ჩვენ უკრაინისთვის ვიომოთო? — მოკლედ, ატყდა სერიოზული ჩხუბი. იმდენად გამწარდნენ ჩვენი ბიჭები, რომ რესტორნის დაცვამაც კი მიიღო მონაწილეობა და უკრაინელები კარგა ლაზათიანად ჟეჟეს...

**— ამ ზაფხულს ბათუმი და აჭარა რუსებს მიიღებენ?**

— ბათუმში, ქობულეთში, კვარიათსა თუ გონიოში მოსახლეობას ყველაფერი გამზადებული აქვს, რათა საოჯახო სასტუმროები თუ კოტეჯები ტურისტებს მიაქირაოს. რუსი იქნება, ბელარუსი თუ უკრაინელი, მაგას არა აქვს მნიშვნელობა, ხალხი დიდ სამზადისშია და აჭარა სტუმრებს მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ელოდება!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკური ორგანიზაცია „ერის" თავმჯდომარე*

სააკაშვილი და გვარამია რომ პროდასავლელები იყვნენ, ეჭვი მაქვს, მათი დაპატიმრება ვინმეს გაებედა. აშშ-ის პოლიტიკური ელიტისათვის **სააკაშვილი პუტინის მძევალი კი არა, კრემლთან თანამშრომლობაში შემჩნეული პიროვნებაა.**

„ახალი თაობა"



**ნიკოლოზ მეტრეველი**
*ანალიტიკოსი*

ვიღაცებს ჰგონიათ, რომ ევროპაში ყოველდღე **ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილის** დარდით კვდებიან, ეს სისულელეა. თუ ვინმე დღეს **ევროკავშირში მისაღებად არის მზად,** ეს საქართველოა.

„საქართველოს რესპუბლიკა"



**გიორგი გამსახურდია**
*საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილი*

ნაციონალები თავიანთ ბელადს **„გიჟის მოწმობას"** უჩალიჩებენ, ოღონდ ამის გაკეთება ისე უნდათ, რომ **სააკაშვილის გაგიჟება „ქართულ ოცნებას" დაბრალდეს.** სააკაშვილი თუ არანორმალურია, **ფსიქიატრიულში გადაიყვანეთ,** ხოლო ნორმალურები, რომლებიც ამ არანორმალურის ხარჯზე ხელისუფლებაში მოსვლას აპირებენ, **ციხეში ჩასვით.**

„TV იმედი"



**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*

გარკვეული პირები ცდილობენ, რეალობისგან განსხვავებული სურათი შექმნან, **სრული სიცრუეა, თითქოს სააკაშვილი აღარ არის კონტაქტური** და დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდება.

„პირველი არხი"



**ეკა ხერხეულიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი*

**მიხეილ სააკაშვილი** იყო ქვეყნის პრეზიდენტი, რომელმაც **სიკვდილით დასჯა გააუქმა** და თქვა, რომ ევროკავშირი არის გზა, რომელსაც საქართველო არასდროს გადაუხვევს.

„პირველი არხი"



# ნუგზარ ფოფხაძე:
# „მონანიება“ არავის აუკრძალავს, ამის ბრძანება არავის გაუცია,
## ერთადერთი კაცი, ვისაც ამ ფილმის გაშვება ან არგაშვება შეეძლო, მე ვიყავი!




***ამასწინათ ნუგზარ ფოფხაძის დაბადების დღე იყო — ერთი წლით კიდევ უფრო გაახალგაზრდავდა. უბადლო ორგანიზატორული ნიჭისა და შემოქმედებითი გაქანების წყალობით, უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ის იყო საქართველოში მიმდინარე ყველა პროცესის უშუალო მონაწილე და თვითმხილველი, საქართველოს ტელევიზიამ სწორედ მისი თავმჯდომარეობის დროს დაიწყო არნახული აღმავლობა, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე ყოფნისას კიდევ უფრო გაუმჯობესდა სწავლების სტილი და პროფესიული დაოსტატების კრიტერიუმები. დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი მისი ყოფილი სტუდენტია, თუმცა, შესაძლოა, ბევრმა არ იცოდეს, რომ სწორედ ნუგზარ ფოფხაძის ბიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია გადაწყვეტილება მხატვრული ფილმის — „მონანიების“ გადაღების შესახებ. და რომ არა მისი უდიდესი ძალისხმევა, ფართო აუდიტორია ამ კინოშედევრს, ალბათ, კარგა ხანს ვერ იხილავდა. ფილმის საპრემიერო ჩვენება 1985 წლის 9 მაისს იყო დაგეგმილი, თუმცა, რიგი მიზეზების გამო რამდენიმე წლით გადაიდო, რასაც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი დეტალები უდევს საფუძვლად:***

— „მონანიება“ საინტერესოა არამარტო კინემატოგრაფიული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან საბჭოთა კავშირში იმ დროს მიმდინარე ე.წ. „პერესტროიკის“ იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში, პრაქტიკულად, ამ ფილმმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. „მონანიების“ გადაღების ისტორია დეტექტივს ჰგავს, **მის ტრიუმფს წინ უძღოდა ჯერ „პარტიზანული მეთოდები“, შემდეგ — „რისკვა“ და სერიოზული საუბრები კომპარტიიდან კონკრეტული პირების გარიცხვასა და დაჭერაზეც კი, ვილაცებმა დააპირეს კონკრეტული ადამიანების დამსახურების გვერდზე გაწევა, ბევრმაც ამ ფილმით იკეკლუცა.**

**— „მონანიება“ აკრძალულ ფილმებს შორის სახელდებოდა...**

— ეს ლეგენდა გავრცელდა, მაგრამ ფილმი არავის აუკრძალავს, ამის ბრძანება არავის გაუცია, **ერთადერთი კაცი, ვისაც ამ ფილმის გაშვება ან არგაშვება შეეძლო, მე ვიყავი!** მეტსაც გეტყვით — ამ ფილმის არგაშვება დაამუხრუჭა თავად იმ ადამიანმა, ვისაც ძალიან უნდოდა მისი გადაღება და ვინც გადაღების პროცესს თვალს ადევნებდა. ეს ადამიანი **ედუარდ შევარდნაძე** იყო, რომელმაც დაბეჯითებით მთხოვა, გადამედო ფილმის ტელეპრემიერა, რომელსაც **1985 წლის 9 მაისს** ვაპირებდი, როცა „მონანიება“ უკვე მზად იყო... ბატონ შევარდნაძეს ვუთხარი — გამარჯვების დღეს მომიწევს სტალინის, როგორც უმაღლეს მთავარსარდალთან დაკავშირებული გადაცემების გაშვება (სტალინის თემისადმი ყურადღება კი ეწინააღმდეგებოდა „ზემოდან“ წამოსულ დირექტივებს) და „მონანიების“ პროგრამაში ჩასმა გაანეიტრალებს შექმნილ პოლიტიკურ „უხერხულობას“-მეთქი... იფიქრა საკმაო ხანს და არ დამეთანხმა. გაღიზიანდა კიდეც...

**— მიზეზად რა დაასახელა?**

— შევარდნაძე ფრთხილობდა. ე.წ. „პერესტროიკა“ კი იყო ვითომ დაწყებული, მაგრამ... კაცმა არ იცოდა მისი მიზანი, ჩარჩოები... საკადრო პოლიტიკა როგორ განვითარდებოდა; კრემლში, პოლიტბიუროში რა პროცესები მიმდინარეობდა; როგორი იყო ძალთა განლაგება, ვის „გაუშვებდნენ“ და ვინ „მოვიდოდა“; როგორი იქნებოდა წარსულის „მორიგი“ შეფასება-გადაფასება და ა.შ. ჰოდა, შევარდნაძე ფრთხილობდა ზედმიწევნით... და სწორედ ამით აიხსნებოდა მისი რჩევა — **„დაამუხრუჭე!“** მაგრამ მე კიდევ მოვიშველიე არგუმენტები, ეტყობა, გადავაჭარბე „მიწოლას“ და... გამიჯავრდა — რას „მაწვები“ და, საერთოდ, ამ თემაზე რატომ მირეკავო? დავიწყე თავის მართლება — იმიტომ, რომ თქვენი თხოვნით გავყავი თავი ამ მარყუჟში, არაერთი უსიამოვნება შემხვდა და ახლა, როცა ფილმი გასაშვებად მზადაა, ვალდებული ვარ, ჩაგაყენოთ საქმის კურსში-მეთქი. ეტყობა, გამომივიდა ან მან აღიქვა ისე, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, „პარტიზანულად“ ფილმის გადაღებისა და სახელმწიფო თანხების არამიზნობრივად გახარჯვის გამო მას შევახსენებდი ორივე ჩვენგანის საერთო პოლიტიკურ პასუხისმგებლობას.

მივიღე ისეთი პასუხი, რომელსაც არ ველოდი. ისე კი, მასთან ურთიერთობის გამოცდილების მქონე კაცს, უნდა გამეთვალა: — **და, საერთოდ, მე რატომ უნდა ვკითხულობდე წინასწარ რომელიმე ფილმის სცენარს ან გადაღებულ მასალას რატომ უნდა ვნახულობდეო?!** მართალიც იყო — ცეკას პირველი მდივნის საქმე სცენარის კითხვა ნამდვილად არ გახლავთ. არც გადაღებული მასალის ნახვა... მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იმდროინდელი ვითარებისთვისაც კი გამონაკლისი შემთხვევა იყო, შედეგი კინოსფეროში დამკვიდრებული სტილისა, როცა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება **საკავშირო კინოკომიტეტის** უფლებამოსილება იყო და „მონანიების“ მსგავს ფილმს პოლიტიკურ-ადმინისტრაციული „ქოლგა“ სჭირდებოდა — ამ შემთხვევაში შევარდნაძისნაირი მძიმეწონოსნის ან უკიდურეს შემთხვევაში — „პარტიზანული“ მოქმედება...

მისმა სიტყვებმა — **„საერთოდ, ამ თემაზე რატომ მირეკავ?“** — გამაოგნა (როგორც წესი, შვიდი წლის მანძილზე არ მქონია შემთხვევა, ცეკაში რაიმე გადაცემა მიმეტანოს, ან საგანგებო ნებართვა მომეთხოვოს). ჯერ ერთი, ასეთ რეპლიკას შეჩვეული არ ვიყავი, მაგრამ ამ „სპეციფიკურ“ ფილმთან დაკავშირებული ზარი, ჩემი რწმენით, მას არ უნდა გაჰკვირვებოდა. და თანაც, როცა ეს ზარი ეხებოდა ფილმის გაშვებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ დროსა და ვითარებას. ამ გაცხარებული საუბრის რაღაც მომენტში მივხვდი, რომ თუ არ დავმუხრუჭდებოდი, შეიძლება, საკუთარი თავისათვის კარგი ნოკდაუნიც გამომეტყუა. შევარდნაძე ისე იყო გაღიზიანებული, შევატყვე — უთუოდ რაღაც იცოდა და არ მეუბნებოდა. მასთან საუბრის მერე მოსკოვში გავლენიან ნაცნობებთან დავრეკე, მინდოდა, გამეგო, ამ ფილმთან დაკავშირებით რამე ცუდი ხომ არ ხდებოდა, ვესაუბრე საკავშირო ტელევიზიისა და რადიოს ხელმძღვანელს **სერგეი ლაპინსაც.**

**— მოსკოვში გადაღების წინააღმდეგი იყვნენ?**

— ამ ფილმის გადაღებაზე კატეგორიული და პრინციპული უარი განაცხადა (სცენარი კინაღამ თავზე გადაახიეს **აკაკი დვალიშვილს**) კინემატოგრაფიის საკავშირო უწყებამ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი პარტიული ელიტის მაშინდელი მეორე პირის — **ანდრეი კირილენკოს** სიძე **ფილიპ ერმაში** ხელმძღვანელობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ ფილმის წინააღმდეგი იყო ერთბაშად ორი ძალა — კინოკომიტეტი და ცეკას აპარატი. მაგრამ მომეჩვენა, რომ შევარდნაძის ხელების ჩამოყრის მიზეზი ეს არ იყო. ეს „დინებები“ ხომ ჯერ კიდევ 1980 წელს გაიარა „ფილმმა“ და ამ გზას თავი ავარიდეთ...

მას შემდეგ დრო გავიდა, ახლა 1985 წელია... პარტიის ორი გენერალური მდივანი, ანუ სახელმწიფოს ორი მეთაური „გავასვენეთ“. სათავეში მესამე, შედარებით ახალგაზრდა, მისი თაობის კაცია, თითქოს მისი მეგობარი თუ არა, კარგი ნაცნობი და კოლეგა *(ერთდროულად იყვნენ ლიდერები: ეს — საქართველოში და ის — სტავროპოლის მხარეში)*... არადა, საიდანაც არ ველოდები, სწორედ იქიდან უბერავს უსიამო ქარიც და სწორედ ეს გამხდარა მისი ჭოჭმანის მიზეზი. შევარდნაძე ფრთხილობდა. ე.წ. „პერესტროიკა“ კი იყო ვითომ დაწყებული, მაგრამ კაცმა არ იცოდა მისი მიზანი, ჩარჩოები... როგორ განვითარდებოდა საკადრო პოლიტიკა კრემლსა და პოლიტბიუროში;



***იური ანდროპოვი***

როგორი იყო ძალთა განლაგება, ვის „გაუშვებდნენ“ და ვინ „მოვიდოდა“; როგორი იქნებოდა წარსულის „მორიგი“ შეფასება-გადაფასება... მაგრამ, აბა, ყოველივე ეს და პირადად მასთან დაკავშირებული „მოლოდინები“ მე საიდან უნდა მცოდნოდა, ან გამეთვალა? ახლა ისევ და ისევ დავუბრუნდები სასტარტო მდგომარეობას, ანუ პერიოდს, როცა უკვე ამ ფილმთან დაკავშირებული ჩემი მოსკოვური წარუმატებელი „ვოიაჟის“ შემდეგ თითქმის ხელი გვქონდა ჩაქნეული ამ „იდეის“ განივთებაზე. სწორედ მაშინ პირველად (შემდგომაც) გულახდილად, ფიქრიანად შეეხო ამ თემას, მისთვის მეტისმეტად ფაქიზსა და მნიშვნელოვანს...

**შეიძლება, ვცდებოდე, მაგრამ ამ თემაზე საუბრებისას მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ მას რატომღაც მიაჩნდა, რომ იმ რეპრესიების გამო, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაატარა სტალინის მმართველობის დროს, საქართველოს ჰქონდა რაღაც დოზით პასუხისმგებლობის ვალდებულება და ამის საფუძველი ბელადის ქართველობა, მისი წარმოშობა იყო...** ჩემი მოსაზრების საწინააღმდეგოდ — რომ პასუხისმგებლობა, უწინარესად, მოდიოდა მმართველ პარტიაზე — მისი შიდა პოლიტიკის შემმუშავებელ და განმხორციელებელ ბირთვზე (რომლის თვალსაჩინო წევრი გახლდათ სტალინი, მაგრამ არა წარმმართველი); რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რეპრესიების უმოწყალოდ გატარების ინიციატივა ეკუთვნოდათ ლენინსა და ტროცკის, რისი დასაბუთებაც სრულებით არ არის ძნელი ლენინის ტომებში გაბნეული პუბლიკაციებითა და ტროცკის მემუარებით; რომ სტალინმა გააგრძელა ეს გზა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ლენინის საუკეთესო მოწაფემ — **შევარდნაძეს ჰქონდა არგუმენტები, რომლებიც ბოლოვდებოდა იმ დასკვნით, რომ, ასეა თუ ისე, ხრუშჩოვისა და მისი გუნდის მცდელობით, მთელ ქვეყანასა და საერთაშორისო საზოგადოებაში გაბატონებულია მცდარი, მაგრამ რეალურად მოქმედი აზრი იმის თაობაზე, რომ ყველა ეს უბედურება დაკავშირებულია ქართველი სტალინისა და ქართველი ბერიას** სახელთან!

მოგვწონს თუ არა ეს ჩვენ, ამ აზრის გაქარწყლება ზემოდან თუ გვერდიდან დირექტივებით შეუძლებელია; რომ ამ ლაქის ჩამორეცხვას დროში გაწელილი სერიოზული ძალისხმევა სჭირდება; რომ ეს პროცესი უნდა დააჩქაროს კულტურის სფერომ, განათლებამ, ლიტერატურამ და ხელოვნებამ, მაღალმხატვრულმა და სწორი, გამიზნული პოლიტაქცენტებით გაჟღენთილმა კინო და ტელეპროდუქციამ; **და ეს უნდა დავიწყოთ სწორედ ჩვენ, ქართველებმა,** ხოლო უნიჭიერესი **თენგიზ აბულაძის** სავარაუდო ფილმი სწორედ ამ მიზნის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ერთია მხოლოდ — სასურველია, ამ ფილმში შეიქმნას დიქტატურის განზოგადოებული სახე და არა კონკრეტული, ამა თუ იმ პიროვნების აღქმასთან დაკავშირებული *(სხვათაშორის, შევარდნაძის ეს მოსაზრებები ავტორებმა გაითვალისწინეს და ცვლილებები სცენარშიც შეიტანეს. ასევე სახელწოდება „აფთრები“ შეიცვალა „მონანიებით“. შეიცვალა ფილმის ფინალიც...).*

შევარდნაძემ მითხრა, რომ საკავშირო კინოკომიტეტში მძლავრობს ისეთი ძალა, რომელიც წინ აღუდგება (და აღუდგა კიდეც) ამ ფილმის გადაღებას. სხვა სტრუქტურებშიც არ ხვდებიან აღტაცებით ამ იდეასო. რა ვქნათ, ასეთ რეალობაში ვცხოვრობთ. ძალა აღმართს ხნავს, იმათ თუ არ

**„ყოველგვარი შესავლისა და მოკითხვის გარეშე ანდროპოვი მეკითხება: – რა გაუჭირეთ ამ ქართველებმა საქმე სტალინს? თქვენ ბალტიისპირელები რომ იყოთ, კიდევ გაგიგებდით... მათ უკმაყოფილებას სტალინით ახსნა აქვს... მაგრამ თქვენ, ქართველები?.. რას ერჩით სტალინს?“**

# „რესპუბლიკის ხელმძღვანელად ჯუმბერ პატიაშვილი დაინიშნა, რომელსაც ეს ფილმი არ მოსწონდა!“



მოინდომეს, არაფერი გამოგვივა. არადა, **თენგიზ აბულაძესა და რეზო ჩხეიძეს** ამ საქმეში სისხლი და ოფლი აქვთ ჩაღვრილი, თანაც დახმარებას დაგპირდით... ეს ყველაფერი ვიცი-მეთქი! დაინტერესდა — საიდან იცი? თენგიზმა მიამბო ამ რამდენიმე თვის წინ-მეთქი!

**— რეჟისორებისათვის მიცემული პირობა რომ არ დაერღვია, შევარდნაძე როგორ მოიქცა?**

— დამირეკა — რეზო და თენგიზი ახლა ჩემთან არიან და ჩხეიძე, რომელიც ადრე ტელეფილმების მხატვრული ხელმძღვანელი იყო, რაღაც თვითრეულ გამოსავალს მკარნახობს, ეგებ შენ შემოო... **საქართველოს ტელევიზიას რაღაც ერთსაათიანი რეჟიმი აქვს, რომლის გახარჯვაზეც ნუგზარი მოსკოვს არ უთანხმდება და ხომ არ შეუძლია, ამ ეთერ მაინც დაგვეხმაროსო?** ვუპასუხე: **რეზო ჩხეიძე, ეტყობა, დაავიწყდა, რომ ეს დრო გამოყოფილია არა მხატვრული, არამედ დოკუმენტური „მატიანისთვის“, რომელშიც, ტრადიციულად, ფირზე გადაგმებით საქართველოს მიერ განვლილ წელიწადს ყველა სფეროში...** შევარდნაძე შეწუხდა — **ესე იგი, შენ გასავაც უარიაო?** — ეს სიტყვები ისე საწყლად და გულშემატკივრულად შეიცხადა, ძალიან ახლობლის დაკარგვას რომ შეიტყობს კაცი... შევარდნაძეს ვუთხარი — **ახლავე ჩემთან წამოიყვანეთ და ერთად ვიფიქრებთ-მეთქი.** მართლაც მოვიდნენ სამნი — კინოკომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარე **აკაკი დვალიშვილთან** ერთად. თენგიზს ვკითხე — **ეს ის ფილმია, ადრე რომ მოიკვეძი და რომლის სცენარსაც ნოდარ წულეისკირი წერს-მეთქი? წულეისკირის** ხსენება არ მოეწონათ, შევატყვე, რომ მალავდნენ... ნოდარი უკვე ცნობილი დისიდენტი იყო და, ალბათ, ფიქრობდნენ (მაშინდელი ვითარებიდან გამომდინარე, სწორადაც), რომ ეს ფილმის გადაღებას ხელს შეუშლიდა. თან მაშინ არ ვიცოდი, რომ სცენარზე თვითონ **თენგიზ აბულაძეც** მუშაობდა **ნანა ჯანელიძესთან** ერთად.

**— საუბარი როგორ გაგრძელდა?**

— ჩვეულებრივ, საქმიანად... მათთვის ბოლო იმედიდა ვიყავი — არაერთგზის მხარში მდგომი და ახლაც დახმარებას მოელოდნენ... რაიმე დამალვის აზრი არ ჰქონდა და ვიკითხე — **არსებობს თუ არა სცენარის რუსული ვარიანტი?** არსებობს და დღესვე მოგიტანთო... ხვალვე მოსკოვში გავფრინდები-მეთქი... მათივე თანდასწრებით ჩემს „ბაბუსთან“ დავრეკე — სსრ კავშირის ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე **სერგეი ლაპინთან** (სიტყვა თიკუნით ვიხსენიებდით ამ სფეროს თანამშრომლები პირად საუბრებში). **ლაპინი**, საბედნიეროდ, ადგილზე აღმოჩნდა. თბილად და შინაურულად მომიკითხა. ავიღე ნებართვა მოსკოვში ჩასვლაზე, გადავეცი ჩემი სტუმრების მოკითხვა... იქვე დაველაპარაკე **რეზო ჩხეიძე**, რომელსაც განსაკუთრებით თბილად ეპყრობოდა და აფასებდა (სხვათაშორის, **კოტე მახარაძესაც** მეგობრობდა), იცავდა, როცა მას უტევდნენ „ქართული აქცენტის“ გამო. ჩემი თხოვნით, საგანგებო საშტატო ხელფასის ნებართვაც კი მომცა. მე კი ლამის შვილობილად მთვლიდა. იმხანად საქართველოს ტელევიზიას ცენტრში და მედიაში აქებდნენ, რაც ერთობ სიამოვნებდა და ეამაყებოდა... მაცილებდა შემმოწმებელ კომისიებსა და მომჩივნებს (იცოცხლე, ცოტა როდი გვყავდა დამბეზღებელი და უკმაყოფილო), მიცავდა საკავშირო ცენზურისგან (დაუმორჩილებლობისთვის, კერძოდ ნარკომანიაზე გადაცემების აკრძალვის დარღვევის გამო ყოველთვე მიჩიოდნენ უმაღლეს ორგანოში — ცეკაში) და სხვა „ძლიერთაგან ამა ქვეყნისა“. **მისი გარდაცვალებიდან 31 წელი გავიდა და ცხონებულს დღესაც ვუმადლი, რასაც ის საქართველოსთვის აკეთებდა...**

ასე რომ, ნამეტანი იმედიანად ჩავედი მოსკოვში, დარწმუნებული ვიყავი **სერგეი ლაპინის** კეთილგანწყობაში, რაც არაერთხელ გამოუხატავს კიდეც. მახსოვს — ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის წინ გასაუბრებაზე, საბჭოთა კავშირში არსებული რესპუბლიკური ტელევიზიების ხელმძღვანელთაგან ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ეს ამბავი. მაშინ მითხრა — **არც ღვინო გამომიგზავნო, არც — ჩურჩხელა, ჩვენი ურთიერთობა მამაშვილური უნდა იყოსო!**

**— გამართლდა თქვენი იმედები?**

— პირად და სამსახურებრივ ურთიერთობებში კი, მაგრამ ამ ერთადერთ შემთხვევაში, **აბულაძის** ფილმს რომ ეხებოდა — **არა! როგორც კი გაიგო, რომ ფილმი 1937 წელს ეხებოდა, მოკლედ მომიჭრა: — ეს თემა სამუდამოდ დაივიწყეო!**

წარმოიდგინეთ, რა პერიოდი იყო — **იური ანდროპოვი** მსოფლიო მონსტრის — საბჭოთა „კაგებეს“ 15-წლიანი თავკაცობიდან კომპარტიის ცეკას მეორე მდივნად (ანუ ქვეყნის მეორე პირად) ახალი გადაყვანილი იყო, დაავადებულ **ბრეჟნევს** ცვლიდა და რვა თვეში საბჭოთა კავშირის მეთაური ხდებოდა. ლაპინმა მიამბო, რომ **ანდროპოვს** მასთან პირველივე საქმიანი შეხვედრისას „37 წლის“ ამბები გაუხსენებია და მისი ნათქვამიც ყურში ჰქონდა ჩარჩენილი — **„ძალიან ფაქიზი თემაა, რა თქმა უნდა, ტრაგიკული; რეპრესიების დავიწყება შეუძლებელია, მაგრამ ამავე დროს ქვეყანაში დიდი აღმშენებლობითი პროცესები მიმდინარეობდა, ახლაც ამიტომ უნდა შევეცადოთ, საბჭოთა ადამიანებს ისეთი პირობები შევუქმნათ, 37 წლის იარებს მარილი აღარ მოვაყაროთ...“** ამ თემაზე საუბარი **ლაპინმა** ასე დაასრულა: ანდროპოვს და პარტიას ახლა ასეთი დირექტივა აქვს და, როგორც არ უნდა მიყვარდე და პატივს გცემდე შენ და თუნდაც შევარდნაძეს, **როცა 37 წელთან თემატურად დაკავშირებული ფილმის გადაღებას მთხოვ, უარი უნდა გითხრა. ეს შეუძლებელია** *(სხვათაშორის, „დათა თუთაშხია“, „დონ-კიხოტი“, ერმაშის უწყების წინააღმდეგობის მიუხედავად, საკავშირო ტელევიზიის დაკვეთით რომ გადაიღეს **გიგა ლორთქიფანიძემ** და **რეზო ჩხეიძემ,** პირადად მისი გადაწყვეტილებით დაფინანსდა საკავშირო ბიუჯეტიდან)!*

ვიფიქრე — ახლა კი დავიღუპე-მეთქი, მაგრამ უკან დახევა არ მინდოდა, მივაწოდე სცენარი, გადაშალა, შეათვალიერა და... უკან დამიბრუნა. ვიეშმაკე — **არ დავიბრუნებ, წაიკითხეთ-მეთქი!** გაეცინა და მაგიდაზე დადო. ამ დროს პოლიტბიუროს საგანგებო ქსელის (კომუტატორს უწოდებდნენ) ტელეფონზე ზარი გაისმა. მთელ კავშირში მხოლოდ უმაღლესი თანამდებობების პირები, მინისტრები, ადგილებზე — პირველი პირები და „კაგებეს“ უფროსები სარგებლობდნენ ამ ქსელით. ზარს ისეთი „დაუვიწყარი“ ხმა ჰქონდა, რომ მივხვდი... შევარდნაძის კაბინეტში რამდენჯერმე უკვე მოსმენილი მქონდა... **წამოვდექი, კაბინეტიდან უნდა გავსულიყავი, მაგრამ ლაპინმა შემაჩერა, ხელით მანიშნა, დარჩიო...** კომუტატორით აცნობეს, რომ მასთან **ანდროპოვი** ისაუბრებდა. ამ საუბრის მოსმენა უკვე ნამეტანი „კომფორტი“ გამოდიოდა... ისევ წამოვდექი, დავაპირე გასვლა და **ლაპინმა** ისევ შემაჩერა. უნებლიეთ, ვისმენ ამ საუბარს...

ჩემდა გასაკვირად, **ლაპინმა** ანდროპოვს მეტისმეტად შინაურულად, **იურაშა-თი** მიმართა. პასუხით გამოდიოდა, რომ **ჩემს „ბაბუს“** ის სადღაც ეპატიჟებოდა, მაგრამ კინაღამ გადავიხარხარე, ისეთი პასუხი მოვისმინე: **„ხოტ ოტრეჟ „იაიცა“, ია ნე სმაგუ კ ტებე პრიდტი“.** ერიჰაა, ვიფიქრე, ეს რა ახლობლები ყოფილან-მეთქი. გამიხარდა... ეტყობა, მოსაუბრეს გაუკვირდა ამ უარის მიზეზი და ლაპინმა დაუზუსტა: სტუმარი მყავსო და დააკონკრეტა, საქართველოს ტელევიზიის თავმჯდომარეო, თან დაამატა: **გახსოვს, გესაუბრე მის შესახებო...** ახლა მე დავაღე პირი... ამ ორ, ხელმწიფის ტოლა კაცს, ჩემზე სალაპარაკოდ მოუცლიათ-მეთქი. იმან რაღაც ჰკითხა, ლაპინმა ჩაიცინა და უპასუხა — **კი, კი, ულვაშები აქვსო...** კიდევ შეკითხვა და ისევ ღიმილიანი პასუხი: **კი, მგონი, იმასაც ჰგავსო!**

თავში ყველაფერი ამერია: აქამდე მეგონა, ლაპინს „მაგარი ბიჭი“ ვგონივარ და იმიტომ მექცევა ასე თბილად-მეთქი, თურმე... **ულვაშები** ყოფილა მიზეზი! თავს ძლივს ვიკავებ, ლამის ისტერიკაში ჩავვარდე, ისე მინდა გავიცინო... და როგორც იქნა, დამთავრდა ეს საუბარი და... **ანუ, იმიტომ მეპყრობით მამაშვილურად და დამიახლოვეთ, სტალინს მამსგავსებთ-მეთქი?** ღიმილიანი პასუხი: **„ი ნე ბეზ ეტოგოო“**.

საუბარი წარსულზე გააგრძელა და მოიგონა, როგორ დანიშნეს სრულიად ახალგაზრდა რადიოს ხელმძღვანელად, როგორ ეკონტაქტებოდა თავად **სტალინი** ტელეფონით, როგორი მზრუნველობით ეკიდებოდა... ისიც მოაყოლა, მხოლოდ ორი „ბოსის“ — **ბერიას და სუსლოვის** დარეკვისას ვიყავი გაურკვევლობაში და შიშით შეპყრობილი, იმდენად „მშრალნი“ და „ოფიციალურნი“ იყვნენ, მოსალმებაც კი ავიწყდებოდათ და არ ვიცოდი, როგორ დამთავრდებოდა საუბარიო... აი, სტალინი კი ისეთი მზრუნველობით მოგიკითხავდა, რომ აღელვება უმალ გადაგივლიდაო... ვაღმერთებდითო!

საუბარში იმდენად გაშინაურდა, რომ ვკითხე — ანდროპოვი თქვენთვის **„იურაშა“** რატომ არის-მეთქი? მიამბო: 1956 წელს, როცა უნგრეთში აჯანყება მოხდა და ის საბჭოთა ჯარებმა ჩაახშეს, ანდროპოვი მაშინ იქ ჩვენი ელჩი და, პრაქტიკულად, გადამწყვეტი ფიგურა იყოო. ვინაიდან იმ ვითარებაში საბჭოურ მანქანებზე აჯანყებულთა მხრიდან ნადირობა იყო გამოცხადებული, ანდროპოვის ოჯახის გამოხიზვნა ბუდაპეშტიდან შესაძლებელი გახდა მხოლოდ უცხოური მანქანებით. ეს პრობლემა **ლაპინს** მოუგვარებია, რომელიც მაშინ ავსტრიაში ელჩად იყო გამწესებული. ღიმილით მეუბნება: შენ იცი, ავსტრიელს რომ კვირა დღეს მაღაზია გააღებინო, ეს მისთვის რას ნიშნავს? ჰოდა, ორი „მერსედესის“ სასწრაფო ყიდვა დავავალე ჩვენებს, ბუდაპეშტში გავაგზავნეთ და იმავე დღეს ანდროპოვის ოჯახმა თავი დააღწია აჯანყებულ უნგრეთსაო. მას შემდეგ ეს ორი ადამიანი განსაკუთრებული მეგობრობა გამიჩნდა.

**— დავუბრუნდეთ „მონანიებას“.**

— **ლაპინთან** ბოლოჯერ გავიხსენე, მთელი მჭევრმეტყველებით ისევ გუშინდელი შევარდნაძის თხოვნა, მონდომება... ამ ფილმის გადაღების მთელი იმედებს იმავე ამყარებს, „ბაბუ“ — რომ უარს არ მეტყვის-მეთქი. გამოიტყებრუნე, შევარდნაძე ჭკვიანი კაცია, ჩვენი საუბარი აუხსენიო... ისღა დამრჩენოდა, ხუმრობით წავიწუწუნე: **ასე გაჭირვებული ვეღარ დავბრუნდები თბილისში... ბარემ აქ დამტოვეთ, თუ მოადგილეობას ვერ გამიკეთებ, როგორც მთავარ რედაქტორად დამინიშნეთ-მეთქი?..** ჩემ წუწუნზე კარგად იხალისა, არც მაგის საწინააღმდეგო მექნება, მაგრამ ასე ადვილად ვერ გაგიმეტებენო... — რამდენიმე დღით დარჩი, ჩვენს რედაქციებში გაიარ-გამოიარე, დაეკონტაქტე კოლეგებს... მაგრამ ჩემმა თანაშემწემ ყოველდღიურად შენი კოორდინატები უნდა იცოდესო! დავეთანხმე. პაწია დეტალიც: **ის დღეები ამ ღვთისნიერი კაცის ზრუნვის ქვეშ გავატარე... მის მძღოლს ყოველდღიურად ჩვენს უწყებრივ სასტუმროში ლაპინის მეუღლის გამომცხვარი ცხელი ღვეზელები მოჰქონდა. ორჯერ „ტაგანკაზე“ მოდურ სპექტაკლებსაც დავესწარი „ბაბუსთვის“, როგორც თავგადაკლული თეატრალისთვის, განკუთვნილი მოსაწვევებით.**

მახსოვს, შაბათი დღე იყო, დილა, მარტის პირველი რიცხვებია... მთხოვეს, სასწრაფოდ დამერეკა **ლაპინთან.** გულთბილი მოკითხვის შემდეგ თავის აგარაკზე დამპატიჟა. შუადღე კარგად გადასული იყო, როცა სასტუმროში „ბაბუს“ გამოგზავნილი სამსახურებრივი „ჩაიკით“ სამთავრობო აგარაკს მივაშურე. ჯერ საუბარი... მერე ჩაი მეუღლის საფირმო ბლინებით... მერე ჭადრაკი, ნებისმიერი ვიზიტის აუცილებელი ატრიბუტი *(სხვათაშორის, მისი შვებულებების და დასვენების დღეების განუყრელ პარტნიორთან — აკადემიკოს **ხარიტონთან** ერთად წიგნი, თევზაობა, თეატრი და ჭადრაკი იყო ამ ორი საინტერესო ადამიანის უსუსტესი წერტილი).*

შუა თამაშში ვართ და უცებ პაწია „ჩოჩქოლი“ ატყდა, კარი გაიღო და... ჩემ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თითქოს კედელზე ჩამოკიდებული რომელიღაც ფოტოსურათიდან ოთახში პირდაპირ „ჩამოვიდა“ **იური ანდროპოვი —** ორმეტრიანი, ახოვანი კაცი, ვეებერთელა ბეწვიანი ქუდით, მესაზღვრეებს რომ ეცვათ, ისეთი თეთრი „ქურქით“... — **აბა, სერიოჟა, სად არის შენი ულვაშა ქართველი?!** გულიანი ხელის ჩამორთმევა, დიასახლისისადმი ინტელიგენტური კომპლიმენტი... — სერიოჟა, ჩაიცვი და დაგვეწიეო, უთხრა და მხარზე ხელგადახვეული წამიძღვარა გასასვლელისკენ... სამთავრობო ზონაში ვართ. სისადავე. წიწვოვანი ხეივანი. თოვლის ხრაშუნით მივყვებით ბილიკს და... დუმილი.

უკან, 10-15 მეტრის დაშორებით ორი კაცი, ეტყობა, დაცვა, მოგვყვებოდა... ამასობაში ლაპინიც დაგვეწია და... ყოველგვარი შესავლისა და მოკითხვის გარეშე ანდროპოვი მეკითხება: **— რა გაუჭირეთ ამ ქართველებმა საქმე სტალინს? თქვენ ბალტიისპირელები რომ იყოთ, კიდევ გაგიგებდით... მათ უკმაყოფილებას სტალინით ახსნა აქვს... მაგრამ თქვენ, ქართველები?.. რას ერჩით სტალინს? რეპრესიებს?** სამწუხაროდ, ეს საშინელება ყველგან იყო. და არავითარი გამონაკლისი საქართველო არ ყოფილა... თქვენ უნდა გახსოვდეთ, რა დამოკიდებულება იყო თქვენი რესპუბლიკისადმი... რუსთაველის აფორიზმებს მთელი საბჭოთა კავშირი იზეპირებდა, მთელი ქვეყანა „სულიკოს“ მღეროდა... შესაძლოა, გარეგნულად, პირადად, სხვა რესპუბლიკებზე მეტად განსაკუთრებით არ გამოხატავდა სიმპათიებს, მაგრამ იგი ზრუნავდა საქართველოს განვითარებაზე... თბილისი მაცხოვრებლებით არ იყო მილიონიანი ქალაქი, „მეტრო“ არ ეკუთვნოდა, მაგრამ... კიდევ ბევრს ჩამოგითვლიო... **საბჭოთა ხალხს უყვარდა ბელადის სამშობლო, მისი ლამაზი ხალხი, საქართველოს ყველა ჩვენგანი ხელისგულზე ატარებდა... თუ გინდათ სიმართლე, ეს არამარტო ქართველი ხალხის შრომის და მისი კულტურის დამსახურება იყო, არამედ, არცთუ უმნიშვნელო იყო ის ფაქტი, რომ საქართველო სტალინის სამშობლო იყოო და... ახლა სტალინს აგინებთო?! გინდათ, საფლავშიც არ მოასვენოთო და ამოთხაროთო?** ამ ფრაზის შემდეგ უცებ „ტვინი გამინათდა“ და მივხვდი: ანდროპოვს უკვე წაკითხული ჰქონდა „მონანიების“ სცენარი... ლაპინისგან, ალბათ, ისიც იცოდა, თუ რამდენად მონდომებული იყო შევარდნაძე... *(თუმცა, არ იცოდა, რატომ... მაშინ „მიზეზი“ არც არავინ იცოდა. ამის შესახებ შევარდნაძე მხოლოდ მაშინ ალაპარაკდა, როცა „უშიშარი“ დრო დადგა).* ანდროპოვმა მითხრა — აქ მთავარია პოლიტიკური მოცემულობა, დრო, ეპოქა...

**— ესე იგი, რა გამოდის, იური ანდროპოვი სტალინის წინააღმდეგი არ იყო?**

— თქვენ თავად განსაჯეთ, რას ნიშნავს ის, რაც მან მითხრა: **მიუხედავად სტალინისა და მისი მმართველობის ცალკეული მოვლენებისა და მიმართულებებისადმი სერიოზული კრიტიკული დამოკიდებულებისა, დრომ აჩვენა, რომ სერიოზული შეცდომა იყო ასე ხელაღებით სტალინის სახელის ლაფში ამოსვრა, ის, რაც ხრუშჩოვმა გააკეთა და შემდეგ მოხდა...** სტალინი სახელმწიფო კაცი, დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო და სწორედ მისმა სიბრძნემ, თუნდაც პიროვნულმა თვისებებმა არამცთუ გააძლიერა ეს სახელმწიფო, არამედ ბევრ ხიფათსა და ჩავარდნას გადაარჩინაო!

შეუძლებელია, სულ ოდნავ მაინც ვინმეს თავში მოუვიდეს რაიმე დოზით რეპრესიების გამართლება, ეს უდიდესი ტრაგედიაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ მთელი საბჭოთა ისტორიის რეპრესიებამდე დაყვანა, იმ დიდი აღმშენებლობის პროცესის და შედეგების უარყოფა, დაკნინება, არდანახვა მხოლოდ ბრმასა და ყრუს შეუძლიაო... შემდეგ: **მე მოვახერხე თქვენთვის სასურველი ფილმის სცენარის გაცნობა. ამ ფილმით რეპრესიების თემის გაცოცხლებას ცდილობთ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის საშინელი პერიოდის წამოწევა გინდათ, მაგრამ... არ ითვა-**

გაგრძელება 22-ე გვერდზე

> **„წულეისკირის ხსენება არ მოეწონათ, შევატყვე, რომ მალავდნენ... ნოდარი უკვე ცნობილი დისიდენტი იყო და, ალბათ, ფიქრობდნენ (მაშინდელი ვითარებიდან გამომდინარე, სწორადაც), რომ ეს ფილმის გადაღებას ხელს შეუშლიდა. თან მაშინ არ ვიცოდი, რომ სცენარზე თვითონ თენგიზ აბულაძეც მუშაობდა ნანა ჯანელიძესთან ერთად!“**



ნოდარ წულეისკირი



# ნუგზარ ფოფხაძე:

## თქვენ იცით, რომ იმ პერიოდში ცენტრში ადგილებიდან მოსულია 4 მილიონი ანონიმური წერილი, ანუ 4 მილიონი დაბეზღება? წარმოიდგინეთ, 4 მილიონი!




დასაწყისი მე-20 გვერდზე

**ლისწინებთ ეპოქასა და რეალობას.** წარმოიდგინეთ: ოცი წელიც არ არის გასული რევოლუციიდან. კლასობრივი ბრძოლის პიკიც კი არ არის გავლილი, მატულობს გარე საფრთხე, თანაც, როგორი... ათეული წლები რომ სჭირდება, ქვეყანამ ის უნდა გააკეთოს უმოკლეს დროში, სულ რაღაც ხუთ-რვა წელიწადში, თორემ დადგება სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი. **საჭიროა დიდი ორგანიზებულობა, ძალისხმევა, მონდომება, ოფლისღვრა, თავდადება და ამ ყველაფრის სათავეში დგას სწორედ ის კაცი, თავის თანამოაზრეებთან ერთად. ცივი გონებით, ცხელი გულით, რკინის ნებისყოფით აშენებს ქვეყანას, მის მომავალს... და ეს არ ხდება მარტივად, ტაშისკვრით...** არიან ადამიანები, არცთუ ცოტანი, ვისაც ეს ყველაფერი გულზე კი არ ეხატება, პირიქით, ყოველმხრივ ხელს უშლიან ამ პროცესს. გარდა ობიექტური მიზეზებისა, იყო სუბიექტურიც. სწორედ მის გამო ამ რეპრესიებში მოჰყვა არაერთი ნაკლებდამნაშავე და უდანაშაულო ადამიანიც კი.

ვიმეორებ — წმინდა წყლის სუბიექტური მიზეზებით. გადახრები დაკავშირებული იყო ადგილებზე მიმდინარე პროცესებთანაც... **თქვენ იცით, რომ იმ პერიოდში ცენტრში ადგილებიდან მოსულია 4 მილიონი ანონიმური წერილი, ანუ ოთხი მილიონი დაბეზღება?.. წარმოიდგინეთ, ოთხი მილიონი!** რა თქმა უნდა, ამ წერილებში სიმართლეც იყო, თანაც, არცთუ ცოტა, მაგრამ ბევრი იყო პირადი ანგარიშსწორების სურვილით, შურით, ბოროტი განზრახვით გაჟღენთილი... ამ სიბინძურეს ყველა ჯურისა და რანგის ავტორი ჰყავდა, ლამის ყველა რგოლში... ამას მოჰყვებოდა ანგარიშსწორება... **და ყველაფერი ეს დავაბრალოთ სტალინს? რა თქმა უნდა, მასაც ეკისრება პასუხისმგებლობა... შესაძლოა, ყველაზე მეტად, მაგრამ იმ ტვირთის სიმძიმეც გავითვალისწინოთ, რომელსაც ის ატარებდა...**

სხვათაშორის, უფრო მეტსაც გეტყვით: სამხედროების შეთქმულება ნამდვილად მზადდებოდა... ეს რომ არ გამჟღავნებულიყო და სტალინს სამხედრო „ელიტის" წინააღმდეგ რეპრესიების გატარებით ვითარება არ განემუხტა, ჩვენ ფაშისტურ გერმანიასთან ომს წავაგებდითო...

**ანდროპოვის** საუბარმა ისეთი სახე მიიღო, რომ ვიფიქრე — ჩემი „მოსაზრებების" გამოთქმით რამე არ გავაფუჭო-მეთქი. ამიტომ დიდი გულისყურით ვისმენდი და დღემდე ინტონაციებიც კი მახსოვს. ბოლოს სეირნობა-საუბარი ასე დაასრულა: **სერგეი ლაპინი, სხვა ამხანაგები, მათ შორის, ჩვენც, ცეკაშიც, ყურადღებით ვადევნებთ თვალს საქართველოს ტელევიზიას. ვიცით, როგორი შემტევი პოზიციები გაქვთ... ამისთვის მადლობას გიხდით. გააგრძელეთ მაგ გზაზე სვლა.** პაუზა და უცებ: **ჩათვალე, რომ ჩვენი შეხვედრა არ შემდგარა, არავის უამბო, არც შევარდნაძესო!**

**— რატომ?**

— აბა, რა გითხრათ... ამ გაფრთხილების შემდეგ **შევარდნაძეს** ვერ ვეტყოდი, რომ **ანდროპოვს** შევხვდი, შეიძლება, თუ „საიდუმლო" გამჟღავნდებოდა, რაიმე პრობლემები შემქმნოდა...

სხვათაშორის, მრავალი წლის შემდეგ **ანდროპოვთან** შეხვედრის ისტორია საჯაროდ პირველად მოვყევი **შევარდნაძის** 80 წლისთავის აღსანიშნავ სუფრასთან, მრავალი სტუმრის, მათ შორის, პატრიარქისა და უცხოეთის ელჩების თანდასწრებით... ბატონმა ედუარდმა ცოტა წყენაგარეული ტონით მკითხა: ეს ამბავი მაშინ რატომ არ მომიყევიო? შეკითხვა იქით დავუბრუნე: — **თქვენ ანდროპოვთან რა დამოკიდებულება გქონდათ?** მიპასუხა: — **ანგარიშს ვუწევდიო!** მე კი მეშინოდა-მეთქი. **„მე რომ მაშინ ანდროპოვის გაფრთხილება თქვენთვის მომეყოლა, იმ ფილმს გადავიღებდით?"** — ვკითხე. პაუზა. შევარდნაძის პასუხი: — **ალბათ, მაშინ არაო...** და, საერთო სიცილის ფონზე დავამატე: — **ესე იგი, სწორად მოვქცეულვარ!** ეგ კი არა, ახლაც, მგონი, 40 წლის გასვლის შემდეგ, ეჭვი მჭამს,, ასე საჯაროდ უნდა ვყვებოდე ამ ისტორიას თუ არა-მეთქი!

ერთი სიტყვით, ვაგრძელებ თხრობას და მივყვები ქრონოლოგიას: ჩამოვედი, მივედი **შევარდნაძესთან.** ისეთი საიდუმლო მასალა — „სტენოგრამა" ჩამოვუტანე, რომ იქით „შეეშინდა" — ამას ხუმრობით ვამბობ. სერიოზულად კი, მისთვის უმნიშვნელოვანესი... უმაღლესი ინსტანციის დირექტივა საინფორმაციო ცენტრალური, წამყვანი საინფორმაციო სტრუქტურებისადმი, თუ როგორ, რამდენჯერ უნდა გაშუქებულიყო მისი და მისი რანგის კოლეგების საქმიანობა მედიასივრცეში. ამ დირექტივაში გამოცდილი ადამიანი ბევრ რამეს „ამოიკითხავდა" იმის თაობაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მავანთა კარიერა... ამ ინფორმაციის გაჟონვის არ მეშინოდა. **ამ მხრივ შევარდნაძე იდეალური პარტნიორი იყო, და „საიდუმლოს" შენახვა, უწინარესად, მისთვის იყო მომგებიანი. ჩემთვის ხომ იყო და იყო. თუკი გენდობოდა და თავის პარტნიორად გთვლიდა, შენს საქმეში აღარ ჩაერეოდა და თუ ხანდახან პატარა რჩევასაც მოგცემდა, იმასაც დაამატებდა — შენ გადაწყვიტე, როგორც საჭიროდ ჩათვლიო...** თუმცა, შეგეძლო, არც გაგეთვალისწინებინა. მაგრამ, ვიმეორებ, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თავის პარტნიორად გთვლიდა და მიაჩნდა, რომ არ ეშმაკობდი, „საკუთარი" დაფარული თამაშით არ „ერთობოდი"...

ერთი სიტყვით, დავუბრუნდეთ მთავარს: დეტალებში მოვუყევი **ლაპინთან** ჩემი საუბრის შესახებ. ხაზგასმით ვეუბნები: **ოფიციალური გზით ამ ფილმის გადაღება შეუძლებელია-მეთქი.** ხელი ჩაიქნია — **თენგიზს გული მოუკვდებაო.** მე ისევ ვუმეორებ: **ოფიციალურად, საჯარო გზით ვერა, მაგრამ ...** მაკვირდება და ისე ფრთხილად, მოსინჯვით მეკითხება: **ამიხსენი ერთი, არაოფიციალური გზა რა არისო?** ცოტა წავიდისიდენტოთ-მეთქი... ეს გამოსავალი, არსებობს-მეთქი. ვერ მიმიხვდა. დამიკონკრეტეო...

**— რა შესთავაზეთ?**


გეგა კობახიძე

— რამდენიმე დღეა, მაგაზე ვფიქრობ. **მესმის, რომ საჭიროდ თვლით ამ ფილმის გადაღებას. მოდით, გავრისკოთ და... არაოფიციალურად, პარტიზანულად გადავიღოთ...** ნუ ვიხმაურებთ, თენგიზმა იმუშაოს, ვითომ რაღაცას იღებს, აგროვებს მასალას მომავალი ფილმისთვის... **თენგიზის, რეზო ჩხეიძის და კაკო დვალიშვილის** გარდა, არც აქ, ცეკაში, არც მთავრობაში და არც სხვაგან, არავინ არაფერი იცოდეს. ყველაფერს მე ავიღებ ჩემ თავზე. და თუ რაღაც მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი „მიწისძვრა" მოხდება და პარტიიდან ჩემი გარიცხვის საკითხი დადგება... გენერლები აქ არ ზიხართ, ხომ დამიცავთ-მეთქი?! შევარდნაძე გამომცდელი თვალებით მიყურებს — **შენ ეგ ავანტიურა რეალურად გეჩვენებაო?** — კი-მეთქი! აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, ამ საკითხზე **ანდროპოვსაც** შევხვდი და იმან კატეგორიული უარი მითხრა-მეთქი... ხომ გაგიჟდებოდა — ქვეყნისა და პარტიის მმართველმა უარი თუ გითხრა, ახლა რა პროვოკაციაში მითრევო?! რამდენი რამ გაგვიკეთებია პარტიზანულად, ხომ გახსოვთ, „დედაენის" ძეგლზე რა საიდუმლოდ ვიმუშავეთ, დადგმამდე არაფერს გაუჟონავს... ამასაც გავაკეთებთ, თენგიზმა გადაიღოს, ვითომ ტელევიზიით რაღაც ექსპერიმენტს ვატარებთ-მეთქი... **ომარ გვასალიას** მართლაც პარტიზანულად ვაღებინებდი ფილმს სკოლის მოსწავლეებზე, ხომ გახსოვთ ის ფილმი, რომელშიც ჯერ კიდევ მერვე კლასის მოსწავლე **ზურაბ ჟვანია** რომ არის გადაღებული... ომარს ვთხოვე — გადაეღო, ყოველ 5 წელიწადში როგორ ვითარდებოდა თაობა, როგორ იწვრთნებოდა პოლიტიკური ელიტა... ჩემი დუმილი... შეკითხვა... პაუზა... ვატყობ, შეთავაზება ჭკუაში დაუჯდა... მაგრამ კონკრეტული პასუხი, კი! ან — არა! ნურას უკაცრავად... არც ველოდი, საკმაო ხნის ურთიერთობა მაკავშირებდა მასთან და კარგად ვიცოდი: **არასოდეს გეტყოდა, რა და როგორ უნდა გაგეკეთებინა. არასოდეს! მოგისმენდა გულდასმით, შეკითხვებსაც დაგისვამდა და... მერე ყველაფერი შენი თავის ტკივილი იყო.** შენ უნდა მიმხვდარიყავი, საქმე როგორ წაგეყვანა, როგორ გაგეკეთებინა და პასუხიც შენ უნდა გეგო. **თუ გაიმარჯვებდი, გამარჯვება მისი (ანუ ქვეყნის) იყო, თუ დამარცხდებოდი, შენ, მხოლოდ შენ ისჯებოდი!**

გარდა იმისა, რომ მისეული სტილი ჩემთვის კარგად იყო ნაცნობი, პირადად მე მაწყობდა კიდეც. ეს გარკვეულწილად თავისუფლებისა და შემოქმედებითი ფანტაზიის მასშტაბებს ზრდიდა... კი პასუხისმგებლობაც დიდი იყო, მაგრამ მაგას, ნებისმიერ შემთხვევაში, ვერც აიცილებდი თავიდან, მაინც შენ „შეგეწერებოდა" მარცხი.

წავედით ფინიშისკენ... შევარდნაძე, ღიმილით: **პარტიზანობა ძალიან რომ გიყვარს, ფულსაც პარტიზანულად იშოვი?..** ფულს მთავრობას ვთხოვ, დამიმატოს ბიუჯეტი და თუ დახმარება დამჭირდება, როცა თქვენთან „ჩამიშვებენ", დამიცავით-მეთქი... ეს სიტყვა კი შემისრულა. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ უკვე მაგ ფილმის მატერიალური და იურიდიული მხარე ჩემი საზრუნავი გახდა...

**— ვინ დააფინანსა ფილმის გადაღება?**

— მრავალი წლის შემდეგ ცხონებულმა **აკაკი დვალიშვილმა,** კინოკომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ, რომელსაც თანამდებობრივად ევალებოდა ამ „დეტალების" ცოდნა, მემუარები გამოსცა, სადაც უკვდავყო... **ის „დამფინანსებელი" კეთილი ძია:** „მონანიებისთვის" თანხა **დიმიტრი ქართველიშვილმა** გამოგვიყოო. დავურეკე: ბატონო კაკო, რა კარგად აღწერეთ „მონანიებისთვის" ფულის გამოყოფის საკითხი, მადლობაც გადაუხადეთ „გულუხვ" ჩინოსანს და საიდან მოიტანეთ ეგ გვარი-მეთქი? საერთოდ კი ჩარეულხართ მაგ „გაწამაწიაში"? საერთოდ, მაგ დროს ბატონი **დიმიტრი ქართველიშვილი** სად და რა თანამდებობაზე მუშაობდა-მეთქი?! — როგორ, ფული მაგან არ მოგვცაო? — მკითხა გაოცებით ჩემმა კოლეგამ... ჯერ ერთი, ბატონი **დიმიტრი ქართველიშვილი** მაშინ საგეგმო კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და, ვგონებ, მაგ ფილმთან შეხება, მხოლოდ ერთხელ, ისიც, როგორც კინომაყურებელს, ჰქონდა... მეორე — თქვენ რა შუაში იყავით-მეთქი? ფილმი იყო ტელერადიოკომიტეტის დაკვეთა. ფული მე უნდა მეშოვა. ვიშოვე კიდეც და კინოსტუდიას, როგორც დაკვეთის შემსრულებელს, გადავურიცხე.

**გავუმეორე ისევ შეკითხვა: თქვენ რა შუაში იყავით ამ პროცესში-მეთქი?** ბატონი **აკაკი დვალიშვილი** კარგი კაცი იყო, მაგრამ მემუარებში იკეკლუცა. და როცა ამ ფილმთან დაკავშირებით სკანდალი ატყდა, გვერდში არ დამიდგა და თქვა — არაფრის საქმის კურსში არ ვიყავიო...

ერთი სიტყვით, ფული ჰქონდა მთავრობას და მეც მის თავმჯდომარესთან **ზურაბ პატარიძესთან** მივედი. თუმცა, აქ ერთი წინააღმდეგობა იყო — **პატარიძესა და შევარდნაძეს იმ დროს ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. პატარიძისთვის რომ მეთქვა, შევარდნაძეს ფილმის გადაღება უნდა და ფული უნდა გამოყო-მეთქი, მეტყოდა — ჯერ ცეკას ბიუროს დადგენილება მომიტანეო.** შევარდნაძე ამ ფილმზე 3 მილიონის გასაცემად ცეკას ბიუროს დადგენილებას არ მიიღებდა, ამიტომ ფორმა იყო მოსაძებნი. ძალიან კარგი პიროვნება იყო **ზურაბ პატარიძე,** ვაჟკაცი, სიტყვის პატრონი, არანორმალურად დაუზოგავი მშრომელი... ადრე ვერ იყო ჩემდამი კარგი განწყობით, მაგრამ ერთხელ, შუაღამისას, მოულოდნელად გამომეცხადა ტელევიზიაში, დამიჯდა და გული გადამიშალა... მაგრად დავმეგობრდით... ჰოდა, დეტალებში მოვუყევი ჩანაფიქრი, მაგრამ შევარდნაძეს არ ვუხსენებ. მითხრა — ფულს კი გიშოვნი, მაგრამ რაღაც შარში არ გაეხვიო, არ დაგიცავსო... დავარეკინე შევარდნაძესთან და „ჩამიშვა": სიტყვასიტყვით უთხრა — **ფოფხაძე იყო ჩემთან, რამდენ კარგ საქმეს აკეთებს ეს ბიჭი, მოსკოვიდან და რესპუბლიკებიდან მირეკავენ კოლეგები, საქართველოს ტელევიზიას აქებენ. მაგრად გვეხმარება საკავშირო არენაზეო... თანაც, მაგის ცოტა მეშინია, აქტიური და კრიტიკული ტელევიზია აქვს. მთავრობასაც მოურიდებლად აკრიტიკებსო. ახლაც ისეთი რამ მთხოვა, არა მგონია, თქვენ გარეშე რამე გამოვიდესო.**

შევარდნაძემ გაიცინა და უთხრა — **დაეხმარე, თორემ გაგიბრაზდება და მერე მეც ვერ გიშველიო... ისე, მაგისი, ცოტა არ იყოს, მეც მეშინიაო...** ორივემ იხარხარა და... **პატარიძემ** მკითხა — **შენ მაგასთან შეთანხმებული ხომ არ იყავიო?** არ მოვატყუე: **შეთანხმებული ვიყავი და მინდოდა, შემერიგებინეთ და, მგონი, მოვახერხე-მეთქი!** ახლა ჩვენ ვიცინეთ და... **ასე ვიშოვე ამ ფილმისთვის 3 მილიონი...**

300 მეტრი ფირი გადაღებული იყო, როცა **„თვითმფრინავის ბიჭების"** ტრაგიკული ამბავი მოხდა, ერთი ამბავი ატყდა — მოგეხსენებათ, ამ ბიჭებიდან ერთ-ერთს — **გეგა კობახიძეს** „მონანიებაში" იღებდნენ. „კაგებემ" ძიება დაიწყო, აღმოაჩინეს, რომ, თურმე, ეს „არამზადა" ფოფხაძე პარტიასა და ხელისუფლებას ატყუებდა, პარტიზანულად აფინანსებდა ანტისაბჭოთა ფილმის გადაღებას; ამასთან, ანკესზე ჰყავდა წამოგებული სახელმწიფო კინოსტუდიის დირექტორი, ასევე არამზადა **რეზო ჩხეიძე** და მათი ხელშეწყობით ანტისაბჭოთა ელემენტი **თენგიზ აბულაძე** იღებდა ქვეყნის განმქიქებელ ფილმს. ეს ფრაზები ფან-

„300 მეტრი ფირი გადაღებული იყო, როცა „თვითმფრინავის ბიჭების" ტრაგიკული ამბავი მოხდა, ერთი ამბავი ატყდა — მოგეხსენებათ, ამ ბიჭებიდან ერთ-ერთს — გეგა კობახიძეს „მონანიებაში" იღებდნენ. „კაგებემ" ძიება დაიწყო, აღმოაჩინეს, რომ, თურმე, ეს „არამზადა" ფოფხაძე პარტიასა და ხელისუფლებას ატყუებდა, პარტიზანულად აფინანსებდა ანტისაბჭოთა ფილმის გადაღებას!"

ტაზიის ნაყოფი არ გეგონოთ. ჩემი თვალით მაქვს წაკითხული ათეულობით ასეთი დაბეზღება... უმალ გამახსენდა **იური ანდროპოვის** მიერ ჩემთან საუბარში ნათქვამი ფრაზა ოთხი მილიონი „ანონიმური“ წერილის შესახებ... აქ სასწრაფოდ შეიქმნა შესაბამისი ატმოსფერო... ატყდა პანიკა, ერთმანეთის ჩაშვება... განსაკუთრებით აქტიურობენ პრიმიტივი კინოჩინოვნიკები და უნიჭო რეჟისორები... ცეკაში ისეთი სახეები აქვთ, რომ გეგონება, უცხო პლანეტიდან ჩამოფრინდნენ... ისინი, ვინც დარტყმები პირველმა უნდა მიიღოს, ვინც უნდა გადამეფაროს და დამიცვას, რა თქმა უნდა, ჩირგვებში მიიმალნენ...

მოსკოვიდან დამირეკა **ლაპინმა**, როცა გაიგო, რა ფილმზე იყო „კივილ-წივილი“ ატეხილი, მაგრად გამცოცხა... ბრძენი კაცი იყო ეს ჩემი მოსკოველი „ბაბუ“, გამომკითხა დეტალებში და ყველაფერი მოვუყევი, რისი მოყოლაც შესაძლებელი იყო ისე, რომ სახე არ დამეკარგა... ყველაფერს მიხვდა. **„შენ მაქაურებმა გიღალატეს, ხელს გახოცავენ და შენზე უნდათ ჯოხის გადატეხაო...“** შევარდნაძესაც დავურეკე და **ფილიპ ერმაშსაც** *(რომელიც, თურმე, ზეიმობს ამ ხმაურს...)*, სხვებსაცო... ყველა გავაფრთხილე, რომ არავის შეექმნას ილუზია, რომ ვინმეს მივცემ შენი გათელვის უფლებასო... *(ერთხელ ამ სიტყვებით აქაურმა ცეკას მდივანმა, დიდებულმა ქალბატონმა* ***ვიქტორია სირაძემ*** *დამიცვა. მეამაყება, რომ ასეთი უფროსი მეგობრებისგან ვისწავლე ღირსეული ადამიანების დაცვა)*. ერთი სიტყვით, მადლობა გადავუხადე „ბაბუს“, მაგრამ ისიც ვამცნე — ფილმის გადაღებას გავაგრძელებ-მეთქი! **„პრეკრატი!“** — კატეგორიულად მომთხოვა. ჩამოვალ და ყველაფერს მოგიყვებით-მეთქი.

ამასობაში მოვლენები ისე განვითარდა, რომ... **მოსკოვში ჩვენთვის აღარ ეცალათ... ჩხირკედელაობა მარტო აქ მიმდინარეობდა...**

ასე იყო თუ ისე, რამდენადაც ვიცი, იმ ეტაპზე და იმ დროისთვის ოფიციალური ძიება საქართველოს „კაგებეს“ მასშტაბებს არ გასცილებია. ზოგიერთმა ფორმიანმა ჩინოსანმა ჩემთან ისეთი პირადი ანგარიშსწორება გააჩაღა, რომ... **ჯიჯგნეს, მაგრამ რა ჯიჯგნეს ტელერადიოკომიტეტი.** მრავალრიცხოვანმა კომისიამ ფინანსურად ყველაფერი ამოატრიალა, მაგრამ ყურებზე ხახვი ვერ დაგვაჭრეს. მაგ მხრივ, სადაც არ მიმუშავია, ყველგან და ყოველთვის სისუფთავე იყო. რაც შეეხება კინოფილმის წარმოებაში ჩაშვების დოკუმენტაციას, იქ კი **ჩვენმა უძვირფასესმა კოლეგებმა კინოსტუდიიდან, სახელგანთქმულმა მოღვაწეებმა მაგრად ჩაისვარეს — ყველაფერზე ხელი შეგვახოცეს.** მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო. ამ დაძაბულ დღეებში გამოჩნდა, ვის შესტკიოდა გული კინოზეც, ტელევიზიაზეც, მეგობრებზე...

უნდა გამოვტყდე, რომ „პარტიზანული მეთოდი“ მოითხოვდა კონფიდენციალობის მკაცრ დაცვას. ამიტომ დადგენილი წესების საწინააღმდეგოდ არსად არ იყო გატარებული სცენარის განხილვისა და დამტკიცების სტანდარტული დოკუმენტაცია... სამხატვრო საბჭოს წევრთა დასკვნები, რეცენზიები, მთავლიტის (ცენზურის) ნებართვა... არ იყო გაფორმებული კინოსტუდიასთან, რეჟისორთან ხელშეკრულება, მატერიალური ფასეულობების გადაცემის დამადასტურებელი აქტები. ეს კი სამართლებრივი დევნის საბაბი შეიძლებოდა, გამხდარიყო...

და სწორედ აქ გვერდში რაინდულად ამომიდგა სატელევიზიო ფილმების სტუდიის მხატვრული ხელმძღვანელი **მერაბ კოკოჩაშვილი.**

**ომარ გვასალიასთან და დათო შალიკაშვილთან** ერთად მან არნახული ოსტატობითა და ოპერატიულობით შექმნა საჭირო დოკუმენტაცია და ააფარა ცხვირ-პირზე ნამეტნავად აქტიურ „ჯამაათს“. **მერაბ კოკოჩაშვილი** ღვთით ბოძებული ნიჭის გარდა დაჯილდოებულია კრისტალური პატიოსნებით და რაინდული სულისკვეთებით. ის ქართული კინოსა და ტელევიზიის სინდისია! ცხოვრება კი გრძელდება. აბულაძე განაგრძობდა ფილმის გადაღებას. ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში მიედინება. ფილმის გადაღება საცაა, უნდა დამთავრდეს. მე ცოტა ნაწყენი ვარ კინოს მესვეურთა არარაინდული საქციელით. ამიტომ არ ვაქტიურობ... მაგრამ **შევარდნაძეს** რამდენჯერმე ანახვეს გადაღებული მასალები, ის მე მსაყვედურობს, რატომ არ ვმონაწილეობ მის ვიზიტებში... თავის გამართლების მიზეზებს რა გამოლევს?!

1984 წლის 25 თუ 26 დეკემბერია, მირეკავს ცეკას იდეოლოგიის მაშინდელი მდივანი **გურამ ენუქიძე** — ეგებ, სასწრაფოდ შეძლოთ ცეკაში მოსვლა, პირველი მდივნის დავალებაა და... იქ დამხვდა „ნაცნობი ტრიო“ — **აკაკი დვალიშვილი, რეზო ჩხეიძე და თენგიზ აბულაძე.** ყველა კარგად შემხვდა, მათთვის ხომ „მამა მარჩენალი“ ვარ... ჩემდა მოულოდნელად, **ენუქიძე,** რომელსაც აქამდე არცერთი საკითხის გადაწყვეტაში არამცთუ მიუღია მონაწილეობა, არამედ საქმის კურსშიც კი არ არის, „ვისი ვიოლინო ვის როიალშია“ (ჯ.ჩ.) მეუბნება, რომ აი, თხოვნაა ჩვენი, რომ **მართალია, ფილმი ბოლომდე მიყვანილი არ არის, მაგრამ ხელი მოაწერე მის მიღებას, რათა „ბიჭებმა“ პრემია არ დაკარგონო.** შევეკითხე: **ჯერ ერთი, რა შუაშია ამ „პრობლემის“ გადაწყვეტაში ცეკა — ზოგადად და ამხანაგი ენუქიძე — კონკრეტულად?** განა არ შეიძლებოდა, მოსულიყავით თქვენ ჩემთან, ანუ დამკვეთთან და იქ ჩვეულებრივ, საქმიან ატმოსფეროში განგვეხილა ეს თემა? და მეორე: პრემია ვინ უნდა გასცეს და ვინ უნდა მიიღოს? რით ვერ იმყოფინეთ სამი მილიონი მანეთი, პრაქტიკულად, სხვა ფილმებთან შედარებით, გაცილებით მეტი? მიპასუხეს — პრემია უნდა მიიღონ მათ და პრემია უნდა გავცე მე, ესე იგი კიდევ უნდა წავიდე „სამათხოვროდ“, რომ ფულადი პრემია მივცე მათ, ვინც ვერ ჩაეტია ვადებში, ვინც შემახვედრა ვეებერთელა უსიამოვნება, ვინც დარტყმის ქვეშ დააყენა ჩემი ცხოვრება და ყოველივე ამას, რასაც ჰქვია სიყალბე და მიწერა, ხელი უნდა მოვაწერო მე... დავასკვენი: **ნუ, ცინიზმი მინახავს და ცინიკოსებიც, მაგრამ ცეკას მდივნის კაბინეტში თუ მათ პირისპირ შევხვდებოდი, არ მეგონა-მეთქი.** ენუქიძეს მივმართე — **მარტო ყურძენზე, ჩაიზე, ღვინოსა და ციტრუსზე კი არ ხდება „მიწერები“... ახლა, რასაც ჩემგან ითხოვთ — სიყალბეს, ესეც „მიწერაა“. ერთხელ უკვე ვიწვნიე სირცხვილი, როცა „კაგებეში“ ახსნა-განმარტებები ვწერე-მეთქი... აღარ ვაპირებ ვილაცების სიხარბის გამო კიდევ გაწითლებას.** ენუქიძე გაშრა, დაინახა, რომ საუბარი პოლიტიკურში გადავიტანე. ვეღარ მაჩერებს: რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძის სახელისა და ავტორიტეტის გამოყენებას, მე მასთან შუამავალი ნამდვილად არ მჭირდება... და თქვენი ნებართვით, ახლავე მოვახსენებ, რომ, თუ ეს დავალება მისგან მოდის, ვერ შევასრულებ და ეს არ იქნება ჩემი გაჯიუტების პირველი შემთხვევა-მეთქი. დავამთავრე და ხელი გავიშვირე ტელეფონისკენ... ენუქიძე ხელში მეცა... თავად ჩავაყენებ საქმის კურსშიო... ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ვაგრძელებ: **ეს ფილმი ზნეობაზეა. პოლიტიკურ და ადამიანურ ზნეობაზე. ჩვენ კი ახლა უზნეობას ჩავდივართ-მეთქი...** და ორიოდე წუთით გარეთ გასვლის ნებართვა ვითხოვე.

აღარ მინდა კიდევ იმ დეტალების გახსენება, ვის შევეხმიანე და რა მირჩიეს... ესაა, რომ დავურეკე ჩემს მოადგილეს **ოთარ კაკაბაძეს** და ტელეფილმების სტუდიის დირექტორს **ომარ გვასალიას,** თან ცეკაში დაუყოვნებლივ მოსვლა ვთხოვე.

ფილმს მაშინ ჯერ კიდევ არ ერქვა **„მონანიება“,** სამუშაო სათაური იყო **„აფთრები“** თუ რაღაც... შევარდნაძე ძალიან აფასებდა შემოქმედებით ინტელიგენციას... მისი ახლო მეგობრები იყვნენ **ნოდარ დუმბაძე, რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, ჯანსუღ კახიძე, გია ყანჩელი, გივი ორჯონიკიძე, სოფიკო ჭიაურელი...** მათთან სისუსტეს იჩენდა, ყველა თხოვნას უსრულებდა. ვინმეს რამეზე უარს თუ ვეტყოდი, მაშინვე შევარდნაძესთან გარბოდნენ, მერე რაღაცები უნდა აგეხსნა მისთვის... იმიტომაა, დღესაც რომ აღმერთებენ...

**— შევარდნაძემ ამ შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდა?**

— რა თქმა უნდა, არა და ეს იყო არა **გურამ ენუქიძის** ინიციატივა, არამედ თენგიზისა და რეზოსი. მათ წამოიკიდეს იგი. ენუქიძე თენგიზ აბულაძეზე ცოტა ნაწყენი იყო... თენგიზი ახლობლობდა **სოლიკო ხაბეიშვილთან,** რჩევებს ეკითხებოდა, თხოვნით მიმართავდა... ის ადვილად უწყვეტდა რაღაც ყოფით საკითხებს, მისი საკურატორო ზონაში სად იყო ვაჭრობა, ფინანსები და ა.შ. შევარდნაძესაც, უწინარესად, ის ახლდა, კინოსტუდიაში მასალის სანახავად რომ მიდიოდა. და აგერ — გაუჩნდა **ენუქიძეს** შანსი, შეესრულებინა შევარდნაძის ფავორიტის თხოვნა, თავის ე.წ. საკურატორო სფეროში და... იქაც „ჩაიჭრა“.

**— საბოლოოდ, გურამ ენუქიძის თხოვნას დაუსრულებელი ფილმის მიღებაზე ხელი ვინ მოაწერა?**

— როგორც ზემოთ გიამბეთ, ენუქიძესთან დავიბარე ტელეფილმების სტუდიის ხელმძღვანელი **ომარ გვასალია** და ჩემი მოადგილე ტექნიკის და ფინანსების დარგში (თან ენუქიძის ძმაკაცი) **ოთარ კაკაბაძე.** ავუხსენი სიტუაცია და ვთქვი, რომ მე ენუქიძის თხოვნის წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ ანგარიშს ვუწევ ამ უხერხულ ვითარებას, რომელშიაც ბატონი გურამი აღმოჩნდა. **ახლა მე აქედან გავალ, თქვენ დაგელაპარაკებათ ცეკას მდივანი და გადაწყვეტილება უჩემოდ მიიღეთ-მეთქი.** თან გავაფრთხილე — **ეს ყველაფერი წინ სკანდალად რომ დამხვდეს, ორივეს დაუყოვნებლივ მოგხსნით სამსახურიდან-მეთქი** (არადა, ეს ამბავი მართლაც წინ დამხვდა და, თანაც, უფრო დიდი სკანდალით).

მათ ხელი უჩემოდ მოაწერეს. ფილმის გადაღება სამ-ოთხ თვეში დაამთავრეს და 9 მაისს მინდოდა გაშვება, მაგრამ, როგორც ზემოთ გითხარით, შევარდნაძემ **„დამუხრუჭება“** მთხოვა... შემდეგ ის მოსკოვში გადავიდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელად **ჯუმბერ პატიაშვილი** დაინიშნა, რომელსაც ეს ფილმი არ მოსწონდა. ამას დაემთხვა უსიამო ფაქტი: ფილმი გავრცელდა ვიდეოკასეტებით და უსიამო აჟიოტაჟი ატყდა. ამის გამო „კაგებემაც“ ერთი ამბავი ატეხა და ცეკას ბიუროზე გაიტანეს ამ „გაჟონვის“ ე.წ. დამნაშავეების — მართვის ინსტიტუტის დირექტორის **სულიკო ქადაგიძისა** და მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის **იოსებ ცისკარიშვილის** საკითხი. განხილვის დროს ერთმა პროვოკატორმა განაცხადა — ეს ფილმი ტელევიზიისაა და მისმა ხელმძღვანელმაც უნდა აგოს პასუხიო... მაშინ მე ქვა ქვაზე აღარ დავტოვე, **გურამ ენუქიძეს** მივმართე — **ვთქვა ყველაფერი, რაც მოხდა-მეთქი?** ახლა უკვე ამ სკანდალმა მასშტაბური ხასიათი მიიღო. ცენტრში უკვე სხვა „ჟრიამულია“... ისევ ამოტივტივდა ჩვენი ტელევიზიის „დანაშაული“ და ახლა ჩემს „ბაბუს“ — **ლაპინს** დაუწყეს „ჩქმეტა“. მირეკავს: — **ნუ შემშალე ჭკუიდან, კიდევ იმავე ფილმზეა ეს ყაყანიო?“,** მასაც სთხოვდნენ ინფორმაციას, თუ რა სკანდალური ფილმი გადაიღო მის დაქვემდებარებაში შემავალმა საქართველოს ტელევიზიამ.

**— შევარდნაძეს „მონანიება“ მოეწონა?**

— რა თქმა უნდა. სათაურის შერჩევაშიც მიიღო მონაწილეობა... ფილმის მონტაჟისას შევარდნაძემ ფინალის შეცვლა ითხოვა და საქართველომ უნდა იცოდეს, რა მოხდა.

**ვერიკო ანჯაფარიძის** ისტორიული ფრაზა ფილმის ფინალში — **„ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან არ მიმიყვანს? — რა საჭიროა იგი, მაშინ რის მაქნისია გზა, თუკი ტაძართან არ მიმიყვანს?!“** — ეს არის შევარდნაძის ფრაზა და მე რომ მკითხოთ, იმ ფილმში ამ ფრაზაზე მნიშვნელოვანი არაფერია. სწორედ ამ სიტყვებმა გამოუტანა, ზოგადად, განაჩენი საბჭოთა ხელისუფლებასა და კომპარტიას.

— **როგორ მივიდა „მონანიება“ საკავშირო პრემიერამდე?** — მოსკოვში გავფრინდი, ისევ **ლაპინის** იმედი მქონდა, მაგრამ ის უკვე პენსიაზე გაუშვეს. მაგრამ აღარც მე ვიყავი პატარა ბიჭი და დამწყები ჟურნალისტი. ტელევიზიიდან **პროპაგანდის განყოფილების გამგედ** უნდა გადავეყვანეთ, ამიტომ რაღაცები უნდა მომესწრო. ვიცოდი, რომ „პერესტროიკის“ მამას **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე იაკოვლევს** ჩემი კოლეგებისა და მეგობრების გავლენით, ჩემდამი სიმპათიები ჰქონდა, თუმცა, პირადად არასოდეს შევხვედრივარ. მისი მთავარი თანაშემწე იყო ჩემი მეგობარი **ვალერი კუზნეცოვი,** ხოლო იაკოვლევის სამდივნოს უფროსი გახლდათ ტელევიზიის ცნობილი სპეციალისტი **ვლადიმერ მაკავეევი.** შევხვდი **კუზნეცოვსაც** და **მაკავეევსაც,** ყველაფერი მოვუყევი, საუბრები შევარდნაძესთან და ლაპინთან, შეხვედრა ანდროპოვთან, ამ ფილმთან დაკავშირებული ყველა დეტალი... ამათ ყველაფერი იაკოვლევს მოახსენეს, მიმიღო, გადამეხვია, მაქო, ეს ფილმი შენია და თუკი აქ გაქვს, შეიძლება, რომ გვანახოო. აბა, აქ რისთვის ჩამოვედი-მეთქი და კასეტა ამოვიღე. დაურეკა **ლევ ონიკოვს** — წარმოშობით თბილისელ სომეხს, თავის მეგობარს, რომელთანაც ერთად ადრე, სტალინის დროს, იყვნენ ცეკას ინსტრუქტორები... მოვიდა ონიკოვი, დასხდნენ და უყურეს „მონანიებას“. იაკოვლევმა აღტაცება ვერ დამალა და პირდაპირ მითხრა — **„პერესტროიკას“ იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის რაღაც აკლდა და ეს სწორედ ის ფილმია, რაც „პერესტროიკას“ სჭირდებაო!** ჩემ თვალწინ დაურეკა **მიხეილ გორბაჩოვს,** საღამოს ფილმი უკვე მასთან იყო. ფილმის ნახვა მოისურვა **ეგორ ლიგაჩოვმაც.** მაკავეევმა კასეტა ტელევიზიაში წაიღო და ერთ საათში უკვე გამრავლებული მოიტანა. ერთი კასეტა **ლიგაჩოვს** წაუღეს. შემდეგ კი ეს ფილმი უკვე ფართო მაყურებელმა ნახა.

**— ახლა ვიღაცები ამ ფილმის გადაღებას საკუთარ დამსახურებად თვლიან და საქართველოს ტელევიზიასა და მის თავმჯდომარეს არ ახსენებენ...**

— ერთადერთმა, ვინც ამ საქმეში ჩვენი ტელევიზიის დამსახურება ახსენა, **ალექსანდრე იაკოვლევი** იყო, რომელმაც ფრანგულ „ფიგაროს“ ინტერვიუ მისცა და თქვა — „მონანიებას“ **თენგიზ აბულაძე** ვერ შეჰქმნიდა, რომ შევარდნაძეს გვერდით არ ჰყოლოდა საქართველოს ტელევიზია და მისი გაბედული თავმჯდომარეო. **თენგიზ აბულაძემ** კი ლენინგრადის ტელევიზიის მე-5 არხს ინტერვიუ მისცა, სადაც თვალის დაუხამხამებლად აცნობა მაყურებელს, რომ ამ ფილმის გადაღებას ხელს უშლიდნენ მაშინდელი ხელმძღვანელები, რომ ფილმი გადაიღო... კოოპერატივის ფულით.



„ვერიკო ანჯაფარიძის ისტორიული ფრაზა ფილმის ფინალში –

„ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან არ მიმიყვანს? — რა საჭიროა იგი, მაშინ რის მაქნისია გზა, თუკი ტაძართან არ მიმიყვანს?!“



– ეს არის შევარდნაძის ფრაზა და მე რომ მკითხოთ, იმ ფილმში ამ ფრაზაზე მნიშვნელოვანი არაფერია!“





**რეზო ჩხეიძემ კი გარდაცვალების წინ კატეგორიულად ბოდიში მომიხადა ყველა თავისი კოლეგის სახელით... მართლაც, „ნეტარ არიან მორწმუნენი!“**

*მოამზადა ქეთევან ხამიაშვილმა*

# მაია ბერაია: გაითვალისწინეთ ეს რჩევები, რათა თვალისჩინი ხანგრძლივად შეინარჩუნოთ!





***კოვიდის ვერაგმა პანდემიამ მრავალი ადამიანი შეიწირა, უფრო მეტს კი მნიშვნელოვნად დაუზიანა ჯანმრთელობა, გამოუვლინა და გაუმწვავა არაერთი ისეთი დაავადება, რაზეც მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა.*** *„კოვიდის ვირუსით გამოწვეული იმუნიტეტის დეფიციტის გავლენით ადამიანები თვალისჩინსაც კარგავენ!“* ***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ექიმმა ოფთალმოლოგმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მაია ბერაიამ:***

— ხშირად მაკითხავენ პაციენტები, რომელთაც მხედველობა კოვიდის ინფექციის გადატანის შემდეგ დააკლდათ. პანდემიის მძვინვარების პიკურ პერიოდში გავრცელდა თვალის ვერაგი დაავადება კერატიტი, რომელიც ახალგაზრდა ასაკშიც განაპირობებს მხედველობის დაქვეითებას და ზოგჯერ სრულიად დაკარგვასაც. ცნობილია, რომ კერატიტს იწვევს ვირუსი, ასევე ორგანიზმში იმუნიტეტის დეფიციტი. ასეთ გარემოებაში მწვავდება ანთებითი პროცესი, იწყება თვალის გამჭვირვალე გარსის ანთება, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს შეშუპებას. ამის გამო თვალში სინათლის სხივი ვეღარ აღწევს და მხედველობა უეცრად მკვეთრად ქვეითდება. დაავადებას სხვა სიმპტომებიც ახლავს. მაგალითად, მყოლია პაციენტები, რომელთაც აღენიშნებოდათ თვალის მუდმივი სიწითლე, ცრემლდენა, სინათლეზე მკვეთრი რეაქცია.

**— ეს დაავადება თანდათან მწვავდება თუ უეცრად იწყება?**

— შესაძლოა, დიდი ხნის განმავლობაში ინფექციის კერა თვალში ისედაც იყო, მაგრამ გამოვლინება უეცრად ხდება. მაგალითად, დაავადება მოულოდნელად ეწყებათ ისეთ პაციენტებს, რომლებიც ხანგრძლივად იმყოფებოდნენ წოლით მდგომარეობაში; ხანგრძლივად ატარებდნენ პირბადეს, რადგან ამონასუნთქი ჰაერის თვალის ზედაპირთან გამუდმებული შეხება უთუოდ იწვევს ნეგატიურ გავლენას. ყოფილა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც რეანიმაციაში მოხვედრილ პაციენტს თვალი ღიად დარჩენია და იქ უფრო მძაფრად განვითარებულა კერატიტი და **მეორადი გლაუკომა,** რადგან ანთებითი პროცესი უფრო ღრმა შრეებში ჩამოყალიბდა. მეორადი გლაუკომა ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს, წელიწადნახევრის განმავლობაშიც კი გვიმკურნალია პაციენტისთვის იმ მიზნით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კატარაქტის ოპერაციის გაკეთება. ისე ნუ იფიქრებთ, რომ მაინცდამაინც კოვიდის ბრალია ყველაფერი. ორგანიზმში იმუნიტეტის დეფიციტი შესაძლოა, სულ სხვა მიზეზითაც ჩამოყალიბდეს, ვთქვათ, შიდსის ან რომელიმე პათოლოგიის ფონზე, მაგრამ კოვიდის პანდემიის პერიოდში იმდენად გახშირდა თვალის დაავადებები, ეჭვგარეშეა, ამჯერად სწორედ ამ დაავადებამ განაპირობა.

**— დაქვეითებული მხედველობა დროთა განმავლობაში აღდგება?**

— გააჩნია, როდის მიმართავს პაციენტი ექიმს. დროული ჩარევის გარეშე შესაძლოა, პროცესი მხედველობის სრულ დაკარგვამდეც მივიდეს. ამიტომ ოფთალმოლოგს ჩივილების დაწყებისთანავე უნდა მივაკითხოთ, რათა მოხდეს ანთებითი პროცესის კუპირება და თვალშიდა მაღალი წნევის წინააღმდეგ ზომების მიღება. თუ პროცესი არ შევაჩერეთ, თვალის გამჭვირვალე გარსი სამუდამოდ დაკარგავს გამჭვირვალობას, რადგან რქოვანას თვითაღდგენის უნარი ნაკლებად გააჩნია, ხოლო გამჭვირვალე შრეში მცირე ჩანართის გაჩენაც კი მხედველობის დაქვეითებას იწვევს. **ასეთ შემთხვევაში პაციენტი გარემოს დაახლოებით იმგვარად ხედავს, როგორც დასვრილი ფანჯრიდან გამოჩნდებოდა.** თუმცა, არსებობს პრეპარატები, რომლებიც ხანგრძლივი გამოყენების ფონზე ამ პრობლემას მცირედ მაინც შველის და მხედველობაც ოდნავ უმჯობესდება.

**— ამჟამად რა პრობლემებით გაკითხავენ პაციენტები?**

— კოვიდის პანდემიის დაცხრობის შემდეგ მწვავე პრობლემებმაც იკლო. **ამჟამად უფრო ხშირად ისეთი პაციენტები გვაკითხავენ, რომლებსაც აკომოდაციის, ანუ სხვადასხვა მანძილზე საგნების მკვეთრად გარჩევის ბუნებრივი რესურსი ასაკის მატებასთან ერთად ეწურებათ.** გაჯეტებთან ხანგრძლივად ურთიერთობამ, ცხოვრების არანორმალურმა რეჟიმმა განაპირობა, რომ თვალი ახლო მანძილზე მზერის პროცესში დიდი ხნით რჩება დატვირთულ მდგომარეობაში, რა დროსაც კუნთი მარტივად დუნდება და თუ ადრე ადამიანები სათვალით სარგებლობას 50 წლის მერე იწყებდნენ, ამჟამად უკვე 40 წელს მიღწეულთაგან თითქმის ყველას სათვალე სჭირდება!

**„პანდემიის მძვინვარების პიკურ პერიოდში გავრცელდა თვალის ვერაგი დაავადება კერატიტი, რომელიც ახალგაზრდა ასაკშიც განაპირობებს მხედველობის დაქვეითებას და ზოგჯერ სრულიად დაკარგვასაც!“**



**„დაავადება მოულოდნელად ეწყებათ ისეთ პაციენტებს, რომლებიც ხანგრძლივად იმყოფებოდნენ წოლით მდგომარეობაში; ხანგრძლივად ატარებდნენ პირბადეს, რადგან ამონასუნთქი ჰაერის თვალის ზედაპირთან გამუდმებული შეხება უთუოდ იწვევს ნეგატიურ გავლენას!“**

**— რით აიხსნება, როცა ხანდაზმულ ადამიანებს მხედველობა უუმჯობესდებათ?**

— ხანდაზმულებს მართლაც ჰგონიათ, რომ მხედველობა გაუუმჯობესდათ, რადგან სათვალის გარეშე ახერხებენ გაზეთის წაკითხვას. არადა, სინამდვილეში მათ მხედველობა შორ მანძილზე უქვეითდებათ და ამის ხარჯზე ახლო მანძილზე თითქოს უკეთესად ხედავენ. ასეთი კატარაქტა საოპერაციო არ არის. **იდეალური ვარიანტია, როცა ერთ თვალში კარგი მხედველობა რჩება, მეორეში კი მცირე მინუსი, ანუ შორ მანძილზე დანახვის პრობლემაა.** ასეთ შემთხვევაში, ასაკში შესვლის პარალელურად ადამიანი ნორმალურად ხედავს, რადგან ერთ თვალს ახლო ხედვისთვის იყენებს, მეორეს — შორ მანძილზე, თუმცა, ამას თავად ვერც კი მიხვდება, თუ ცალ თვალზე ხელს არ აიფარებს. როცა ქირურგები კატარაქტის ოპერაციას აკეთებენ, ცდილობენ, სწორედ ასეთი ბალანსი დაიცვან.

**— ლაზერით რა შემთხვევაში სწორდება მხედველობა?**

— ლაზერით მხედველობის გასწორება **მიოპიის** დროს არის საჭირო, როდესაც ადამიანი შორ მანძილზე ვერ ხედავს და ეს დიდ პრობლემას უქმნის. ამ დროს ლაზერის დახმარებით ცვლიან რქოვანას გარდატეხის კუთხეს და ამის ხარჯზე პაციენტს შორ მანძილზე ხილვადობა აღუდგება. ადრე კატარაქტის ოპერაციის დროს თვალიდან ბროლს იღებდნენ და სანაცვლოდ არაფერს დებდნენ. ბროლის კომპენსაციას პაციენტები ძალიან სქელშუშიანი სათვალით ახდენდნენ. შემდეგ გამოიგონეს ხელოვნური ბროლი და პაციენტს არჩევანის საშუალება მიეცა — კარგად დაენახა შორ თუ ახლო მანძილზე? ან იქნებ, სულაც მცირე „მინუსი“ დაეტოვებინა და სათვალის საშუალებით მოეხდინა კომპენსაცია. **თანამედროვე მედიცინა უფრო შორს წავიდა და უკვე ისეთ ბროლს სვამენ, რომელსაც ნამდვილი ბროლის მსგავსად შეკუმშვის უნარი აქვს და ამის გამო პაციენტი შორსაც კარგად ხედავს და ახლოსაც.**

**— რა პირობები უნდა დაიცვას ადამიანმა, მხედველობა დიდხანს რომ შეინარჩუნოს?**

— თანამედროვე ტექნიკურმა პროგრესმა, საოფისე სამუშაოების მოჭარბებამ თვალის დაავადებების რისკების ზრდა განაპირობა. ასე, მაგალითად, თვალს დიდ პრობლემებს უქმნის მონიტორის ხანგრძლივი მზერა და მობილურ ტელეფონთან მუდმივი კონტაქტი. რომ არა კომპიუტერი, ადამიანს დიდი ხნის განმავლობაში აღარ დასჭირდებოდა სათვალის მოხმარება. ერთგვარი გამოსავალია დამატენიანებელი საშუალებების ხშირად ჩაწვეთება, განსაკუთრებით, ძილის წინ, რადგან რეჟიმიდან ამოვარდნის გამო დღის ბოლოს ადამიანებს ისედაც უქვეითდებათ მხედველობა. თუ დამატენიანებელი საშუალება იმ მომენტში არ მოგეძევებათ, თვალებზე წყლის შესხმაც კი შვებას მოგანიჭებთ. პრობლემას ქმნის ხანგრძლივად ჩახუთულ სივრცეში ყოფნაც, რაც ჟანგბადის ნაკლებობის კვალდაკვალ „მშრალი თვალის“ სინდრომს განაპირობებს და მოსახლეობის 70 პროცენტს აღენიშნება. ისიც ფაქტია, რომ მხოლოდ დამატენიანებელი პრეპარატების მოხმარება პრობლემას ვერ აგვარებს და აუცილებელია დახუთული სივრციდან თავის დაღწევა ან მისი ხშირი განიავება.

**— დღეს მოდაშია თვალის ფერადი ლინზები. არის თუ არა მავნებელი მათი გამოყენება?**

— თანამედროვე ლინზები თვალის ნამდვილ სტრუქტურასთან არის მიახლოებული და თუ სწორად გამოვიყენებთ, ზიანი არ მოაქვს. მთავარია, დავიცვათ ინსტრუქცია და ჰიგიენის ნორმები, მაგალითად, თუ ლინზებს გამოყენების 1-თვიანი ვადა აქვს, ამ ვადას არ უნდა გადავაცილოთ, ღამღამობით კი ლინზა აუცილებლად უნდა ამოვიღოთ. თუმცა, არსებობს სადღეღამისო ლინზებიც, მაგრამ ჩემს პაციენტებს მათ გამოყენებას არ ვურჩევ, რადგან საკმაოდ მძიმეა ლინზისმიერი გართულებები, მათ შორის, სოკოვანი დაავადება. კონტეინერს, რომელშიც ლინზებს ვინახავთ, ასევე აქვს ვარგისიანობის ვადა და 3 თვეში ერთხელ მაინც უნდა შეიცვალოს, რათა ლინზებზე ნადები არ გააჩინოს. მითითებულ ვადაში უნდა ვცვალოთ ხსნარიც, რომელშიც ლინზები ინახება.

**— რამდენად სასარგებლოა დეზინფექციის მიზნით თვალში ჩაის ნაყენის გამოვლება?**

— ადრე ამ მეთოდს ხშირად მიმართავდნენ, დღეისათვის კი დაუშვებელია, რადგან, ფაქტობრივად, სუფთა და ნამდვილი ჩაი აღარ იყიდება, ხოლო ქიმიკატები, რითიც ეს პროდუქტია გაჯერებული, თვალის გაღიზიანებას იწვევს. ამდენად, სჯობს, აპრობირებულ, სტერილურ ანტისეპტიკებზე შევაჩეროთ ყურადღება.

**აუცილებელია, მონიტორს თვალი 40 წუთში ერთხელ მაინც მოვაცილოთ, მივიღოთ დიდი რაოდენობით სითხეები და მოვიხმაროთ E ვიტამინი.**

არსებობს უამრავი ჰიგიენური საშუალება ქუთუთოების დასამუშავებლად, წამწამის ძირების გასასუფთავებლად, რადგან თვალის გარეგანი ნაწილების ჰიგიენაც ძალზედ მნიშვნელოვანია.

**მხედველობასთან დაკავშირებით მცირე ჩივილების შემთხვევაშიც კი დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს, რათა გამორიცხოთ გლაუკომა და სხვა ვერაგი დაავადებები, რომლებიც მხედველობის სრულ დაკარგვას განაპირობებენ.** ხშირად პაციენტებს ექიმთან მისვლა მაშინღა ახსენდებათ, როცა მკურნალობა ძალიან დაგვიანებულია. ისეც ხდება, რომ პაციენტს აქვს გულისრევის, ღებინების შეგრძნება, თავის საშინელი ტკივილები და ამის გამო იტარებენ სულ სხვა კვლევებს და ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ამ სიმპტომებს თვალშიდა წნევა განაპირობებს! სწორედ თვალის მაღალი წნევის ზემოქმედებით ხდება მხედველობის ნერვის ატროფია, რაც, ჯერჯერობით განუკურნებლად ითვლება. **პროფილაქტიკის მიზნით აუცილებელია ოფთალმოლოგთან ვიზიტი წელიწადში ერთხელ მაინც, მითუფრო, რომ სახელმწიფო პირველად კვლევებს აფინანსებს. გახსოვდეთ, თვალს მუდმივად სჭირდება ყურადღება და მოვლა!**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

***ელი ამაშუკელის* უნიკალური მალამოს შესახებ, რომელიც ხალხმა „ელის მალამოს“ სახელით გაიცნო, არაერთხელ გვისაუბრია. ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული აბსოლუტურად უსაფრთხო პრეპარატი უამრავი ადამიანის მშველელად და ერთადერთ იმედად დიდი ხანია, იქცა. მისი მოქმედების არეალი ფართოა — ართროზები, სინუსიტები, ფიბროზები, კისტოზები, ხერხემლისა და კისრის მალების თიაქარი... მალამო განსაკუთრებით ეფექტურია სპორტული ტრავმების მკურნალობის დროს. როგორც ქალბატონმა ელიმ გვითხრა, მისი პრეპარატი უცხოეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმაც გაიცნეს და „ელის მალამო“ საზღვარგარეთაც იგზავნება:**

# ელი ამაშუკელი:
# ეს მალამო ყველა ქართველის ოჯახში უნდა იყოს!



— **„ელის მალამო“,** რომელიც აბსოლუტურად ბუნებრივ კომპონენტებზეა დამზადებული, ძირითადად ძვალ-სახსროვან დაავადებებს უხდება. დაავადებებზე, რომელსაც ოფიციალური მედიცინა ვერ შველის, ჩვენმა მალამომ იმდენად გასაოცარი ზემოქმედება მოახდინა, მეც სტიმული მომეცა და საბოლოოდ მივედი იმ აზრამდე, რომ **ეს მალამო ყველა ქართველის ოჯახში უნდა იყოს!**

**— მაინც რა სასწაულის მოხდენა შეუძლია თქვენს მალამოს?**

— მაგალითად, არსებობს ასეთი უმძიმესი დაავადება — **კორქსართროზი,** რომელსაც ახასიათებს იმდენად მტანჯველი ტკივილები, რომ ადამიანი ვერ დადის. **კორქსართროზის** დროს მთლიანად იშლება ძვლის სტრუქტურა, ძვალსა და ძვალს შორის ქრება ხრტილი და როცა მოძრაობის პროცესში ძვალი პირდაპირ ეხება ძვალს, ამას თან სდევს საშინელი და გაუსაძლისი ტანჯვა. როცა ასეთი ავადმყოფი **„ელის მალამოს“** საშუალებით გარკვეული დროის განმავლობაში მტკივნეულ ადგილებს სისტემატურად დაიზელს, მალამო მიაღწევს ძვლამდე, გაპოხავს მას და ძვლის ძვალთან შეხება ისეთი მტანჯველი და მტკივნეული აღარ იქნება. მართალია, მალამოს ვერ ამოჰყავს ხრტილი, რაც ისედაც წარმოუდგენელია, მაგრამ პაციენტს თავისუფლად გადაადგილებისა და მოძრაობის საშუალებას აძლევს. მალამო თავისი შემადგენლობით არის ფიჭვოვან-ფისოვანი პროდუქტი, რაც გამოფიტულ ძვალს საშუალებას აძლევს, გამოიკვებოს და აღდგეს!




**— კიდევ რა ეფექტის მოხდენა შეუძლია „ელის მალამოს“?**

— ზემოხსენებული პრობლემა ადამიანს ნებისმიერ ადგილას შეიძლება გაუჩნდეს, სადაც სახსარია — ხერხემალში, წელში, მხარში. მალამო ყველგან თანაბრად ეფექტურია. ხერხემლის მალებს შორის, რომელიც დროთა განმავლობაში ცვდება, არცთუ იშვიათად მოჰყვება ხოლმე ნერვი, რაც იწვევს უმძიმეს ტკივილებს და ნერვის ანთებას. ჩვენი მალამო ამ პროცესსაც შველის. როგორც კი ფიჭვოვან-ფისოვანი მასით ხერხემლის მალები გამოიკვებება, ხერხემალი უფრო დრეკადი და მოქნილი ხდება. დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ **ძალიან ცნობილმა ექიმმა, რომელიც ბელგიაში მოღვაწეობს, თავის ნათესავებს დაურეკა და უთხრა — მიდით ვინმე ელი ამაშუკელთან, საქართველოდან ჩამოვიდა ჩემი ყოფილი პაციენტი, რომელიც უმძიმეს მდგომარეობაში იყო, მაგრამ „ელის მალამომ“ სრულიად განკურნა და გაოცებული ვარო!**

**— მოდით, კიდევ ერთხელ ჩამოვთვალოთ დაავადებები, რომლებზეც თქვენი მალამო ძალიან ეფექტურად მოქმედებს!**

— ეს დაავადებებია: **კორქსართროზი, გონართროზი** და სხვა **ნებისმიერი სახის ართროზი,** რომელიც არ უნდა იყოს მეოთხე ხარისხის. მეოთხე ხარისხის ართროზი ნიშნავს იმას, რომ სახსარი უკვე მთლიანად ამოვსებულია მარილებით და ჩემი მალამო იქამდე ვეღარ აღწევს. მალამო ასევე ძალიან ეფექტურია სინუსიტებისა და ნებისმიერი ანთების წინააღმდეგ ბრძოლაში. **მალამო ძალიან შველის მენისკსა და კუნთოვანი ქსოვილის ტრავმას.** მაგალითად, სპორტული ტრავმები ჩემთვის ძალიან ადვილი მოსარჩენია, რადგან ნებისმიერი ქრონიკული ძვალ-სახსროვანი დაავადებისგან განსხვავებით, სპორტული დაზიანება ერთჯერადია, ახალია და მისი მკურნალობა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. საერთოდ, **მალამო არის ანთების საწინააღმდეგო** და ძირითადად დამზადებულია ფიჭვის ფისის ბაზაზე, რომელსაც ემატება დინდგელი, სანთელი და უამრავი სხვა ბუნებრივი პროდუქტი, რომელსაც ბუნება ასე უხვად გვთავაზობს.

**— რამდენად ეგუება თქვენი მალამო ტრანსპორტირებას, აქვს თუ არა მას ვადა და მდგრადია თუ არა ტემპერატურული რეჟიმის ცვლილების მიმართ?**

— მალამოს ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ აქვს, არ სჭირდება მაცივარი, არ ფუჭდება წლობით და შეგვიძლია, შევინახოთ ნებისმიერ ადგილას. **თქვენი საშუალებით უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა შეიტყვეს ჩვენი მალამოს შესახებ და მინდა, გითხრათ, რომ „ელის მალამოს“ საკმაოდ დიდ პარტიას საზღვარგარეთაც ვაგზავნით.** საერთოდ, უნდა გითხართ, რომ ისევე, როგორც ყველა დაავადება, ამ ბოლო დროს ძვალ-სახსროვანი დაავადებებიც ძალიან გაახალგაზრდავებულია. მაგალითად, ჩემთვის აღმოჩენა იყო, როცა დავაფიქსირე, რომ 23 წლის ახალგაზრდებსაც კი კისრისა და ხერხემლის თიაქარი აქვთ და ეს პათოლოგია ფიქსირდება მასობრივად. ჩემთან რეკავენ ასეთი ახალგაზრდების მშობლები და ლამის ტირიან, რომ მათ შვილს, რომელსაც უკვე გაუკეთეს ოპერაცია, ისევ დაეწყო ტკივილები. მოკლედ, ხერხემლისა და კისრის თიაქარს ოფიციალური მედიცინა უპირისპირებს მხოლოდ ქირურგიულ ოპერაციას, არადა, ქირურგიული ჩარევა ამ პროცესს ვერ აჩერებს. **გაიგოს ყველამ, რომ ჩვენი მალამო კისრისა და ხერხემლის თიაქარს კურნავს და მტანჯველ პროცესს აჩერებს!** მალამო არის ანტისეპტიკი და ნებისმიერ ფიბროზულ და კისტოზურ ქსოვილს აპატარავებს. აი, სწორედ ამ პრინციპით ებრძვის ის ხერხემლისა და კისრის თიაქარს. ჩემი პაციენტების 80 პროცენტი სწორედ ხერხემლის თიაქრით არის დაავადებული. ეს არის ძალიან ვერაგი დაავადება, რომელმაც ფეხების ჩათრევაც იცის.

**— აქვს თუ არა „ელის მალამოს“ გვერდითი მოვლენები?**

— დიახ, აქვს! ძალიან იშვიათ შემთხვევაში ფუტკრის დინდგელი ნაზი კანისთვის აღმოჩნდა ალერგიული.

**— რამდენად ეფექტურია მალამო მოტეხილობის დროს?**

— მოტეხილობის დროს მალამოს უნიკალური შედეგები აქვს, უბრალოდ, პაციენტებს ღია მოტეხილობით არ ვიღებ, რადგან მიმაჩნია, რომ ეს უფრო ქირურგების პრეროგატივაა. **თუ ძვალი ნაღრძობია, ატკეჩილია, გადაბრუნებულია და დაბეჟილი, ასეთ დროს ჩვენი მალამო მისთვის მისწრებაა!**

**— სად და როდის უნდა მოგმართონ პაციენტებმა?**

— პაციენტებს ვიღებ ყოველდღე, **შაბათ-კვირის გარდა,** 12.00 საათიდან 19.00 საათამდე **თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №81,** ტელეფონი: **599 22 59 09**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# „ყველამ გაიგოს, რომ ჩვენი მალამო კისრისა და ხერხემლის თიაქარს კურნავს და მტანჯველ პროცესს აჩერებს!“


## ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!



**ქალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს.** ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე, გადაყრილ ფულზე. **აჩერებს ართრიტის, ართროზის, კორქსართროზისა და ოსტეოპოროზის** (და სხვა) **პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქრის დროს და უბრუნებს სახსარს ქმედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებსა და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს.**
**მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.**

**თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან**
**599-22-59-09**


## კვირგვინოსნები

**ჩიკა ოგი**
*საქართველოში მცხოვრები იაპონელი*



საქართველოში ყველაფერი შემიყვარდა, **„მარშრუტკის“ მძღოლის უხასიათო სახეც კი.** საქართველოსკენ მომავალ გზაზე გავიცანი ჩემი მომავალი ქმარი **მიშა აროზელიძე.** ის არგენტინიდან საქართველოში ბრუნდებოდა. **ახლა გურიაში ვცხოვრობთ და თავს ისე ვგრძნობ, როგორც იაპონიაში!**

„კვირის პალიტრა“

**ლეო ანთაძე**
*მსახიობი*



ათი წლის წინ პრაღაში ვიყავი სტუმრად და მასპინძელმა ჩეხეთის სახელგანთქმულ კურორტზე წამიყვანა. ქუჩაში რომ მივდიოდით, **სულ რუსული ლაპარაკი მესმოდა და მასპინძელმა მითხრა, ეს კურორტი ჩვენი აღარ არის, მთლიანად რუსებმა იყიდესო...** სადაც კარგ ადგილს ნახავენ, თუ ომით ვერ დაიპყრობენ, ფულით იგდებენ ხელში.

„კვირის პალიტრა“

**ლენუკა ყიფშიძე**
*მსახიობ ზურა ყიფშიძის ქალიშვილი*



**დედაჩემი** მართლა ვანგაა, **მამაჩემი** ხუმრობს ხოლმე ჩვენზე — **შავი და თეთრი ბაბაიაგები ხართ,** თქვენი ცოტა მეშინიაო.

„თბილისელები“

**მაია ჯაბუა**
*მომღერალი*



შეუცდომელი არავინ არის, ალბათ, მეც დამიშავებია რამე. **შეცდომაც მომსვლია, მაგრამ ისეთი გამოუსწორებელი არაფერი ჩამიდენია,** სინანულით ღამეები გამეთენებინა.

„სარკე“

**ანჯელინა ჯოლი**
*ჰოლივუდის ვარსკვლავი*



**ძალიან ბევრი რამ გამოვიარე და მაინც ვცდილობ, იმედით შევხედო ყველაფერს.**

„სარკე“

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

## სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებში, „აჭარის რევოლუციის“ პერიპეტიების განხილვის შემდეგ, არანაკლებ საინტერესო ეტაპის — მის მიერ გატარებული რეფორმების დეტალურ მიმოხილვაზე გადადის! და, რაღა თქმა უნდა, წიგნის ამ ქვეთავს — **„რეფორმების დრო“** — წინამორბედის — ედუარდ შევარდნაძის განქიქებით იწყებს, ასე ვთქვათ, იგრძენით განსხვავება ბნელსა და უკუნსა და სინათლესა და გაბრწყინებას შორისო:

***„ჩვენ ხელისუფლებაში იმიტომ მოვედით, რომ ქვეყანა შეგვეცვალა. ამის გაკეთება მხოლოდ თანამოაზრეების გუნდს შეეძლო, რომელთაც საერთო წარმოდგენები ჰქონდათ დასაშვებსა და დაუშვებელზე.***

***ყველას თვალწინ შევარდნაძის მაგალითი ჰქონდა — კორუფციისა და ნათლიმამობის კვინტესენცია. ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა მის ნათესავებს, ძველ ნაცნობებსა და თანამზრახველებს ჰქონდათ დაკავებული“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 85).*

არადა, სააკაშვილმა ზუსტად ეს შევარდნაძის კლანურობა გაიხადა თავისი მმართველობის კვინტესენციად და სწორედ ამის საფუძველშივე უარსაყოფად, შევარდნაძის რეჟიმის კორუმპირებულობისა და კლანურობის ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გაკვრისთანავე, შემდეგსავე აბზაცში აშკარად თავის მართლებასავით ასე წერს:

***„ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩემს ოჯახს ბიზნესთან არავითარი შეხება არ ჰქონოდა. პრეზიდენტობის წლებში ნათესავების უმრავლესობა აღარ მელაპარაკებოდა. ჩვენ ოჯახური და ოჯახის ახლომახლო დრამები გვქონდა, ვინაიდან ზოგიერთი ნათესავი თვლიდა, რომ მე ვალდებული ვიყავი, დავხმარებოდი. სრულიად საპირისპირო გამოვიდა“*** *(იქვე, გვ. 85).*

რა თქმა უნდა, სააკაშვილი ნაწილობრივ სიმართლეს ამბობს — მას ყველა ნათესავი არ გაუბიზნესმენებია და არაერთი მათგანი მართლაც მოიმდურა, მაგრამ, რაც შეეხება მისი ოჯახის წევრებს, აი, აქ კი ულმერთოდ ცრუობს!

მემუარისტი თვითონვე იხსენებს, რომ, მაგალითად, მამამისს **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ** არ დახმარებია:

***„პრაქტიკულად, ყველა სამედიცინო დაწესებულება საქართველოში პრივატიზებული იყო, ბალნეოლოგიური ცენტრის გარდა, რომელსაც მამაჩემი ხელმძღვანელობდა და, ფაქტობრივად, მკვდრეთით აღადგინა.*** *ბევრ შემთხვევაში პრივატიზაცია ხელმძღვანელობის ან შრომითი კოლექტივების სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მე კი იმის დაშვება არ შემეძლო, რომ მამაჩემს რაიმე პრივატიზაცია გაეკეთებინა.* ***ყველა მკაცრად გავაფრთხილე, რომ ამ დაწესებულების პრივატიზაცია არ მოეხდინათ. ბუნებრივია, მამაჩემი უკმაყოფილო იყო“*** *(იქვე, გვ. 85).*

ახლა, მოდით, ვნახოთ ერთი იმდროინდელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: ***„შპს ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲚᲜᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲡᲞᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ“ რეგისტრირებულია 2005 წლის 15 ივლისს იურიდიულ მისამართზე — ქალაქ თბილისის ძველი თბილისის რაიონში, გორგასლის ქუჩა ნომერ 9-ში. გენერალური დირექტორია ნიკოლოზ სააკაშვილი. შპს-ში სახელმწიფოს წილი 100 პროცენტია.***

თითქოსდა, რას ვერჩით სააკაშვილს, ბალნეოლოგიური მფლობელი სახელმწიფოა, მამამისი კი — მხოლოდ მისი ხელმძღვანელი, თუმცა, საჯარო რეესტრი სხვა დოკუმენტსაც ინახავს. მის თანახმად კი 2012 წლის 12 იანვარს იმავე იურიდიულ მისამართზე — ქალაქ თბილისის ძველი თბილისის რაიონში, **გორგასლის ქუჩა ნომერ 9-ში** რეგისტრირებულია **„შპს ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲐᲚᲜᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲡᲞᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘ“**, რომლის დირექტორი არა **ნიკოლოზ სააკაშვილი**, არამედ ვინმე **ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲑᲐᲮᲐᲠᲘᲐ**, ხოლო მისი იურიდიული ელექტრონული მისამართი თავად მეტყველებს, თუ ვის ეკუთვნის იგი: **saakashvilicenter@gmail.com** ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტებში კი წერია, რომ **„ფონდის“ დამფუძნებელია ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ** (დაბადებული 24.06.1944 წ. თბილისში). აი, ასე ცრუობს მემუარისტი!

ახლა ვნახოთ, რას წერს თავის იურისტ ძმაზე:

***„ჩემს ძმას იურიდიული ფირმა ჰქონდა. ერთხელაც გავიგე, რომ მან პროცესი მოიგო უზენაეს სასამართლოში. მომენტალურად გამოვიძახე შინაგან საქმეთა მინისტრი, პროკურორი და მათი თანდასწრებით დავემუქრე ძმას, რომ ძალიან დიდი უსიამოვნებები ექნებოდა, თუკი დაუყოვნებლივ არ დახურავდა ფირმას. ის იძულებული იყო, ასე მოქცეულიყო“*** *(იქვე, გვ. 86).*

ჰერ, ეს შინაგან საქმეთა მინისტრისა და პროკურორის თანდასწრებით ძმისთვის „საქმეების გარჩევა“ რა არის და მეორეც, თუ სააკაშვილის ძმამ ერთი ფირმა დახურა, რა, მეორეს ვერ გახსნიდა?! არადა, იმ წლებში მთელი საქართველო სწორედ იმაზე ლაპარაკობდა, რომ სწორედ **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘ ᲫᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ** კურირებდა ეგრეთ წოდებულ „სასამართლო რეფორმას“ და მოსამართლეების გადამზადებას თუ ამგვარ ამბებში მრავალმილიონიან უცხოურ გრანტებს „ღუნავდა!“

შემდეგ სააკაშვილი თავისი იმჟამინდელი მეუღლის **ᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲠᲣᲚᲝᲕᲡᲘᲡᲐ** და მისი ჰოლანდიელი დედ-მამის უმწიკვლობის მტკიცებაზე გადადის:

***„კიდევ კარგი, რომ ცოლის მხრიდან მაინც არ მყავდა ნათესავები საქართველოში. თუმცა, ამასაც არ ჩაუვლია კურიოზის გარეშე. თბილისში, პრაქტიკულად, საზოგადოებრივი ტრანსპორტი აღარ დარჩა. არც ხაზინაში იყო ფული, ამიტომ მერიამ ჰოლანდიაში შეიძინა ძველი ავტობუსები ძალიან იაფად. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი მწყობრიდან გამოვიდა, ჩვენ ვინახეთ კიდეც, რომ შევისყიდეთ ისინი, მაგრამ იმ მომენტისათვის ეს მართლაც კარგი იყო, ვინაიდან დედაქალაქში, როგორც იქნა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი გამოჩნდა. და, ბუნებრივია, ყველას ეგონა, რომ რადგან ავტობუსები ჰოლანდიურია, ისინი ჩემმა ჰოლანდიელმა ცოლმა შემოიყვანა. მათ „სანდრას ავტობუსებს“ ეძახდნენ. არავის შეეძლო იმის წარმოდგენა, რომ სხვანაირადაც ხდება“*** *(იქვე, გვ. 86).*

მოკლედ, სააკაშვილს სურს, დაგვარწმუნოს, რომ სანდრას მამის — ამ **ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲙᲚᲔᲠᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲛᲐ** სიძის პრეზიდენტობით არაფერი ისარგებლა და ფინანსური თვალსაზრისით არაფრით გამორჩეული და იგი მილიონერებად პრეზიდენტ სიძეს არ გადაუქცევია და სწორედ სააკაშვილის ზეობისას არ გაკეთებულან „შავი დედალივით!“

მიხეილ სააკაშვილი იმასაც კი წერს, თითქოს საგანგებოდ ადევნებდა თვალს თავის ახლობლებსა და ნაცნობებს — ემანდ, ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში რამე წარმატებას არ მიაღწიონო:

***„თვალყურს ვადევნებდი, რომ არავის — ჩემს თანაკლასელს, თანაკურსელს, ბავშვობის მეგობარს დაუმსახურებლად დიდი წარმატებისთვის არ მიეღწია. იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ მათ არ უნდა გამოეყენებინათ ჩემთან ნაცნობობა საკუთარი გამორჩენისთვის. ნათესავი, რომელმაც წარმატებას ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში მიაღწია, უკვე კორუფციაა. ყველას ვაფრთხილებდი, რომ ამის გამო დაისჯებოდნენ“*** *(იქვე, გვ. 86).*

არადა, სააკაშვილმა სწორედ თავის თანაკურსელს, აშკარად საშუალოზე დაბალი გონებრივი შესაძლებლობების და გაქნილობის **ᲚᲔᲕᲐᲜ ᲕᲐᲠᲨᲐᲚᲝᲛᲘᲫᲔᲡ** ჩააბარა ასლან აბაშიძის დამხობის შემდეგ აჭარა და ის „აჭარის ფაშა“ გახადა, მისი კლანი კი — „აჭარის ფეოდალები!“

მეტი დამაჯერებლობისთვის, რომ თავისი უმწიკვლო პრეზიდენტობისას სააკაშვილი, როგორც იტყვიან, სისხლს უშრობდა თავის ნათესავებს, მემუარისტი ასეთ შემთხვევასაც იხსენებს:

***„ერთხელ ჩემმა ძმამ დაიჩივლა, რომ სხვადასხვა მინისტრს ურეკავს, ისინი კი ყურმილს არ იღებენ. მეუბნება: „რა ხდება, მათ ხომ დიდი ხანია, ვიცნობ და არცერთი მათგანი ყურმილს არ იღებს. გამიბრაზდი“. მე კი ვეკითხები: „შენ რას წარმოადგენ, რომ ისინი შეგხვდნენ?“, „ძველი ნაცნობი ვარ“, „და მერე რა? ისინი მინისტრები არიან, ქვეყანას ემსახურებიან. შენ რა შუაში ხარ? ახლა რატომ მოგინდა მათთან რეკვა?“*** *(იქვე, გვ. 86).*

სააკაშვილი საგანგებოდ არაფერს ამბობს არც დედამისზე — **ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲖᲔ** და არც ბიძამისზე **ᲗᲔᲛᲣᲠ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲖᲔ!** არადა, გიული ალასანიამ გაშალა თუ გაშალა ფრთები შვილის პრეზიდენტობისას!

დიახ, არაფრით გამორჩეული მეცნიერ-მუშაკი **ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐ** აქტიური ბიზნესმენი 2004 წლის ზაფხულიდან გახდა და ქვეყნის უმაღლესი განათლების სფეროს აკონტროლებდა!

პრეზიდენტის დედამ სწორედ 2004 წლის ზაფხულში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად დააფუძნა **ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲡᲙᲝᲚᲐ**, რომელიც მალე დამოუკიდებელ უნივერსიტეტად — **„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲐᲓ“** გადაკეთდა!

მეტიც, ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ აშკარად რეპრესიების შიშით უნივერსიტეტის წილი სიმბოლურ ფასად — **200 ლარად** სწორედ **ᲒᲘᲣᲚᲘ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡᲐ** და მის მეგობარსა და ბიზნესპარტნიორ **ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲡᲐᲜᲐᲫᲔᲡ** დაუთმო!

2005 წელს კი გიული ალასანიამ სახელმწიფოსგან პირდაპირი წესით **2106 კვ.მ. ᲤᲐᲠᲗᲘᲡ** შენობა მიიღო მის შესაბამის მიწის ნაკვეთთან ერთად, ხოლო საიჯარო ქირად მხოლოდ 250 დოლარის გადახდა დაეკისრა! **გაგანია აგვისტოს ომის დღეებში გიული ალასანიამ თავისი უნივერსიტეტისათვის „გეპეის“ მთელი კორპუსი 15827 კვ.მ. გადაიფორმა!**

ტექნიკური უნივერსიტეტის ყოფილ კორპუსს, რომელშიც გიული ალასანიას უნივერსიტეტი იყო განთავსებული, მისამართიც კი შეუცვალეს და ნაცვლად **„კოსტავას 77“**-ისა, გახდა **„კოსტავას 77ა“!**




## „უმწიკვლო“ სააკაშვილი და კორუფციის ჭაობში ყელამდე ჩაფლული მისი ოჯახური მაფია!

ანუ პრეზიდენტის დედამ გიული ალასანიამ საკუთარი სტატუსი და პრივილეგია სახელმწიფო ქონების მისათვისებლად ასე მრავალმხრივ სარფიანად გამოიყენა!

რაც შეეხება **ᲗᲔᲛᲣᲠ ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲡ** — სააკაშვილის ბიძამ ისეთი მაფიოზური ბიზნესები დაატრიალა, რომ **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐᲪ** კი თქვა — **ჩემი შინაგან საქმეთა მინისტრობისას მის დაპატიმრებას ვაპირებდი, მაგრამ სააკაშვილმა არ დამანებაო!**

აი, ასეთი „არაკორუმპირებული და მთის წყაროსავით ანკარა“ იყო პრეზიდენტი სააკაშვილი, რომელსაც დღესაც მხოლოდ ერთი საქმეზე — პრეზიდენტის ფონდიდან **9 მილიონი ლარის** პირადი მიზნებისთვის გამოყენებისთვის ასამართლებენ!

***ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ***

***ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ***

## „თუ გვინდა, წნევა ვაკონტროლოთ, კალიუმი ყოველთვის ნორმაში უნდა გვქონდეს!“






### კახა საბახტარიშვილი:

# ადამიანებს, რომლებიც ძილში ხშირად ხვრინავენ, ყოველთვის მაღალი არტერიული წნევა აქვთ!

***17 მაისს მსოფლიოში არტერიული ჰიპერტენზიის, ანუ მაღალი არტერიული წნევის წინააღმდეგ ბრძოლის დღე აღნიშნა და ითქვა, რომ მაისი ეს არის „გაზომვების თვე“, როცა წნევა ხშირად უნდა გავიზომოთ და გავიკონტროლოთ. ცნობილი პრეპარატის „გულის ელექსირის“ ავტორი, ექიმი კახა საბახტარიშვილი ჰიპერტენზიის ნაირსახეობებს აღწერს და გვაფრთხილებს, რომ მაღალი არტერიული წნევა, როგორც წესი, პირველ რიგში, აზიანებს: თავის ტვინს, თირკმლებს, თვალს, სისხლძარღვებსა და გულს:***

— გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ **არც ომებს, არც სტიქიურ უბედურებებსა და არც სხვადასხვა ეპიდემიებსა და პანდემიებს ოცდამეერთე საუკუნეში იმდენი სიცოცხლე არ მიაქვს, რამდენიც არტერიულ ჰიპერტენზიას და მისგან გამოწვეულ სხვადასხვა გართულებებს** — ინფარქტს, ინსულტს, თირკმლის უკმარისობასა და ა.შ. მაგალითად, თუნდაც რუსეთში ყოველწლიურად მაღალი არტერიული წნევით **1 მილიონზე მეტი ადამიანი** იღუპება. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებელია.

**— ბატონო კახა, რატომ არის რუსეთში ეს მაჩვენებელი ასეთი მაღალი?**

— ეს პირდაპირ კავშირშია სპირტიანი სასმელების ჭარბ მოხმარებასთან!

**— საქართველოში როგორია ეს სტატისტიკა?**

— საკმაოდ მაღალია, მაგრამ აქაური სტატისტიკა ძირითადად უკავშირდება ჭარბწონიანობასა და იმ სტრესულ გარემოს, რომელშიც ოცდაათი წელიწადია, ვცხოვრობთ.

**— რამდენი უნდა იყოს ადამიანის ნორმალური წნევის მაჩვენებელი?**

— გავრცელებულია მითი, თითქოს წლების მატებასთან ერთად წნევაც მაღლა იწევს და ეს ნორმალურია. ასე, მაგალითად, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მიჩნეული იყო, რომ ორმოცდაათ წელს მიღწეული ადამიანისთვის წნევის ზედა ზღვარი — **150 ერთეული** დასაშვები იყო, სამოცი წლის ადამიანისთვის — **160 ერთეული** და ა.შ. რეალურად

**ადამიანის წნევა სულ უნდა იყოს ერთ ფარგლებში – 120/80-ზე. თუ ეს მაჩვენებელი 130/90-ზე ნიშნულს გადასცდება, ეს უკვე ჰიპერტონიული დაავადების დასაწყისია და აუცილებელია სასწრაფოდ ზომების მიღება.**

გავრცელებულია ასეთი მითიც — თითქოს მაღალ წნევას ადამიანი თავის ტკივილით შეიგრძნობს! სინამდვილეში ჰიპერტონიულ დაავადებას იმიტომ ეძახიან „ჩუმ მკვლელს“, რომ მას დასაწყისში არავითარი გარეგნული გამოვლინება არ ახასიათებს და დიდი ხნის განმავლობაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. **თავის ტკივილს მაღალი წნევა კი არ იწვევს, პირიქით, თავის ტკივილი იწვევს მაღალ წნევას. საერთოდ, ნებისმიერი სახის ძლიერ ტკივილს ყოველთვის თან ახლავს არტერიული წნევის მატება.**

**— რამდენი სახის არტერიული ჰიპერტენზია არსებობს?**

— არტერიული ჰიპერტენზია ორგვარია — პირველადი, ანუ ესენციური და მეორადი. პირველადია ის **არტერიული ჰიპერტენზია,** რომელიც რაიმე გამოკვეთილ მიზეზთან არ არის დაკავშირებული. მისი წარმოშობის მოტივი უცნობია. რაც შეეხება მეორად ჰიპერტენზიას, მაღალი არტერიული წნევა სხვა დამოუკიდებელი დაავადების მთავარი ნიშანი და სიმპტომია. ის შეიძლება განვითარდეს ყველა იმ ორგანოს პათოლოგიის დროს, რომლებიც არტერიული წნევის რეგულაციაში მონაწილეობენ. მეორად ჰიპერტენზიებს შორის ყველაზე უფრო სახიფათოა თირკმლისმიერი, ანუ **რენალური ჰიპერტენზია.** მარტივად რომ ვთქვათ, ეს ის შემთხვევაა, როცა მაღალი წნევა დაკავშირებულია თირკმლის პათოლოგიასთან. ასეთი წნევის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, როგორც წესი, თირკმლის არტერიის შევიწროებაა, სადაც ჩნდება ათეროსკლეროზული ფოლაქი და თირკმელს მცირე რაოდენობის სისხლი მიეწოდება. **ასეთ დროს თირკმელი „ტყუვდება“, „ფიქრობს“, რომ ორგანიზმს დაბალი წნევა აქვს და ამიტომ მთელ რიგ ნივთიერებებს გამოყოფს, რათა წნევა მაღლა ასწიოს.**



„ყოველი ერთი კილოგრამი წონის დაკლება წნევას ერთი ერთეულით დაბლა სწევს!“




როდესაც წნევის მაჩვენებლები 180 ერთეულზე მაღალია, ადამიანმა, პირველ რიგში, კარდიოლოგს კი არა ნეფროლოგს, ანუ თირკმლის სპეციალისტს უნდა მიაკითხოს, რათა თირკმლის პათოლოგია გამოირიცხოს! **ასეთ დროს წნევის დამწევი პრეპარატები უმრავლეს შემთხვევაში არაეფექტურია.**

„როდესაც წნევის მაჩვენებლები 180 ერთეულზე მაღალია, ადამიანმა, პირველ რიგში, კარდიოლოგს კი არა, ნეფროლოგს, ანუ თირკმლის სპეციალისტს უნდა მიაკითხოს!“

ბოლო დროის მსოფლიო სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 30-35 წლის ახალგაზრდებში უჩვეულოდ იმატა მაღალი არტერიული წნევის (200, 220) მატარებელთა რიცხვმა. ასეთი ახალგაზრდები წნევის დამწევ საშუალებებს, პრაქტიკულად, არ ემორჩილებიან. ასეთებს ვურჩევ, რომ დაუყოვნებლივ მიმართონ ნეფროლოგს. საქმე ის გახლავთ, რომ თირკმელზედა ჯირკვალი გამოიმუშავებს სტრეს-ჰორმონს **კორტიზოლს.** როდესაც ჩვენ ვინერვიულებთ, კორტიზოლი სისხლში გამოიტყორცნება და არტერიული წნევა მატულობს. ეს ხანმოკლე პროცესია და ორგანიზმი საწყის მდგომარეობას მალევე უბრუნდება, მაგრამ, თუ თირკმელზედა ჯირკვალში კეთილთვისებიანი სიმსივნე — **თეოქრომოციტომა** განვითარდა, სტრესის ჰორმონი უკონტროლოდ გამოიყოფა, რაც განაპირობებს მუდმივ ჰიპერტონიას და ჰიპერტონიულ კრიზებს, როცა წნევის მაჩვენებლები 200 და 250 ერთეულსაც კი აღწევს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ექოსკოპია და თეოქრომოციტომის დადგენის შემთხვევაში ოპერაციული გზით მისი მოშორება. მყოლია პაციენტები, რომლებთანაც თეოქრომოციტომის არსებობა ვივარაუდე, რაც დადასტურდა და წარმატებული ოპერაციის შემდეგ ისინი სრულად განიკურნენ. დავიმახსოვროთ: **ადამიანებს, რომლებიც ძილში ხშირად ხვრინავენ, ყოველთვის მაღალი არტერიული წნევა აქვთ!**

**— რა არის ამის მიზეზი?**

— როცა ადამიანი ხვრინავს, სუნთქვის ხანმოკლე შეჩერებას აქვს ადგილი. ასეთ დროს თავის ტვინს ჟანგბადი არ მიეწოდება. ამის საპასუხოდ მიმდინარეობს ავტონომიური რეაქცია — იზრდება სისხლის ნაკადი, რათა თავის ტვინს ჟანგბადი არ მოაკლდეს, ეს კი იწვევს არტერიული წნევის მატებას! ყველაზე ცუდი ის არის, რომ ორგანიზმი ამ ისტორიას „იმახსოვრებს“ და მთელი დღის განმავლობაში გენერირებს მაღალ არტერიულ წნევას. ასეთ დროს გამოსავალია არა წნევის დამწევი პრეპარატების მიღება, არამედ ხვრინვის პრობლემის გადაჭრა, რაც სპეციალური აპარატის — **„სიპოპის“** საშუალებით ხდება. მაღალი არტერიული წნევა, როგორც წესი, პირველ რიგში, აზიანებს თავის ტვინს, თირკმლებს, თვალს, სისხლძარღვებსა და გულს; იწვევს იშემიურ ინსულტს, სიბრმავეს, თირკმლის შეჭმუხვნასა და თირკმლის უკმარისობას. **თუ ამას დაერთო შაქრიანი დიაბეტი, მდგომარეობა კატასტროფული ხდება.**

**— რა არის პორტული ჰიპერტენზია?**

— პორტული ჰიპერტენზია დაკავშირებულია ღვიძლის პათოლოგიასთან. ღვიძლში შედის კარის ვენა, რომელიც მას სისხლს აწვდის გასაფილტრად. თუ ღვიძლში ციროზული პროცესია დაწყებული, კარის ვენაში სისხლი გუბდება, წნევა მატულობს როგორც ადგილობრივად, ასევე კუჭისა და საყლაპავის ვენებში, რაც შესაძლოა, მათი გახეთქვით და სისხლდენით დასრულდეს. გახსოვდეთ — ეს ყველაფერი სასიკვდილო საფრთხესთან არის დაკავშირებული, თუმცა, არანაკლებ საგანგაშოა თვალშიგა წნევის მატებაც, რაც ძალიან ხშირია გლაუკომის დროს. ამიტომაა, რომ **არანამკურნალები გლაუკომა ხშირად სიბრმავით მთავრდება.**

ძალიან სახიფათოა **ინტრაკრანიალური ჰიპერტენზიაც,** რომელიც თავის ტვინის ტრავმის ან სიმსივნის შედეგად შეიძლება იყოს გამოწვეული. ასეთი შემთხვევები ხშირად ინსულტს იწვევს.




**— რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა წნევა დავირეგულიროთ?**

— გვახსოვდეს — **ექიმის მიერ დანიშნული და შერჩეული წნევის მარეგულირებელი საშუალებები არა შიგადაშიგ, არამედ მუდმივაად უნდა მივიღოთ!** ყოველი ერთი კილოგრამი წონის დაკლება წნევას ერთი ერთეულით დაბლა სწევს! ანუ ჭარბწონიანებმა თუ 10 კილოგრამი დაიკლეით, წნევა 10 ერთეულით დაბალი გექნებათ! დაივიწყეთ მარილი, მასში შედის ნატრიუმი, რომელიც ორგანიზმში წყალს აკავებს და ხელს უწყობს არტერიული წნევის ზრდას. **მივეჩვიოთ უმარილო კერძების მიღებას, რადგან საკვები პროდუქტები, როგორც წესი, თავად შეიცავენ ფარულ მარილებს, რომლებიც სრულიად საკმარისია ორგანიზმის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.** წესად შემოვიღოთ, კვირაში თუნდაც ხუთჯერ, ოცდაათი წუთის განმავლობაში, სწრაფი ნაბიჯებით სიარული (წამში ორი ნაბიჯი). მექანიკური დატვირთვისას გამოიყოფა ნივთიერებები, რომლებიც სისხლძარღვებს აფართოებენ, რათა კუნთებთან ბევრი სისხლი მივიდეს. **ვისაც წნევა აწუხებს, აუცილებლად მიიღოს ნედლი ჭარხალი ან მისი წვენი, დღეში დაახლოებით 100 გრამი.** საქმე ის გახლავთ, რომ ჭარხალი შეიცავს აზოტის ოქსიდს, რომელიც სისხლძარღვების გაფართოებასა და წნევის დაწევას უწყობს ხელს! ცნობისათვის, **სწორედ აზოტის ოქსიდი განაპირობებს „ვიაგრას“ ეფექტს.**

**— ყავა წნევას მაღლა სწევს?**

— ეს მითია! ყავაში შემავალი კოფეინი ძლიერი შარდმდენია, რომელიც ყავის დალევიდან 15-20 წუთის შემდეგ თავის შედეგს ავლენს. კოფეინი ბლოკავს ანტიდიურეზიულ ჰორმონს, რომელიც ორგანიზმიდან წყლის გამოსვლას უშლის ხელს. ამის შედეგად, **როცა ყავას დავლევთ, დაახლოებით ნახევარ საათში წნევა დაბლა დაიწევს, მაგრამ პირიქით მოხდება, თუ დავლევთ შავ ჩაის.**

წნევიანი ადამიანებისთვის არაჩვეულებრივია ნიახური, წიწმატი და კამა. სამივე ბოსტნეული გამხმარი უნდა იყოს, რადგან მინერალების კონცენტრაცია ასეთ მდგომარეობაში ყველაზე მაღალია. **100 გრამი ნიახური, წიწმატი და კამა დიდი ოდენობით კალიუმს შეიცავს, რომელიც არტერიული წნევის შესანიშნავი მარეგულირებელია.** აქედან დასკვნა — თუ გვინდა, რომ წნევა ვაკონტროლოთ, კალიუმი ყოველთვის ნორმაში უნდა გვქონდეს!

***— როდის სჯობს წნევის დამარეგულირებელი პრეპარატის დალევა — დილით თუ საღამოს?***

— რატომღაც ჩემი კოლეგების უმრავლესობა პაციენტებს წნევის მარეგულირებლების მიღებას დილით, კერძოდ, 11.00-12.00 საათზე ურჩევს, რაც პირადად არასწორად მიმაჩნია! საქმე ის გახლავთ, რომ არტერიული წნევა, ორგანიზმის ბიორიტმიდან გამომდინარე, 23.00 საათიდან დაწევას იწყებს. 01.00 საათიდან 05.00 საათამდე არტერიული წნევა ყველაზე დაბალია, ხოლო 06.00 საათიდან 08.00 საათამდე შუალედში — ყველაზე მაღალი. შესაბამისად, ინფარქტებისა და ინსულტების უმრავლესობა სწორედ ამ დროს ხდება. დილით და დღის განმავლობაში წნევა შედარებით სტაბილურია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალზე ეფექტურია წნევის მარეგულირებელი პრეპარატის მიღება 22-დან 23.00 საათამდე პერიოდში. 6-7 საათის შემდეგ წამალი მაქსიმალურად ამჟღავნებს თავის შესაძლებლობებს, რაც ზუსტად ემთხვევა იმ დროს, როცა არტერიული წნევა ყველაზე მაღალია.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



# ემუქრება თუ არა მსოფლიოს „მაიმუნის ყვავილის“ პანდემია

***„მაიმუნის ყვავილი“ იშვიათი ვირუსული დაავადებაა, რომელიც, ძირითადად, გვხვდება ცენტრალური და დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში.***

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 25 მაისის მონაცემებით, 17 ქვეყანაში „მაიმუნის ყვავილის“ 131 შემთხვევაა რეგისტრირებული. ყველაზე მეტი აღრიცხულია ესპანეთში (40), პორტუგალიასა (37) და დიდ ბრიტანეთში (20). ეს ვირუსი, ძირითადად, გადადის ცხოველიდან ცხოველზე, შეიძლება გადაედოს ადამიანს მღრღნელებისგან ან დაავადებული ადამიანისგან.



## „მაიმუნის ყვავილის“ სიმპტომები

მაიმუნის ყვავილის **საინკუბაციო პერიოდი 7-დან 14 დღემდეა,** ზოგჯერ — **5-დან 21 დღემდეც.** მისი სიმპტომები ჰგავს ჩუტყვავილას სიმპტომებს: **ციებ-ცხელება, თავისა და კუნთების ტკივილი, ლიმფური კვანძების გადიდება.** შემდეგ სხეულზე ჩნდება **გამონაყარი**, რომელიც შეიძლება გარდაიქმნეს **წყლულოვან ბუშტუკებად.** სრულ გამოჯანმრთელებას ზოგჯერ 2-3 კვირა სჭირდება.

ყვავილი უარყოფითად მოქმედებს იმუნიტეტზე. შედეგად ორგანიზმი ვეღარ ებრძვის სხვა ინფექციებს. ლეტალური შედეგი იშვიათია, მაგრამ — შესაძლებელი. „მაიმუნის ყვავილის“ გართულებებია: **ბრონქოპნევმონია, სეფსისი, ენცეფალიტი და თვალის რქოვანას ინფექციები.**

## არის თუ არა ვაქცინა

ვაქცინა არა არის, მაგრამ ამ დაავადების წინააღმდეგ ძალიან ეფექტიანია ჩუტყვავილას ვაქცინა. და ვინც ჩუტყვავილაზეა აცრილი, გაცილებით იოლად გადააქვს „მაიმუნის ყვავილი“.



## როგორ გავიგოთ, ვართ თუ არა აცრილი ჩუტყვავილაზე

საბჭოთა კავშირში ჩუტყვავილას საწინააღმდეგო აცრები 1980 წლამდე ტარდებოდა, სანამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ამ დაავადებაზე კაცობრიობის გამარჯვება არ გამოაცხადა. ამის შემდეგ აცრები შეწყდა. საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში ვაქცინაცია ბავშვობის ასაკში ტარდებოდა. მარცხენა მკლავზე კეთდებოდა ორი აცრა — ჩუტყვავილისა და ტუბერკულოზის („ბეცეჟე“) საწინააღმდეგო. შედეგად მკლავზე რჩებოდა 2-5 მილიმეტრის ნაწიბურები.

# ნიგოზი – ტვინის აქტიური დამხმარე



ნიგოზი დიდი რაოდენობით შეიცავს კალიუმს, მაგნიუმს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას, სელენს, $B_1$, $B_2$, PP და E ვიტამინებს, ცხიმოვან მჟავებს, მათ შორის ომეგა-3-ს. სწორედ ამიტომ მოხვდა ნიგოზი ამ პროდუქტების ჩამონათვალში, რომლებიც ხელს უწყობენ ტვინის აქტიურად მუშაობას. ნიგოზი კვირაში 2-3-ჯერ უნდა მივირთვათ მცირე ულუფებით (35-40 გრამი), რეკომენდებული არ არის ნიგვზის მიღება რძის პროდუქტებსა და ფაფებთან. ზოგიერთი სპეციალისტი მიუთითებს, რომ **ნიგვზის რეგულარულად მიღება ამცირებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკს, აგრეთვე, ქოლესტერინის შემცველობას სისხლში. ამასთანავე, ნიგვზის დიდი რაოდენობით მიღება იწვევს ალერგიას.**

***ნიგოზს დიდი კვებითი ღირებულება აქვს ცხიმიანობის (45-60 პროცენტი) გამო და მაღალკალორიულ პროდუქტად ითვლება (550-650 კალორია 100 გრამში). ამასთანავე, აქვს დაბალი ჰიპოგლიკემიური ინდექსი და ამიტომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის რეკომენდებულია მისი ჩართვა დიეტაში.***





# ჩვევები, რომლებიც იმუნიტეტს ანადგურებს

***მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, გადაუდებელი მედიცინის ექიმმა რიტა სალუჯა-შარმამ დაასახელა 5 ყოველდღიური ჩვევა, რომლებიც იმუნურ სისტემას ანადგურებს.***

ერთ-ერთი ასეთი ჩვევაა **ქრონიკული გამოუძინებლობა,** რომელიც მნიშვნელოვნად ასუსტებს იმუნიტეტს. ექიმის თქმით, ძილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმუნური სისტემის ოპტიმალური ფუნქციობისთვის, ამიტომ **სასიცოცხლოდ აუცილებელია, ადამიანმა ღამით 7-8 საათი იძინოს.**

ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარზე დაავადებებისა და ინფექციების მიმართ გავლენას ახდენს, აგრეთვე, **ძლიერი სტრესი.** ნერვული დაძაბულობა სისხლში კორტიზონის დონეს ამაღლებს, რაც დროთა განმავლობაში ანთებით პროცესებსა და იმუნური სისტემის გამოფიტვას იწვევს.

ექიმის თქმით, იმუნიტეტს ანადგურებს, აგრეთვე, **თამბაქოს მოწევა და ჭარბი რაოდენობის ალკოჰოლის** მიღება, ეს ორი მავნე ჩვევა აქვეითებს იმუნიტეტს და ზრდის ონკოლოგიური დაავადებების გაჩენის რისკს.

სალუჯა-შარმას აზრით, იმუნიტეტზე ნეგატიურად მოქმედებს **ნაკლებად მოძრავი ცხოვრება,** რაც ქრონიკული დაავადებების გაჩენას იწვევს. სპეციალისტის რეკომენდაციით, საჭიროა დღეში 40-60 წუთით ფიზიკური დატვირთვა და ჯანსაღი კვება.



# ლიმონი თირკმლებიდან ქვების მოცილებასა და წნევის რეგულირებაში დაგეხმარებათ

***დიეტოლოგმა, მედიცინის ექსპერტმა, ჯანმრთელი კვების მოხმარების შესახებ რამდენიმე წიგნის ავტორმა ლორენ მანაკერმა ლიმონის მოხმარებით გამოწვეული ახალი ეფექტები დაასახელა: ეს ციტრუსი ადამიანს ბევრ რამესთან ერთად, დიდად ეხმარება თირკმლებში ქვების დაშლასა და სისხლის წნევის რეგულირებაში.***

ექსპერტის თქმით, ლიმონის მოხმარება ადამიანს იმუნურ სისტემას უძლიერებს.

კვლევების შედეგების თანახმად, **წყალში გაზავებული ნახევარი ჭიქა ლიმონის წვენის კონცენტრატის მიღება შარდში ზრდის ციტრატის შემცველობას და ამცირებს ქვების წარმოქმნის რისკს თირკმლებში.** ეს ხდება იმიტომ, რომ ლიმონი შეიცავს ნიტრატს — ლიმონმჟავას მარილს, რომელიც ურთიერთქმედებს კალციუმთან და ბლოკავს ქვების წარმოქმნას.

სპეციალისტის თქმით, ლიმონი, აგრეთვე, შეიცავს ფლავონოიდჰესპერიდონს — ნივთიერებას, რომელიც სასარგებლოა სისხლძარღვების ისეთი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორიცაა **ჰემოროი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება და ცუდი სისხლმიმოქცევა.**

ლორენ მანაკერი ამბობს, რომ ლიმონის მოხმარებას ახლავს თანმდევი უარყოფითი ეფექტიც — **ამ ციტრუსის დიდი რაოდენობით მიღებამ შეიძლება კბილების ემალი დააზიანოს,** ამიტომ დიეტოლოგის რეკომენდაციით, საჭიროა ლიმონის ზომიერად მიღება და, ამასთანავე, პირის ღრუს ჰიგიენის დაცვა.



# ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით თვალების სიჯანსაღეს შევინარჩუნებთ

***ხალხური მედიცინის მიხედვით, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოგვარებასა და თვალების სიჯანსაღეზე ეფექტიანად მოქმედებენ მცენარეები: კრაზანა, ჭინჭარი, ცირცელი და ასკილი.***

ჩამოთვლილი მცენარეებით შეიძლება დამზადდეს ნარევი, რომელიც დადებითად იმოქმედებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებაზე და, შესაბამისად, მხედველობის შენარჩუნება-გაუმჯობესებაზე:

1. **კრაზანა — 3 წილი;**
2. **ჭინჭარი — 1 წილი;**
3. **ცირცელი — 2 წილი;**
4. **ასკილი — 1 წილი.**

ამ მცენარეებით დამზადებულ 2 სუფრის კოვზ ნარევს დავასხათ 700 მლ მდუღარე წყალი, შემდეგ ნაყენი თავდახურულ ჭურჭელში, შალის ნაჭერში თბილად შეფუთული დავაყოვნოთ 12 საათით, ბოლოს კი გავწუროთ ბინტში.

ნაყენი მივიღოთ ჩაის მსგავსად.

# სამი პროდუქტი ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად

***პროდუქტები, რომლებიც რაციონში უნდა ჩავრთოთ ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად, ექიმმა-დიეტოლოგმა მიხეილ გინზბურგმა დაასახელა.***

სპეციალისტი, უწინარესად, რეკომენდაციას უწევს **ახალ კომბოსტოს.** „კომბოსტოს ყველა სახეობა შეიცავს ფლავონოიდებს და სულფორაფანს, რომლებიც ანელებენ დაბერების პროცესს. ამასთანავე, სულფორაფანი ამცირებს ანთებითი პროცესების რისკს ორგანიზმში და იცავს მას ონკოლოგიური დაავადებების განვითარებისგან“, — განაცხადა ექიმმა-დიეტოლოგმა.

კომბოსტოს გარდა ჯანმრთელობისთვის შესანიშნავია **ვაშლი,** რომელიც მდიდარია კვერცეტინით — ბუნებრივი ბიოქიმიური ნივთიერებით, რომელიც აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევისა და ნივთიერებათა ცვლის პროცესებს. მესამე პროდუქტია **ოხრახუში.** ეს მცენარე შეიცავს ფოლიუმის მჟავას, რომელიც ხელს უწყობს უჯრედების რეგენერაციასა და განახლებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დაბერების პროცესის შესანელებლად. ამას გარდა, მიხეილ გინზბურგმა სილამაზისა და ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად გვირჩია, რეგულარულად მივიღოთ **ისპანახი.**







*1966 წლის 18 აგვისტოს, 9 საათსა და 35 წუთზე, ავტოინჟინერმა ალექსანდრე პავლეს ძე ბერბერაშვილმა კავკასიონის უმაღლესი მწვერვალი იალბუზი მოტოციკლით დალაშქრა და 5621 მეტრ სიმაღლეს მიაღწია.*





1966 წლის 2 ნოემბერი. თბილისის აეროპორტი. ლეონიდ ბრეჟნევის გაცილება

# 1966 წელს, თბილისში ლეონიდ ბრეჟნევის ჩამოსვლამდე ორთვენახევრით ადრე, ალექსანდრე ბერბერაშვილი მოტოციკლით იალბუზზე ავიდა!




**გაზეთი „კომუნისტი“, 1966 წელი, 1 ნოემბერი. ლეონიდ ბრეჟნევის ჩამოსვლა თბილისში**

**ალექსანდრე ბერბერაშვილმა** თავის ძმასთან **ვალოდიასთან** და რამდენიმე მოტომრბოლელ მეგობართან ერთად 56 წლის წინათ პირველი ნაბიჯები გადადგეს ერთდროულად ექსტრემალური სპორტისა და ალპინიზმის ისტორიაში, ხოლო **ბერბერაშვილის მოტოციკლი,** რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, 2015 წელს ჩამოიტანეს იალბუზიდან, დღეს სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენს.

ჩვენ შევეცადეთ, მოგვეძებნა ბერბერაშვილის ოჯახის წევრები ან მეგობრები, მაგრამ უშედეგოდ. აღმოჩნდა, რომ ძმებს საქართველოში არასდროს უცხოვრიათ. ისინი რუსეთის ფედერაციაში, ყაბარდო-ბალყარეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ნალჩიკში სახლობდნენ. მოვნახეთ **ალექსანდრე ბერბერაშვილის** ახალგაზრდობის მეგობარი **მერაბ ბერბერაშვილი,** რომელიც დუშეთის რაიონის მკვიდრია, თუმცა, ხანდაზმულობის გამო ვერაფერი გაიხსენა მეგობარზე, გარდა იმ ფაქტისა, რომ მისი მოგვარე მოტოციკლით ნამდვილად იმყოფებოდა იალბუზზე, რასაც იმხანად დიდი რეზონანსი მოჰყოლია.

**„— მისი ძმა ვალოდია დიდი ხანია, გარდაიცვალა. ალბათ, თვითონ ალექსანდრეც... არ ვიცი... ვერაფერს გეტყვით... საქართველოში არ ცხოვრობდნენ და არანაირი ურთიერთობა ლექსოსთან მთელი ამ წლების მანძილზე არ მქონია. ვიცი, რომ ადრე მასზე წიგნიც გამოიცა“,** — გვითხრა ბატონმა მერაბმა.

ჩვენ მივაგენით **ალექსანდრე ბერბერაშვილის** ჩანაწერს, რომელშიც ამ უჩვეულო აღმართზე მოტოციკლით ასვლის რამდენიმე მცდელობისა და შემდგომ მწვერვალის დაპყრობის ეპიზოდებია გადმოცემული. ალექსანდრე ბერბერაშვილს იალბუზზე მოტოციკლით ასვლის იდეა ჯერ კიდევ 1963 წელს გაჩენია. ის და სსრკ სპორტის ოსტატი **ანატოლი გუგუევი** თვლიდნენ, რომ უბრალო სპორტული მოტოციკლითაც კი, როგორიცაა საბჭოთა წარმოების **K-58-CK** ან **ИЖ-80-K,** შესაძლებელია მწვერვალზე ასვლა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:

იდგა 1963 წელი. ზაფხულის შუა პერიოდში ყაბარდო-ბალყარული „დოსააფის“ საავტომობილო და მოტოკლუბის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, სსრკ სპორტის ოსტატმა **ალექსანდრე პავლეს ძე ბერბერაშვილმა** მოტომოყვარულებს შესთავაზა მოტოციკლებით იალბუზზე ასვლა. შემდგომში ამ იდეამ კიდევ ბევრი სპორტსმენი მოხიბლა. ზოგიერთებმა ინიციატივას სკეპტიკურად შეხედეს და იალბუზთან მიმართებაში მოტოალპინიზმის სრული წარუმატებლობა იწინასწარმეტყველეს. ისინი ამბობდნენ, რომ მოტოციკლის ძრავა 3500 მეტრის სიმაღლეზე მწყობრიდან გამოვიდოდა და მწვერვალზე ასასვლელად მხოლოდ მაღალი გამავლობის ტექნიკა იყო საჭირო სუპერსაბურავებითა და სპეციალური დამჭერებით, მაგრამ **ალექსანდრე ბერბერაშვილი** და სსრკ სპორტის ოსტატი **ანატოლი გუგუევი** სხვაგვარად ფიქრობდნენ...

და აი, გათენდა 1963 წლის 16 აგვისტო... მოტომოლაშქრეებმა ჯერ სამნახევარკილომეტრიან ნიშნულს მიაღწიეს, სადაც ამჟამად რიგით ტურისტებსაც კი საბაგირო გზით შეუძლიათ ასვლა. მომდევნო დღეს **„თერთმეტთა თავშესაფარსაც“** მიაღწიეს 4100 მეტრ სიმაღლეზე... — *„გასეირნება“ თანდათან რთულდება. ყინული ფოროვანია, ყველა ორმოში მოტოციკლი ისვრის ყინულის ნატეხებს, როგორც ისრებს. ვხედავ ღრუბლებიც კი შეჩერდნენ... ვერ წახვალ, ვეღარ განაგრძობ გზას — ასეთია მთის წესი. ჩვენმა მეგობარმა* ***კახიანმა*** *— „კლდეების ვეფხვმა“, როგორც მას მთამსვლელები უწოდებენ, მშობლიურ იალბუზზე ფეხის თითები დაკარგა. ცივმა ნისლმა უკვე საბურავების კვალიც დამალა. ყველაზე უარესი ორიენტაციის დაკარგვაა. ჯგუფს ვუსწრებ. არანაირი ნიშნები აღარ არის, ხილვადობაც კი. საკუთარ გზას ფრთხილად ვირჩევ. მეგობრები უახლოვდებიან აღმართის ბოლოს... თავიდან ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა. ფერდობებზე განსაკუთრებით ციცაბო არ იყო და საკმაოდ სწრაფად ავედით, მაგრამ მერე ზიგზაგებით მოგვიწია სვლა. ზოგიერთ ადგილებში ჩვენი მოტოციკლის ძრავები გაჩერდა, ჟანგბადი აკლდა. შეშფოთებული ავხედეთ ცას. ჩვენი იმედები არ გამართლდა — თოვა დაიწყო, ქარმა დაუბერა. უკვე დაახლოებით 4700 მეტრის სიმაღლეზე ვიყავით, მაგრამ უკან დაბრუნება მოგვიხდა,* — იხსენებს ლეგენდარული მწვერვალთმპყრობელი.



Поздравляем восхождением вершину Эльбруса на мотоцикле. Ваш мужественный подвиг будет иметь большое значение в суровой борьбе человека за покорение горных вершин.

Академик ФЕДОРОВ

Примите искренние поздравления от Эльбрусской экспедиции ЛГУ. Ваше героическое мотоциклетное восхождение на Эльбрус, помимо рекордного значения, открывает возможность транспортного обеспечения научной работы в высокогорье.

Доктор физ.-мат. наук профессор РОДИОНОВ

Такой рекорд невозможно побить! Поздравляем выдающимся достижением! Впервые покорена вершина Эльбруса на мотоцикле!

Заслуженные мастера спорта
СЕВАСТЬЯНОВ, СОКОЛОВ, ПЫЛАЕВ, КУЛАКОВ

На фото: Алексей Берберашвили. Один из моментов штурма Эльбруса.

У всех этих телеграмм один адрес — «Нальчик, Алексею Берберашвили». Свыше ста поздравлений получил этот человек, сумевший с помощью мотоцикла подняться на высочайшую вершину Кавказа (см. «За рулем» № 10 за этот год).

Недавно инженер, мастер спорта Алексей Павлович Берберашвили приезжал в Москву и был гостем нашей редакции. Мы попросили его рассказать об этом необычном восхождении.

## С «Эльбрусом» на Эльбрус

Вы, наверное, слышали шуточную туристскую песенку: «Умный в гору не пойдет, умный гору обойдет».

Но, право же, когда я впервые поднялся пешком к Приюту одиннадцати, эти слова мне не показались просто шуткой. Мы так устали, что даже изумительные картины Кавказа не радовали нас.

А как же геологи, спасатели, связисты, — подумал я. Для них горы — рабочая площадка. Как же они по многу раз взбираются с тяжелыми рюкзаками? И почему бы не попробовать въехать сюда?

Позже в Высокогорном геофизическом институте (ВГИ), куда я перешел на работу, директор института профессор Г. Сулаквелидзе показал мне различные самовытаскиватели, цепные устройства и другие приспособления для горного транспорта. Оказывается, уже не раз пытались покорить Эльбрус на колесах. Запускали наверх и танкетку, и автомобили, но они высоко не поднимались. Теперь предстояло испробовать мотоцикл.

Долго рассказывать о том, как мы во главе с заслуженным тренером СССР альпинистом Х. Залихановым (он был заместителем директора ВГИ) готовили восхождение. Два года отвоевывали [...] форсирован нами до 9 сил и рассчитан на переменную — от 8 до 18 — степень сжатия. Мотоцикл снабжен устройствами для автоматического отключения зажигания и регулировки качества смеси. Все рычаги управления перенесены на руль. Установили легкосъемные лыжи, два бензобака — для бензина Б-70 и спиртовой смеси, покрышки зашиповали.

Много позже, после нашего восхождения, я читал сообщения зарубежных агентств о том, что Берберашвили довел дело до конца, несмотря на двадцатидвухградусный мороз, сильный ветер и густые облака. Все это так. Но непогода нами вовсе не планировалась. Мы поднимались к «стартовой площадке» — Приюту одиннадцати, и над нами было теплое голубое небо. Но поди знай, что уготовят тебе горы. Как дирижабль на приколе, всегда стоит у самой вершины Эльбруса облако. Оно-то и разразилось ливнем в ночь перед восхождением. Похолодало, дождь сменился снегом, и закрутила такая метель, какую увидишь разве зимой, да и то не на Кавказе.

Только через два дня стало тише. И тогда наша группа — начальник горноспасательной службы Борис Джапуев, радист-механик Иван Суима, инженер Александр Гутиев и я — решила двинуться к вершине [...] в пути отлетела подошва. Видно, хозяин ботинка пересушил его на костре. А мороз — около двадцати. Что делать? Не спускаться же вниз. Положил ногу на горячий цилиндр, грею. Подошли ребята, двинулись дальше.

Ехать стало тяжелее. Лед ноздреватый, весь в ямах, мотоцикл бросает, того и гляди вырвет шипы. Скорее бы добраться до седловины. А тут еще надо останавливаться и отогревать ногу.

Хорошо, думаю, нет здесь Кахиани — друга по нашим прежним восхождениям. Он бы лег костьми, но не пустил бы к вершине: «Если облака — ехать нельзя» — таково его правило. Кахиани можно верить. «Тигр скал», как называют его альпинисты, покорял Джомолунгму и другие вершины, а пальцы на ноге потерял здесь, на родном Эльбрусе. Он-то знает его повадки и скверный характер.

Холодный туман спрятал вехи, которые поставили ребята. Страшнее всего потерять направление. [...] гоняю группу. Тел[...] телей нет. Сам [...] выбираю дорогу. [...] седловина. Можно [...] дух. Товарищи сей[...] дут, и начнется [...] самый трудный [...] хождения. Мы зар[...] тили путь: по поло[...] ну и самой верши[...]

И началось самое трудное. Подъем крутой, мотоцикл выходит из повиновения. Дышать трудно, каждое движение вызывает одышку.

Последние сотни метров даются невероятным трудом. Неожиданно машину бросает вправо, и я замечаю, что совсем близко край пропасти. Облака прикрывают вершину, и мы не видим, сколько опасностей вокруг.

Уже рассвело, когда «Эльбрус-1» на полном газу взял последний метр и замер на вершине. Мне показалось, что ударил гром. На самом деле это горное эхо подхватило наше радостное «ура». Ребята бросились качать меня, целуемся от радости.

18 августа 1966 года в 9 часов 35 минут мы достигли восточной вершины Эльбруса. Мотоцикл оставили там, в память о первом восхождении.

А потом все было уже просто. Радостная встреча внизу, объятия, поздравления.

Знаю, что есть и такие, [...]

სპორტსმენებმა გადაწყვიტეს ნალჩიკში ჩასვლა, მანქანების ხელახალი აღჭურვა და უახლოეს მომავალში ასვლის ხელახალი მცდელობა. იმავე წლის 2 სექტემბერს **K-58-CK** ტიპის ორი მოდერნიზებული მოტოციკლის „ჭიკჭიკმა“, რომელსაც გუგუევი და პუშტოვი მართავდნენ **(ბერბერაშვილს მანქანის მოდერნიზაციის დრო არ ჰქონდა),** კვლავ დაარღვია დილის სიჩუმე. სპორტსმენებს მხოლოდ თხუთმეტი წუთი დასჭირდათ ყინულოვანი ბაზიდან **„თერთმეტთა თავშესაფრამდე“** ოთხკილომეტრიანი ბილიკის გასავლელად. ბორბლებზე ფოლადის წრიაპები საიმედოდ ესობოდა თოვლიან ფერდობებს, მაგრამ დილაადრიან ამინდი გაუარესდა. მისი გაუმჯობესების იმედით სპორტსმენებმა ასვლის დაწყება გადაწყვიტეს, თუმცა, ხილვადობა გაფუჭდა და გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. კვლავ ფიასკო...

მხოლოდ 1966 წლის 18 აგვისტოს, ორი წარუმატებელი შტურმის შემდეგ, შეძლო **ალექსანდრე ბერბერაშვილმა** იალბუზის აღმოსავლეთ მწვერვალზე მოტოციკლით ასვლა, მაგრამ ეს იყო უკვე მის მიერვე მოდერნიზებული ორთვლიანი ტრანსპორტი „იალბუზ-1“, 9 ცხენისძალიანი ძრავით, რომელიც, სულ რაღაც, 58 კილოგრამს იწონიდა. **„კლდის ორთვალა“** მწვერვალზე დატოვეს, იალბუზზე პირველი წარმატებული მოტოასვლის დასტურად.

**ბერბერაშვილი იხსენებს: „როცა პირველად ავედი იალბუზზე, ისეთი დაღლილები ვიყავით, რომ კავკასიის საოცარი მთებისათვის, რომლებიც ფერწერული ტილოებივით მოჩანდა, შეხედვაც კი აღარ გვსიამოვნებდა“.**

მოგვიანებით მოტოციკლით იალბუზს შეთამამებულმა **ალექსანდრე ბერბერაშვილმა** კავკასიის უმაღლესი მწვერვალის იალბუზის, იგივე მინგითაუს (ადგილობრივ ენაზე ათასი მთის მთა) შტურმი უკვე „უაზ“-ით განიზრახა, მაგრამ 1974 წელს მხოლოდ 4200 მეტრ სიმაღლეს მიაღწია, დაახლოებით „თერთმეტთა თავშესაფრის“ დონეს. საერთო ჯამში კი ბერბერაშვილის „საავტომობილო ევერესტი“ 4970 მეტრი იყო, რის შესახებაც მისმა ვაჟმა იურიმ აუწყა საზოგადოებას.

***ეკატერინე ბერბერაშვილი-პატარაია***



## МОТОЦИКЛ... НА ЭЛЬБРУСЕ

НЕ РАЗ забирались альпинисты на Эльбрус. Но не было еще в мировом спорте случая, чтобы на такую высоту поднялся мотоциклист. Этот спортивный подвиг совершил инженер-конструктор Высокогорного геофизического института в Нальчике мастер спорта Александр Берберашвили. Инженер из Кабардино-Балкарии до этого дважды пытался штурмовать Эльбрус, но неудачно. И только в этом году успех сопутствовал мужественному спортсмену.

На мотоцикле, созданном в содружестве с доктором технических наук С. Рагозиным, был установлен мощный двигатель, работающий на специальном топливе, и смонтирована кислородная установка. Колеса были «вооружены» стальными шипами и лыжами. А. Берберашвили достиг вершины Эльбруса в тяжелых метеорологических условиях: при 22-градусном морозе, сильном ветре и плотной облачности. В памя[ть] о первом заезде на высочайшую гору Европы в камени[...]



# მიხეილ ცაგარელი: პლანეტათა აღლუმი, ანუ სტელიუმი და მისი ზემოქმედება ადამიანებზე

***— რა არის საჭირო, რომ სტელიუმმა დადებითი ზემოქმედება მოახდინოს და ადამიანის ცხოვრება გააუმჯობესოს? როგორ გამოვიყენოთ ამ დროს არსებული მოჭარბებული ენერგია და რა შემთხვევაში იმატებს შესაძლებლობის რიცხვი? როგორ ზემოქმედებს სტელიუმი, რომლის ბირთვს ქმნიან ე.წ. პირადი პლანეტები ანდა რომლის შემადგენლობაში შედიან ტრანსპერსონალური პლანეტები? ამ მიმართებით რა ითვლება თაობის მახასიათებლად? ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში განლაგებული სტელიუმი რა და რა სფეროებზე ზემოქმედებს და როგორ უნდა გავანეიტრალოთ მისი უარყოფითი ზეგავლენა? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.***

**— განვაგრძოთ საუბარი პლანეტათა აღლუმის შესახებ. როგორც აღნიშნეთ, ადამიანის პირად ჰოროსკოპში მისი არსებობა განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს. რაზეა ეს დამოკიდებული?**

— **სტელიუმში** ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისა და თვისებების პლანეტებია გაერთიანებული. ამიტომ ზეგავლენაც წინააღმდეგობრივია. იმისათვის, რომ მისი ზემოქმედება უფრო დადებითი იყოს და ადამიანის ცხოვრება გააუმჯობესოს, სასურველია, თავად ადამიანმა ზუსტად განსაზღვროს საკუთარი მიზნები და იმოქმედოს იმ გზებით, რომელზეც **სტელიუმი** მიუთითებს და ამ შემთხვევაში დახმარებასაც გაუწევს. **სტელიუმის** პლანეტებთან დაპირისპირებისას კი შესაძლოა, სრულიად საპირისპირო შედეგი მივიღოთ. თუ **სტელიუმი** დაემთხვა და განლაგდა ადამიანის (დაბადების დღის აღმნიშვნელი) ზოდიაქოს ნიშანში, მაშინ უფრო იმოქმედებს ამ ნიშნისა და აქ განლაგებული პლანეტების კონფიგურაცია, მაგრამ, თუ **სტელიუმი** სხვა ნიშანშია განლაგებული, მაშინ თავად ამ ადამიანზე მოქმედებს ზოდიაქოს ის ნიშანი, რომელშიც თავმოყრილია პლანეტები. ნიშანდობლივია ისიც, რომ ნებისმიერი პროფესიის არჩევისას, ისინი თავის საქმეში მუდამ ძლიერი და გამორჩეული სპეციალისტები იქნებიან.

**— როგორ ზემოქმედებას ახდენს პლანეტათა აღლუმი იმ ადამიანებზე, რომლებსაც პირად ჰოროსკოპში ეს მოვლენა არ აღენიშნებათ?**

— ადამიანებმა, რომლებსაც პირად ნათალურ რუკაში სტელიუმი არ აღენიშნებათ, მისი მიმდინარეობისას უნდა გაითვალისწინონ შემადგენელი პლანეტების რაობა და ზოდიაქოს ნიშანი, რომელშიც მათ თავი მოიყარეს, რამეთუ **სტელიუმის ძირითადი ხასიათისა და ზემოქმედების არეალის განსაზღვრა ხდება ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით, ხოლო პლანეტები იმ მახასიათებლებზე მიგვანიშნებენ, რისი საშუალებითაც მოხდება გამოვლენა.** ნიშანდობლივია ისიც, რომ **პლანეტათა აღლუმის** დროს ერთმანეთს უპირისპირდება რამდენიმე ძლიერი ენერგია, რაც ქაოსს იწვევს როგორც ადამიანთა აზრებში, ისე ქცევაში. მოჭარბებული ენერგია გამოსავალს საჭიროებს და იმისათვის, რომ ფუჭად არ დაიხარჯოს ანდა არასასურველი გზით არ მოახდინოს ზემოქმედება, აუცილებელია მისთვის მიმართულების განსაზღვრა. მეორე მხრივ, **პირად ჰოროსკოპში სტელიუმის არსებობისას ეს ადამიანი თითქმის ყველაფერში წარმატებას აღწევს და მას რაიმეს შესრულებისას ან მიზნის მიღწევისას ნაკლები ენერგიის ხარჯვა ესაჭიროება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სტელიუმი გაზრდის შესაძლებლობების რაოდენობას იმ შემთხვევაში, თუ იცი, მისი ენერგია როგორ გამოიყენო. სტელიუმში** შესაძლოა, მონაწილეობა მიიღონ როგორც მაღალი, ისე დაბალი რიგის პლანეტებმა. ასეთ შემთხვევაში ზემოქმედებაც მრავალფეროვანი იქნება და შეეხება როგორც ადამიანის პიროვნულ თვისებებს, ისე მის ბედ-იღბალსა და მთლიანად ცხოვრებას. თუმცა, არსებობს შემთხვევა, როცა **სტელიუმის** ბირთვი შედგება მხოლოდ ე.წ. **პირადი პლანეტებისაგან, როგორიცაა მერკური, ვენერა, მარსი, მზე და მთვარე.** ამგვარი ნაკრები ციური სხეულებისა გამოიწვევს გუნება-განწყობის ხშირ ცვალებადობას. ასევე პიროვნული თვისებებისა და ურთიერთობების ცვალებადობას. იმ შემთხვევაში კი, როდესაც **სტელიუმი** შედგება **ტრანსპერსონალური პლანეტებისგან,** როგორიცაა **იუპიტერი, სატურნი, ნეპტუნი, ურანი და პლუტონი** მეტად იმოქმედებს ადამიანის ცხოვრებასა და იმ მოვლენებზე, რომლებიც მის ირგვლივ მიმდინარეობს. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ამ პლანეტების მოძრაობის შედარებით ნელი სიჩქარის გამო **სტელიუმის** ასეთი განლაგება ერთდროულად დიდი რაოდენობით ადამიანს აქვს ხოლმე და იგი **თაობის მახასიათებლად** შეიძლება ჩაითვალოს.

**— სტელიუმის განლაგება ამა თუ იმ ზოდიაქოს ნიშანში რამდენად განსაზღვრავს ზემოქმედების თავისებურებას?**

— იმის მიხედვით, თუ **სტელიუმი** ზოდიაქოს რომელ ნიშანშია განლაგებული, ის ზემოქმედებს ცხოვრების ამა თუ იმ სფეროზე. კერძოდ კი იმაზე, რომელსაც ეს ზოდიაქო მართავს. მაგალითად, **თხის რქის ზოდიაქოში განლაგებული სტელიუმი** ზემოქმედებს სამსახურზე, კარიერაზე, ხელმძღვანელებთან და ასაკით უფროსებთან ურთიერთობაზე. ამ საკითხებს უფრო აქტიურს ხდის და ზოგჯერ იმდენად ძლიერია, რომ დამღლელიც კი ხდება. **ტყუპის ზოდიაქოში განლაგებული სტელიუმი** ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციებზე, დედმამიშვილებთან და გარშემო მყოფებთან ურთიერთობაზე. უფრო აქტუალურს ხდის ისეთ სფეროებს, როგორიცაა მასმედია, საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებები, ინტერნეტი. **მერწყულის ზოდიაქოში განლაგებულ სტელიუმს** უყვარს აღმოჩენები, წინსვლა მეცნიერებაში, ტექნიკასა და კოსმოსში, ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები. ამავდროულად, **მერწყულის ნიშანი** რევოლუციონერია და გარდაქმნები, ცვლილებები უყვარს, რაც ხშირ შემთხვევაში მარტივად არ მიმდინარეობს.

**— არის თუ არა შესაძლებელი პლანეტათა აღლუმის, ანუ სტელიუმის უარყოფითი ზეგავლენისგან თავის დაცვა და მისი განეიტრალება?**

— იმისათვის, რომ სტელიუმის უარყოფითი ზემოქმედება განეიტრალდეს, აუცილებელია მისი შემადგენელი პლანეტების შესწავლა და მათი საკუთარ ცხოვრებასთან მორგება. ყველაზე უპრიანია პროფესიონალ ასტროლოგთან კონსულტაცია, რომელიც ყველაფერს უფრო ზუსტად აგიხსნით, რის შედეგადაც წარმატების შანსი მოიმატებს.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 30 მაისი – 5 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
დამოუკიდებლად იმოქმედეთ და პრეტენზიულიც ნუ იქნებით. წესები და კანონი დაიცავით, ავტორიტეტი აიმაღლეთ. მატერიალური პრობლემების რიცხვი იკლებს, რაც გაგახალისებთ. კეთილგანწყობითა და ორატორული ნიჭის წყალობით სარფიან ხელშეკრულებას დადებთ. მეგობრული თუ სასიყვარულო ურთიერთობისას გააზრებითა და პრაქტიკულად იმოქმედეთ. თუმცა, სერიოზული ურთიერთობის დამყარებას არავისთან ისურვებთ.

**კურო** (21.04-20.05)
პირად საქმეთა რიცხვი მოიმატებს. შესაძლოა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება მოგიწიოთ. გადაადგილებები და კონტაქტები შემცირდება. ფინანსური და საქმესთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებისას ეცადეთ, ყველა ვარიანტი განიხილოთ. ახლობლები დაგეხმარებიან საქმეების დასრულებაში. ფლირტი შესაძლოა, სერიოზულ გრძნობაშიც გადაიზარდოს. ენერგიის ნაკლებობა შესვენებებითა და გამოძინებით შეივსეთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
პრაქტიკულად და წინადახედულად იმოქმედეთ მიზნის მისაღწევად, თქვენი ცოდნა და ხიბლი გამოიყენეთ. ყოველდღიური საქმე ბევრ დროს წაგართმევთ. შესაძლოა, მოუცლელობის გამო მეგობრულ თავყრილობასა და ქალაქგარეთ გამგზავრებაზე უარი თქვათ. დროის სწორი დაგეგმვა მისი რაციონალურად გამოყენების საწინდარი იქნება. ხარჯი კი მშობლებსა და ოჯახს დაუკავშირდება. პირად საკითხში უჩვეულო გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
საკმაოდ დატვირთული და არაერთგვაროვანი პერიოდია. შემოქმედებითად მუშაობა და ფანტაზიების განხორციელება გაგიჭირდებათ, რადგან დრო და ენერგია არ გეყოფათ. უხასიათობა და ყოყმანი ოჯახის წევრებთან და კოლეგებთან ურთიერთობას ავნებს. საინტერესო შეხვედრები და ახალი შთაბეჭდილებები განწყობას გაგიუმჯობესებთ. თუ საქმე საშუალებას მოგცემთ, შვებულება აიღეთ და თუნდაც რამდენიმე დღით დასასვენებლად გაემგზავრეთ.

**ლომი** (23.07-23.08)
ფულის დაგროვების მოთხოვნილება გაგიჩნდებათ. ამბიციების სიუხვე ახალი სამსახურის დაწყების პერსპექტივას შეამცირებს. თანამოაზრეებთან და მეგობრებთან ახლო ურთიერთობისა და გულახდილად საუბრის სურვილი მოგეძალებათ. უცხოელებთან ან იქ მცხოვრებ ნათესავებთან და მეგობრებთან კავშირი და ურთიერთობა ახალ პერსპექტივას გიქადით. შეყვარებულთან კი ეცადეთ, არ იკამათოთ და სტაბილურობა შეინარჩუნოთ.

**ქალწული** (24.08-23.09)
თქვენი გეგმის განხორციელება ბევრ შრომას მოითხოვს და შესაძლოა, აუცილებელი გახდეს ზოგიერთი ძველი უსიამოვნების მოგვარებაც. შესაძლოა, შემოსავლის ახალი პერსპექტივა გამოჩნდეს, მაგრამ მის გამოყენებას ნუ იჩქარებთ. მეგობრებსა და ახლობლებს ნუ დაუპირისპირდებით. მეუღლის ან შეყვარებულის პრობლემის მოგვარებაც თქვენ მოგიწევთ. საქმიანი გადაადგილებები და მოგზაურობა არ მოგცემთ დასვენების საშუალებას.

30 მაისი – 5 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მეტად პრაქტიკული იქნებით, რაც გარშემო მყოფებსაც არ დარჩებათ შეუმჩნეველი. არაერთი ფინანსური საკითხის მოგვარება მოგიწევთ. ფარული საქმიანობა ან მიმოწერა გონებრივ დატვირთვას გაზრდის. კარგი დროა განმარტოებისა და ძველი საქმეების გასააზრებლად. შემთხვევით ურთიერთობას, განსაკუთრებით რომანტიკულს, მოერიდეთ. გადაადგილებებისას ყურადღება გმართებთ, რამეთუ ტრავმულობის ალბათობა იზრდება.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
თავდაჯერებითა და მიზანდასახულობით ნებისმიერი წინააღმდეგობის გადასალახავად მზად იქნებით. მიმდინარე მოვლენები და გარემოებანი ავტორიტეტის მოსაპოვებლად და სოციალური სტატუსის ასამაღლებლად გამოიყენეთ. როგორც სასიყვარულო, ისე მეგობრული კავშირები იმპულსური ხასიათისაა და მალევე დასრულდება. ადამიანების უკეთ გაცნობისას სწრაფად აენთებით და ასევე სწრაფად ჩაცხრებით. მოგზაურობისას სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ფინანსურ ხრიკებსა და საქმეში ავანტიურას ერიდეთ. მოულოდნელი მოვლენები არსებულ კონფლიქტებსა და ადრინდელ ქცევაზე დაგაფიქრებთ. ამ კვირაში ერთდროულად თავდაჯერებულიც იქნებით და მერყევიც. იმპულსურობა, ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებანი დაგეხმარებათ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებთან კავშირის დამყარებაში. მატერიალური მდგომარეობა გაგიუმჯობესდებათ. შესაძლოა, ურთიერთობები ორივე მხარისთვის მომგებიანი აღმოჩნდეს.

**თხის რქა** (22.12-19.01)
შესაძლოა, პროფესიის, სამსახურის ან საქმიანობის შეცვლაზე დაფიქრდეთ. თანამოაზრეებისა და პარტნიორების ძიებისას საინტერესო ანდა მაღალი თანამდებობის პირებს გაიცნობთ. გარკვეული თქვენი მიზნები და გეგმები უცხოეთში მცხოვრებ ადამიანებს დაუკავშირდება. კარგი პერიოდია სწავლისთვის და ცოდნის ასამაღლებლად. მოგზაურობა-მივლინებები ახალ სასიკეთო პერსპექტივებს გიქადით. შეყვარებულთან ურთიერთობამ კი შესაძლოა, ცვლილება განიცადოს.

**მერწყული** (20.01-18.02)
ეცადეთ, თქვენი საქმიანობა ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან შეათანხმოთ და ყველა მნიშვნელოვან საკითხში მათი მხარდაჭერა მოიპოვოთ. ზედმეტ მოვალეობას ნუ დაიკისრებთ. მოგზაურობა და შეხვედრა-გადაადგილებები ბევრ ძალას მოგთხოვთ და შინაგან დაძაბულობას გაზრდის. ამიტომ ეცადეთ, ყოველი თავისუფალი წუთი დასვენებისთვის გამოიყენოთ. შეყვარებულთან კი გრძნობების გამომჟღავნება გაგიჭირდებათ.

**თევზები** (19.02-20.03)
ურთიერთობისა და ახალი ინფორმაციის მიღების სურვილი როგორც პროფესიული, ისე პირადი კონტაქტების დამყარებაში დაგეხმარებათ. სამსახურში დამატებითი ვალდებულებების აღება ანდა მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. დაღლისას აუცილებლად დაისვენეთ და ძალა აღიდგინეთ, რათა ქრონიკული დაავადება არ გაგირთულდეთ. მოგზაურობისას უცნობთა მიმართ სიფრთხილე გამოიჩინეთ, რათა არ მოგატყუონ ან არაფერი მოგპარონ.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 30, 31 მაისი და 1,3 ივნისი

16 მაისი – სავსემთვარეობა და მთვარის დაბნელება (პიკი – 08.13); 30 მაისი – ახალმთვარეობა (პიკი – 15.30).

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კოსმოსი; 7. მესია; 12. რუბლევი; 13. მიტრა; 14. ლანკომი; 15. რუმბა; 16. ნირვანა; 17. ზალპი; 18. უსახელო; 19. ბანჯო; 20. ლეონიძე; 21. ნაივი; 23. ამოცანა; 27. ლარდი; 28. პირიტი; 31. ტესლა; 32. დისკუსია; 33. დასი; 35. მელანჟი; 36. ნიაზ; 37. კაბინეტი; 40. ქოლგა; 41. რიელი; 43. დიახ; 45. სალამური; 47. ბინომი; 50. ფონდა; 51. ემალი; 53. ალიდადა; 56. ლენონი; 57. გულაბი; 60. ფხა; 61. სპარინგი; 62. მადონა; 63. დესერტი; 64. ტაი; 65. მარიჯანი; 66. სიუიტა.

შვეულად: 1. კალკუტა; 2. სენტავო; 3. ოროველა; 4. ირინოლა; 5. ობერტონი; 6. მელანინი; 7. მირაბელი; 8. სემინარია; 9. ამაზონიტი; 10. სტილბი; 11. მატისი; 22. ვალჰალა; 24. მაინა; 25. ციკლი; 26. ნოსტე; 28. პამირი; 29. რილკე; 30. ტენტი; 33. დიქტი; 34. სალტო; 36. ნადიმი; 37. კასტა; 38. ბელტი; 39. ნამჯა; 42. ლონდა; 44. ხეივანი; 46. რეა; 47. ბალი; 48. ნენია; 49. მენტორი; 50. ფრუ; 53. ლეპრა; 54. დარდი; 55. დანია; 57. გიდი; 58. ლასო; 59. ბურე; 60. ფატა; 62. მის.

**კალათამადანისანიტარიელიოტიტიტულიპინიამორი**
**მორალიტესლალომისადაფიონისელაპისისინიორასი**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 30 მაისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.30 საათზე, ჩადის 19.27 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 04.14 საათზე, ჩადის 19.40 საათზე (**ახალმთვარეობაა.** პიკი — 15.30 საათზე. ამ დროს იწყება I დღე და I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ახალმთვარეობის გამო მაღალია შეცდომების, ცდუნებების, განწყობისა და ჯანმრთელობის გაუარესების, ტრავმების, ავარიების, კონფლიქტების ალბათობა. ყურადღება გამართეთ, პროვოკაციებს არ აჰყვეთ. სასიკეთოა ლოცვა. გრძნობები და ემოციები აკონტროლეთ. ნებისმიერი ინფორმაცია შეამოწმეთ. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, ყიდვა-გაყიდვა, უჰაერო სივრცეში ყოფნა. ეცადეთ, საიდუმლო არ გათქვათ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, ფილტვები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, გიშერი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 31 მაისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში, ამოდის 04.30 საათზე, ჩადის 19.28 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 04.49 საათზე, ჩადის 20.40 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 05.12 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.11 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს დასკვნის გაკეთებას ნუ იჩქარებთ, ლოცვითა და კონკრეტული მიზნის დასახვით და დაწყვეტით თავსმოხვეული მანიაკური აზრები მოიშორეთ. ნუ იქნებით გაორებული, მერყევი, ზედმეტად კრიტიკული და პირდაპირი. ნებისმიერი ინფორმაცია შეამოწმეთ, არ არის სასურველი ზედმეტი სითხის მიღება, უჰაერო სივრცეში ყოფნა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, რემონტის დაწყება, თმის შეჭრა-შეღებვა. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, მოლაპარაკებებისთვის, საზღვაო ოპერაციებისთვის, ვაჭრობისთვის, სამეცნიერო კვლევებისთვის, შემოქმედებისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, მხრები, ხელები, ფილტვები. **ქვები:** ტოპაზი, ამაზონიტი, აკვამარინი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.29 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (09.50) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 05.31 საათზე, ჩადის 21.36 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 05.45 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 06.00 საათიდან 09.50 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ემოციები აკონტროლეთ. მათ დემონსტრირებას ნუ მოახდენთ. წარსულზე საუბრისგან თავი შეიკავეთ, რადგან ამას შესაძლოა, უსიამოვნო გაგრძელება ჰქონდეს. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, სესხის აღება, დაპირების გაცემა, საბუთები ხელმოწერამდე კარგად შეამოწმეთ. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, ვაჭრობისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, სასამართლო პროცესის დასაწყებად, ცხოველების შესაძენად, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, სარძევე ჯირკვლები, ნეკნები, კუჭქვეშა ჯირკვალი, ღვიძლი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, ოპალი, ამეთვისტო, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 2 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.29 საათზე, ჩადის 19.30 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 06.19 საათზე, ჩადის 22.24 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 06.31 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს მეტი პატივისცემა გამოხატეთ ხანდაზმულთა მიმართ და მეტი ყურადღება და მზრუნველობა გამოავლინეთ სასიყვარულო პარტნიორის მიმართ. ემოციები აკონტროლეთ. კარგი დღეა კბილების სამკურნალოდ, ბავშვის ჩასახვისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ვაჭრობისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ხალხური რეწვის ნიმუშების შესაძენად, შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, ზღვაზე მოგზაურობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, ნეკნები, სარძევე ჯირკვლები, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** რაუხტოპაზი, ზურმუხტი, მარგალიტი, აქატი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის.

## 3 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (22.39) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 07.15 საათზე, ჩადის 23.05 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 07.30 საათზე. I ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი **პლანეტა მერკური** დირექტიული (სწორადმავალი) ხდება, რაც ხელს შეუწყობს საჭირო ინფორმაციის მიღებას, მგზავრობას, მოლაპარაკებებსა და ურთიერთგაგებას, ტექნიკის გამართულად მუშაობას, ახალი იდეისა და საქმის რეალიზებას. ამავდროულად, დღეს მოსალოდნელია ხასიათცვალებადობა, განაწყენება, ეჭვიანობა. სასიკეთოა ბუნებასთან კონტაქტი. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ბავშვის ჩასახვისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, ვაჭრობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ბინის შეცვლა, დაპირებების გაცემა. მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, გულსისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ზურმუხტი, აქატი, მალაქიტი, მარჯანი, ყვითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის.

## 4 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.31 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 08.15 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 08.41 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს **დიდი კოსმოსური მასწავლებელი, პლანეტა სატურნი** ხდება რეტროგრადული (უკანმავალი) 23 ოქტომბრამდე, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული განვითარების შედეგის შეჯამებას და პროფესიონალიზმის გაღრმავებას. კარგია საქმეში შეცდომების გაანალიზება. ამ პერიოდში აუცილებელია დაწყებული პროექტების ბოლომდე მიყვანა. მოერიდეთ ახლის დაწყებას. მოსალოდნელია ახალი ინიციატივების შეფერხება, უფროს და ახალგაზრდა თაობას შორის ურთიერთგაგება გართულდება. დღეს დააზუსტეთ უახლოესი 4 თვის მიზნები. კარგი დღეა ახალი სამსახურის დასაწყებად, ახალ ბინაში გადასასვლელად, ახალი ნაცნობობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, ძვირფასი ნივთების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, სიმძიმის აწევა, ფიზიკურ-ემოციური დატვირთვა, ფინანსური გარიგება, ხელშეკრულების დადება, ქორწინება, მცენარეთა დარგვა-გადარგვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის.

## 5 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.28 საათზე, ჩადის 19.32 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 09.17 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 09.57 საათზე, I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ახლობლებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. ეცადეთ, სურვილები აუსრულოთ. პარტნიორთან ურთიერთობისას იუმორი დაგეხმარებათ. კარგი დღეა მეგობრული კონტაქტებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მშენებლობისთვის, სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად, ძვირფასი ნივთების შესაძენად, თმის შეჭრა-მოვლისთვის. არ არის სასურველი ნერვიულობა, ფიზიკურ-ემოციური დატვირთვა, ბინის შეცვლა, ქორწინება, პრეტენზიის გამოხატვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, ქარვა, სერდოლიკი, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, თევზებისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

✝ **30 მაისი. ორშაბათი.** მოციქულისა ანდრონიკესი და წმიდისა იუნიასი.

✝ **31 მაისი. სამშაბათი.** წმიდათა მამათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათა; წმიდათა მოწამეთა ძმათა: დავითისა და ტირიჭანისა და დედისა მათისა თაგინესი.

✝ **1 ივნისი. ოთხშაბათი. წმიდისა დედისა ჩვენისა მოციქულთა სწორისა ქალწულისა ნინოსი;** იოანე გუთელი ეპისკოპოსისა.

✝ **2 ივნისი. ხუთშაბათი. ამაღლება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი.** მოწამეთა ქართველთა, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ფერეიდანში სპარსთაგან მოწყვეტილთა; კრება მანგლისის ჯვარისა.




✝ **3 ივნისი. პარასკევი.** შემდგომი დღესასწაული ამაღლებისა; მოციქულთა სწორთა: **კონსტანტინე მეფისა და დედისა მისისა ელენე დედოფლისა.** კრება ვლადიმირის ღმრთისმშობლის ხატისა.

✝ **4 ივნისი. შაბათი.** მოწამისა ვასილისკოსი, აფხაზეთის კომანში წამებულისა; მოწამისა იოანე-ვლადიმერისა, სერბეთის მთავრისა; ხსენება მეორე მსოფლიო კრების წმიდათა მამათა.

✝ **5 ივნისი. კვირა.** აღდგომიდან მე-7, პირველი მსოფლიო კრების წმიდათა მამათა კვირიაკე. მოციქულთა სწორთა: **მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი; წმინდა იოანე პირველისა — მთავარეპისკოპოსისა მცხეთისა და სრულიად ივერიისა.**





მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90



წიგნის მუზეუმის ბუკინისტი:

შეიძენს კოლექციისთვის ძველ წიგნებს 1933 წლამდე გამოშვებულს — 1500 ლარად, ჟურნალებს, ასევე საბავშვო წიგნებს და ჟურნალებს — 1945 წლამდე გამოშვებულს, პლაკატებს, არქივებს, ავტოგრაფებს, ქაღალდის ფულს, მედლებს და ანტიკვარიატს

591-75-35-38




**თარაზულად:** 4. ფინური ტელეფონების ფირმა; 9. დიდი მტაცებელი თევზი; 10. ბისტი; 11. დაბალი მაგიდა; 12. კაცის სასიმღერო ხმა; 16. ესპანელი პოეტი ფედერიკო გარსია ...; 17. განთიადი; 19. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი; 20. რქებდახრილი ხარი; 22. ქალაქი იტალიაში; 23. კვიპაროსი; 24. ძალღონის გამოცლა; 25. გერმანელი კომპოზიტორი.

**შვეულად:** 1. ქართული ლიტერატურული პრემია; 2. წითელი ძვირფასი ქვა; 3. იაპონური ჭიდაობის სახეობა; 4. ზამში; 5. თევზის სახეობა; 6. მტაცებელი ფრინველი; 7. აღმოსავლეთ საქართველოს ძველი სახელი; 8. მწარე ბოსტნეული; 12. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 13. იტალიელი კომპოზიტორი; 14. სხეულის ქსოვილების ან ორგანოების დაზიანება გარეგანი ზემოქმედებით; 15. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 17. ლუდის მასალა; 18. სოკოს გამრავლების ორგანო; 20. ჭაობის მცენარე; 21. რუსი ჰოკეისტი.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ნოკია; 9. ბარაკუდა; 10. ლიბრი; 11. ტაბლა; 12. ბარიტონი; 16. ლორკა; 17. აისი; 19. კოსტავა; 20. ლაბა; 22. ნეაპოლი; 23. სარო; 24. ადინამია; 25. ბახი.

შვეულად: 1. საბა; 2. ლალი; 3. სუმო; 4. ნატი; 5. კობრი; 6. ალალი; 7. იბერია; 8. წიწაკა; 12. ბაკარა; 13. როსინი; 14. ტრავმა; 15. ნიანგი; 17. ალაო; 18. სპორა; 20. ლისი; 21 ბურე.

| წნელის ჭურჭელი | მინერალის, ლითონის შემცველი ქანი | მედიცინის უმცროსი მუშაკი | ინგლისელი პოეტი | საგვარეულო ან ბოძებული წოდებულება | იტალიური ფიჭვი | მოჭრილი მსხვილი ხე, ტოტებ-გაცლილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| რბილი ჭედადი ლითონი | სუფრის ხელმძღვანელი | იაპონური ავტომობილი | შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სახელი | ყურის ანთება | ტიტა | კლდის თხა |



თარაზულად: 1. სამყარო, როგორც მთლიანობა; 7. ზეციური მხსნელი; 12. რუსი მხატვარი; 13. უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქმელი; 14. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 15. მექსიკური წარმოშობის ცეკვა; 16. უდიდესი ნეტარება ბუდისტური მისტიკური მოძღვრების მიხედვით. 17. რამდენიმე თოფის ერთდროული დაცლა; 18. ასეც უწოდებენ არათითს; 19. ამერიკელი ზანგების სიმებიანი საკრავი; 20. ქართველი მწერალი; 21. ნაივური მხატვრობა; 23. დაანგარიშებით ამოსახსნელი საკითხი; 27. გადამდნარი ღორის ქონი; 28. გოგირდის ალმადანი; 31. სერბი გამომგონებელი; 32. სადავო საკითხის საჯარო განხილვა; 33. თეატრალური კოლექტივი; 35. სხვადასხვა ფერის ძაფის ქსოვილი; 36. მუსიკოსი ... დიასამიძე; 37. პასუხისმგებელი პირის სამუშაო ოთახი; 40. მზისგან და წვიმისგან დასაცავი საგანი; 41. კამბოჯის ფულის ერთეული; 43. დასტურის სიტყვა; 45. ლერწმის ჩასაბერი საკრავი; 47. მათემატიკური ორწევრი; 50. ამერიკელი მსახიობი, აერობიკის „დედა“; 51. მინანქარი; 52. გეოდეზიური იარაღების ნაწილი; 56. „ბითლზის“ წევრი; 57. მსხლის ჯიში; 60. თევზის ძვალი; 61. თავისუფალი საწვრთნელი ბრძოლა კრივში; 62. ამერიკელი მომღერალი ქალი; 63. ჩაროზი; 64. ტაილანდის ენა; 65. ქართველი მწერალი ქალი; 66. მუსიკალური ნაწარმოები.

შვეულად: 1. ქალაქი ინდოეთში; 2. ხურდა ფული არგენტინაში; 3. გუთნისდედისა და მეხრეების სიმღერა; 4. ჯანსულ ჩარკვიანის ლექსი; 5. დამატებითი ტონი, რომელიც განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებს ძირითად ტონს (მუს.); 6. პიგმენტი, რომელიც განსაზღვრავს კანის, თმის შეფერილობას; 7. ერთგვარი ჯიშის ღოღნოშო; 8. სასულიერო სასწავლებელი; 9. მინერალი, ე.წ. ამაზონის ქვა; 10. სინათლის სიკაშკაშის ერთეული; 11. ფრანგი ფერმწერი; 22. ღმერთ ოდინის სასახლე სკანდინავიურ მით-ში; 24. დაუშვი! — პორტის მტვირთავების ენაზე; 25. ერთი ჟანრის მხატვრული ნაწარმოებები; 26. სოფელი კასპის რაიონში; 28. მთათა სისტემა შუა აზიაში; 29. ავსტრიელი პოეტი; 30. ტილოს ფარდული; 33. მრავალშრიანი ფანერა; 34. აკრობატული ნახტომი; 36. დიდი წვეულება; 37. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება; 38. ბარით მოჭრილი მიწის მონაკვეთი; 39. მომკილი პურის ღეროები; 42. თმის ერთგვარი საღებავი; 44. ტალავერი; 46. კრონოსის ცოლი ბერძნულ მითოლოგიაში; 47. კურკოვანი ხილი; 48. მიცვალებულის დასატირებელი სიმღერა; 49. ოდისევსის შვილის ტელემაქეს გამზრდელი; 50. მიმართვა ქალისადმი სკანდინავიის ქვეყნებში; 53. კეთრი; 54. სევდა, ნაღველი; 55. ევროპის სახელმწიფო; 57. ექსკურსიამძღოლი; 58. ქამანდი; 59. რუსი ჰოკეისტი; 60. პატარძლის თავსაბური; 62. მიმართვა გაუთხოვარი ქალისადმი ინგლისსა და ამერიკაში.

კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 30-ე გვერდზე

| ზნეობრივ-დამრიგებლობითი პიესა (ძვ.) | სათხილამურო სპორტის სახეობა | მოლუსკის ნიჟარის შიდა ფენა | ხევისბერი გოჩას ვაჟი | სამედიცინო მოსაწევავი ნივთიერება | ქალბატონი იტალიაში | მე-7 ნოტი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზნეობა | მაგნიტური ინდუქციის ერთეული | „ლეკვი ... სწორია“ | განთიადი | წყლის მტაცებელი ცხოველი | გველის ხმიანობა | ორჯერ ასი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

2022 წლის 30 მაისი — 5 ივნისი №23 (1435)

გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი“.**
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


